MediaVoice

# მედიაბარომეტრი 2024

## ბრძოლა ნდობისა და თავისუფლებისთვის საქართველოში



# მედიაგარემო 2024: ბრძოლა ნდობისა და თავისუფლებისთვის საქართველოში


ავტორები:

**მარიამ გერსამია**
**ეკატერინე გიგაური**
**გვანცა გურგენიძე**



თბილისი

2025

მედიაგარემო 2024: ბრძოლა ნდობისა და თავისუფლებისთვის საქართველოში
Media Environment 2024: The Fight for Trust and Freedom in Georgia

© ავტორები:
მარიამ გერსამია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, “მედიახმის” თავმჯდომარე
ეკატერინე გიგაური, „მედიახმის“ უფროსი მკვლევარი
გვანცა გურგენიძე, „მედიახმის“ მკვლევარი

რეცენზენტები:
მარი ბანძელაძე, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი
ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყორღანაშვილი

© ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2025.

კვლევა მომზადდა პროექტის - „მედიაგარემო 2024: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები პოლიტიკური პოლარიზებისა და კრიზისების დროს“ - ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ბიუროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით. აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ცენტრი მადლობას უხდის საქართველოს უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კონტრიბუციისთვის.

ნაშრომის ციტირების წესი: გერსამია მ., გიგაური ე., გურგენიძე გ., მედიაგარემო 2024: ბრძოლა ნდობისა და თავისუფლებისთვის საქართველოში, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა“, 2025.

# სარჩევი


**შესავალი** 6

**საკვანძო მოვლენები: 2024** 7

**ტერმინოლოგიური ჩარჩო და განმარტებები** 10

**1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები** 12

**2. ძირითადი მიგნებები** 13

**3. ლიტერატურის მიმოხილვა** 23

3.1. მედიის “სუპერ არჩევნების წელი” საქართველოში 23

3.2. დემოკრატიისა და ნდობის კრიზისი მედიაში 24

3.3. მედია, როგორც ძალადობის სამიზნე 28

3.4. მიზნობრივი სანქციების გავლენა მედიაგარემოზე 30

3.5. კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ 31

3.6. ციფრული ინფრასტრუქტურისა და დეზინფორმაციის გამოწვევები 37

3.7. ჟურნალისტური განათლება მედიის ეკოსისტემაში 40

**4. ანალიზი და დისკუსია** 42

4.1. კანონის „მსუსხავი ეფექტი“ მედიის დღის წესრიგზე 42

4.2. ქართული მედია „სუპერ არჩევნების“ პირისპირ 47

4.3. რეპრესიები მედიის წინააღმდეგ: ჟურნალისტების უსაფრთხოება 53

4.4. კონტენტის ხარისხი და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა 58

4.5. „მედიის გადატვირთვა“: ნდობის აღდგენა 64

4.6. „მედიის გადატვირთვა“: პოლიტიკოსებთან ურთიერთობა 69

4.7. სამოქალაქო ჟურნალისტები, მედია და ალტერნატიული მედია 70

4.8. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა 71

4.9. ჟურნალისტური განათლებისა და დასაქმების გამოწვევები 73

**დასკვნა** 76

**რეკომენდაციები** 77

**დანართი** 86

**ბიბლიოგრაფია** 87

*“ძირითადი უფლებების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს მათი ყოველდღიური გამოყენება”*

**საბინა ლოითჰოისერ-შნანენბერგერი**,
ადამიანის უფლებათა დამცველი

*“ფაქტების გარეშე ვერ გექნება სიმართლე.
ფაქტების გარეშე ვერ გექნება ნდობა.
ფაქტების, სიმართლისა და ნდობის გარეშე
არ არსებობს რეალური დემოკრატია”*

**ჟურნალისტი მარია რესა,**
წიგნიდან “როგორ დავამარცხოთ დიქტატორი”

# შესავალი

კვლევის მიზანია, აღწეროს და შეაფასოს 2024 წელს საქართველოს მედიაგარემო და გამოკვეთოს საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც გავლენას ახდენდა საინფორმაციო ეკოსისტემაზე, მედიის სიცოცხლისუნარიანობასა და მედიისადმი ნდობაზე საქართველოში.

კვლევა გამოკვეთს, როგორ იმოქმედა „სუპერ არჩევნების წელს" არსებულმა გამოწვევებმა მედიის სანდოობასა და დამაჯერებლობაზე/სარწმუნოობაზე, ჟურნალისტურ საქმიანობასა და პროდუქტის ხარისხზე. კვლევაში გაანალიზებულია, რა ზეგავლენა მოახდინა ინფორმაციულ ეკოსისტემაზე „აგენტების/რუსულმა კანონმა" და საპროტესტო დემონსტრაციებმა არჩევნებამდე და მის შემდეგ. ამ პროცესში შეფასებულია, თუ რა ხელისშემშლელი და მხარდამჭერი მექანიზმები არსებობს მედიაში სხვადასხვა აქტორის (მმართველი და სხვა პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის აუდიტორიის, აკადემიის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების) მხრიდან; რა და როგორ მოქმედებს მედიისა და სხვა აქტორებისადმი ნდობაზე და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი ამ ნდობის გაზრდა; როგორ მოქმედებს ჟურნალისტურ საქმიანობაზე პოლარიზაცია და მასთან ბრძოლის რა საშუალებები არსებობს; კვლევა გამოკვეთს, თუ როგორ მუშაობს კლეპტოკრატიული მმართველობის პირობებში მედია, როგორ უმკლავდება რუსულ გავლენებს, ტექნოლოგიური გამოწვევების პირობებში, დეზინფორმაციისა და მძლავრი პროპაგანდის გამოწვევებს. კვლევის ერთ-ერთი ასპექტი არის, გააანალიზოს მედიაგარემოს როლისა და ტრანსფორმაციის პროცესი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში.

წინა წლების მსგავსად, კვლევა აფასებს სოლიდარობის ჟურნალისტიკის, როგორც მხარდამჭერი მექანიზმის, ეფექტურობას და აღწერს, როგორ ვლინდებოდა ის 2024 წელს, რაც მედიისადმი ნდობის გაზრდისა და შეფასების ინდიკატორებზე დაკვირვებასაც მოიცავს.

ამასთან, წლევანდელ კვლევაში პირველად გამოკვეთილია სამოქალაქო ჟურნალისტიკის როლი კრიზისულ სიტუაციებში და მედიის გადარჩენისთვის ბრძოლის ახალი ინსტრუმენტები და ტრანსფორმაციული გამოცდილების მაგალითები. გამოკვეთილია ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის აღკვეთისთვის აუცილებელი, მიზნობრივი სანქციებისა და საერთაშორისო სასამართლოების როლი.

კვლევის სიტუაციურ ანალიზს წარმოადგენს იმ საკვანძო მოვლენების ხაზგასმა, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა მედიის დღის წესრიგსა და მედიაგარემოზე საქართველოში. დაკონკრეტებულია ტერნიმონოლიური ჩარჩოც და განმარტებებიც.

## საკვანძო მოვლენები: 2024

**3 აპრილი** - „ქართულმა ოცნებამ“ „აგენტების კანონის“ რეინიციირება დაიწყო, რამაც გამოიწვია მასობრივი პროტესტი და მძაფრი კრიტიკა - როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

**15 აპრილს** - „ქართულმა ოცნებამ“ დაარეგისტრირა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი, ე.წ. ოფშორების კანონი (N: 07-1/31/10).

**7 მაისი** - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი — რაც არაეფექტური სისხლის სამართლის გამოძიებას გულისხმობს. საქმე ეხებოდა ე.წ. „გავრილოვის ღამეს“( 2019 წლის 20-21 ივნისს), თბილისში, პარლამენტის შენობის წინ, აქციის დარბევას. განმცხადებლები იყვნენ აქციის მონაწილეები და ჟურნალისტები, რომლებიც აშუქებდნენ საპროტესტო აქციებს (ამ დარბევისას დაზიანებები მიიღო მედიის 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა).

**14 მაისი** - მასობრივი პროტესტისა და საერთაშორისო კრიტიკის მიუხედავად, მმართველმა პარტიამ მესამე მოსმენით მიიღო „აგენტების/რუსული კანონი“ სახელწოდებით - კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ (N 07-3/435/10).

**28 მაისი** - მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ დაძლია პრეზიდენტის ვეტო „აგენტები/რუსულ კანონზე“, მას ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა.

**29 მაისი** - საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში (N: 07-1/31/10), რომლის მიხედვითაც, ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები გადასახადებისგან თავისუფლდებიან, თუკი ისინი თავიანთ აქტივებს საქართველოში დარეგისტრირებულ კომპანიას გადაუფორმებენ.

**4 ივნისი** - მმართველი გუნდის მიერ დარეგისტრირდა ე.წ. ცენზურის, ჰომოფობიური კანონპროექტი (N: 07-3/446/10) სახელწოდებით - ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ.

**6 ივნისი** - აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „აგენტების/რუსულ კანონზე“, პასუხისმგებელ ან თანამონაწილე, რამდენიმე ათეულ პირს სავიზო სანქცია დაუწესა.

**15 ივლისი** - პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა (სარჩელი N:1828) „აგენტების/რუსული კანონის“ გაუქმების მოთხოვნით;

**17 ივლისი** - არასამთავრობო/ა(ა)იპ და მედიაორგანიზაციებმა (სულ 122-მა მოსარჩელემ) საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს (სარჩელი N: 1829) და საბოლოო გადაწყვეტილებამდე რიგი ნორმების შეჩერება მოითხოვეს.

**31 ივლისი** - საქართველოს პარლამენტის წევრებმა (სულ 38 დეპუტატმა) საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს (სარჩელი N: 1834) და „აგენტების/რუსული კანონის" არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვეს.

**4 სექტემბერი** - „აგენტების/რუსული კანონის" მოთხოვნების შესაბამისად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვადა ამოიწურა, რეესტრში კიმედიასაშუალებებიდან მხოლოდ ორი ორგანიზაცია დარეგისტრირდა .

**16 სექტემბერი** - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მორიგი მიზნობრივი სანქციები გამოაცხადა.

**17 სექტემბერი** - პარლამენტმა მიიღო ე.წ. ცენზურის კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ, რომელიც კანონპროექტთა პაკეტსა და დამატებით 18 მოქმედ კანონში ცვლილებას მოიცავს, მათ შორის - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში, მაუწყებლობის შესახებ კანონში, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში და სხვ.

**19 აგვისტო** - შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელმა" და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორმა" საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა (სარჩელი N: 1837) და „აგენტების/რუსული კანონის" არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა.

**4 ოქტომბერი** - საკონსტიტუციო სასამართლომ არსებით განხილვაში მიიღო „აგენტების/რუსული კანონზე" მოსარჩელეთა ზოგიერთი მოთხოვნა. ამასთან, არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა შუამდგომლობა - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

**17 ოქტომბერი** - „აგენტების/რუსული კანონის" წინააღმდეგ სარჩელი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECoHR), რომელსაც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" (GYLA) უძღვება. მოსარჩელეთა შორის არის 16 მედიაორგანიზაცია, 120 არასამთავრობო ორგანიზაცია და ოთხი ფიზიკური პირი.

**26 ოქტომბერი** - საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.

**14 ნოემბერი** - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECoHR) დაარეგისტრირა საქმე „აგენტების/რუსული კანონის" წინააღმდეგ.

- **27 ნოემბერი** - „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად ანტიდასავლური განცხადებებით ცნობილი პოლიტიკური პარტიის, „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი დაასახელა. 2023 წელს, სწორედ „ხალხის ძალის“ ავტორობით დარეგისტრირდა პარლამენტში „რუსული კანონის“ პირველი ვერსია.

- **28 ნოემბერი** - მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ ლიდერმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მმართველმა გუნდმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეაჩერა 2028 წლამდე.

- **12 დეკემბერი** - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მორიგი მიზნობრივი სანქციები გამოაცხადა.

- **13 დეკემბერი** - „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც კანონები კიდევ უფრო რეპრესიული გახდა.

- **19 დეკემბერი -** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მორიგი მიზნობრივი სანქციები გამოაცხადა. პარალელურად, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების მიმართ სანქციები გამოაცხადა გაერთიანებულმა სამეფომ.

- **20 დეკემბერი** - ევროკომისიამ საქართველოს დიპლომატიური პასპორტების მფლობელებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის უვიზო რეჟიმის შეჩერების წინადადება წარადგინა.

- **27 დეკემბერი** - აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა „ქართული ოცნების“დამფუძნებელი, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი დაასანქცირა.

- **29 დეკემბერი** - გაიმართა „ქართული ოცნების“ მიერ შერჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია.

- **29 დეკემბერი** - „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნულმა პრეზიდენტმა, მიხეილ ყაველაშვილმა ხელი მოაწერა რეპრესიულ კანონებს.

- **31 დეკემბერი** - გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სავიზო სანქციები დაუწესა 9 ადამიანს, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი აქტივისტებისა და ოპოზიციის წევრების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაში; ასევე მიმდინარე მოვლებზე გამოქვეყნდა ვაიმარის სამკუთხედის ქვეყნების განცხადება.

# ტერმინოლოგიური ჩარჩო და განმარტებები

**ცრუ/ილუზორული პოლარიზაცია** - პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საუბრისას, ვილსონი და სხვები (2020) განასხვავებენ იდეოლოგიურ, აფექტურ და ცრუ პოლარიზაციას. საქართველოში არსებობს როგორც რეალური, ასევე ე.წ. ცრუ/ილუზორული პოლარიზაცია. პოლარიზაციისა და მტრული გარემოს გამო, „მედიის დღის წესრიგიდან ხდება საზოგადოებისთვის აქტუალური თემების განდევნა და მათ ადგილს იკავებს მტრის ხატები, ცრუ/ილუზორული პრობლემები. ამგვარად, პოლიტიკურ დღის წესრიგში არა მარტო ხალხის პრობლემები არ იკითხება, არამედ მედიაც აღარ აშუქებს მათ. ეს დღის წესრიგის შექმნის მთლიანი ციკლის და მასში ჩართული ყველა აქტორის (პოლიტიკური ელიტების, საზოგადოებისა და მედიის) პრობლემაა." (გერსამია და სხვები, 2024, გვ. 13).

**კლეპტოკრატია** არის მმართველობის ფორმა, როდესაც მთავრობა კორუმპირებული პირებითაა დაკომპლექტებული და საკუთარ ძალაუფლებას ხალხის სიმდიდრის მისათვისებლად, პირადი კეთილდღეობისა და გამდიდრებისთვის იყენებს. კლეპტოკრატია ავტორიტარულ რეჟიმებთან სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური ძალაუფლებისა და რესურსების მიტაცებასთანაა ასოცირებული (Britannica).

**საზოგადოებრივი ინტერესის მედია (public interest media)** არის მედია, რომელიც: ინფორმირებას ახდენს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებზე; ავრცელებს ფაქტებზე დაფუძნებულ, სარწმუნო ინფორმაციას; მოწოდებულია წარმოაჩინოს სიმართლე, წყაროებთან მუშაობის პრაქტიკითა და იმ აუდიტორიის წარმოჩენით, რომელსაც სურს რომ ემსახუროს; იცავს სარედაქციო დამოუკიდებლობას; გამჭვირვალეა როგორც მისი კონტენტის შექმნის პროცესი, ასევე ფინანსები და პოლიტიკა (განსაზღვრება ეფუძნება საზოგადოებრივი ინტერესების მედიის საერთაშორისო ფონდის განმარტებას).

**ინფორმაციული ეკოსისტემა** არის საინფორმაციო გარემოს გეოგრაფიული ქვეჯგუფი, რომელშიც ინფორმაცია მუშავდება ურთიერთგაზიარებულად. რადშის (2023) მიხედვით, ეკოსისტემა აერთიანებს სხვადასხვა აქტორს, სტრუქტურასა და ერთეულს, რომლებიც ურთიერთზეგავლენას ახდენენ ინფორმაციის დინებასა და საზოგადოებრივ აღქმაზე. ინფორმაციული ეკოსისტემის ფუნქციონირებაში ჩართულნი არიან: მედია და მედიაში დასაქმებულები; სოციალური ქსელები და პლატფორმები; სამოქალაქო საზოგადოება; საერთაშორისო ორგანიზაციები; სახელმწიფო ინსტიტუტები; პოლიტიკური პარტიები და ინდივიდუალური მომხმარებლები. ინფორმაციულ ეკოსისტემაში ურთიერთმოქმედებს შემდეგი შრეები: ინფორმაციის წარმოება და გავრცელება, მომხმარებლების მიერ ინფორმაციაზე რეაგირება და ჩართულობა, ტექნოლოგიური პლატფორმების როლი ინფორმაციის გავრცელებასა და ფილტრაციაში, პოლიტიკური და სოციალური გავლენები, ინფორმაციის სანდოობა და დამაჯერებლობა. ეკოსისტემა მოიცავს ჰიბრიდული, საინფორმაციო ომისა და უსაფრთხოების გამოწვევებს.

**გამოძახებით კონტენტი (on demand content)** არის აუდიო-ვიზუალური მოთხოვნის საფუძველზე, ხელმისაწვდომი კონტენტი სოციალურ ქსელებსა და პლატფორმებზე, რომელიც გამოძახებით აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურების მიღებას უკავშირდება. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ამგვარი მედიამომსახურება განმარტებულია, როგორც „მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურება, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურების მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პროგრამების კატალოგის საშუალებით აირჩიოს და უყუროს პროგრამებს მისი ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ და მის მიერ არჩეულ დროს".

**OECD [პრინციპები]** - OECD განვითარების მხარდაჭერის კომიტეტმა (OECD DAC) შეიმუშავა პრინციპები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ინტერესების გამტარი მედიისა და საინფორმაციო გარემოს გაძლიერებას. პრინციპები მოიცავს მხარდაჭერის ზრდასა და მედიისა და საინფორმაციო გარემოს მხარდამჭერი, ჰოლისტური მიდგომის შემუშავებას, რომელიც ფინანსურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს ითვალისწინებს. პრინციპები ეხება მედიაპარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ონლაინ-კონტენტ შემქმნელებისა და სხვა აქტორების გაძლიერებას. გარდა ამისა, კომიტეტი ხაზს უსვამს დონორებს, ადგილობრივ ინტერესჯგუფებსა და ტექნოლოგიურ კომპანიებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების აუცილებლობასა და კვლევასა და სწავლაში ინვესტიციის ჩადებას, რათა სწრაფად მოხდეს მედიაგარემოსთან ადაპტაცია და უზრუნველყოფილი იყოს მედიის მდგრადი განვითარება (OECD, 2024).

**SLAPP** (სტრატეგიული სარჩელები საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ) არის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებენ ძალაუფლების მქონე პირები და ორგანიზაციები, რათა დააშინონ და/ან ეკონომიკურად დააზარალონ აქტიური მოქალაქეები, ჟურნალისტები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. SLAPP-ის პირდაპირი მიზანი არა სამართლებრივი დავის მოგება, არამედ სარჩელის ადრესატის ფინანსური, ფსიქოლოგიური და დროის რესურსებისგან გამოფიტვაა. საქართველოში მუშაობს ანტი-SLAPP კოალიცია, რომელშიც გაერთიანებულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები („მედიახმის“ ჩათვლით).

წინამდებარე კვლევაში, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონს მოვიხსენიებთ **„აგენტების/რუსულ კანონად“**. მიუხედავად იმისა, რომ „რუსული კანონი“ ან „აგენტების კანონი“ არ არის სიტყვა-სიტყვით ამ კანონის სახელწოდება, აღნიშნული ნეოლოგიზმები გულისხმობს კანონის შინაარსს და ფართოდ გამოიყენება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში. საზოგადოების მხრიდან ამ ტერმინის ათვისებამ და პოლიტიკურ დისკურსში მისმა დამკვიდრებამ, „რუსულ კანონს“ და „აგენტების კანონს“ შესძინა კონოტაცია, რომელიც ასოცირდება ავტორიტარიზმთან, რუსეთში მიღებულ კანონებთან და მისი ინსტრუმენტალიზაციის პრაქტიკასთან. ასევე კვლევაში ჩართული მედიის წარმომადგენლები ოჯახური ღირებულებების შესახებ კანონს მოიხსენიებენ, როგორც - „ცენზურის კანონს“.

ბოლო წლებში მედიის ტერმინოლოგიურ ველში თანდათან დამკვიდრდა სხვა ახალი ნეოლოგიზმები: პროდასავლური და ანტიდასავლური მედია, პრორუსული მედია, სახელისუფლებო და ოპოზიციური მედია, კრიტიკული მედია და სხვ. ეს ნეოლოგიზმები ახალი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ფენომენის საპასუხოდ დამკვიდრდა და მედიაგარემოს პოლარიზაციის ბუნება ენაშიც გამოხატა.

პოლარიზებული მედია ერთმანეთის მიმართ იყენებს იარლიყებს (მათ შორის სტიგმის შემცველ ტერმინებს). ესაა, ერთი მხრივ, „ოპოზიციური/კრიტიკული/დასავლური/რადიკალური“ და მეორე მხრივ, „სამთავრობო/პრორუსული/პროპაგანდისტული“ მედია. ამ დაყოფაში „რადიკალური“ და „პროპაგანდისტული“ შედარებით ახალი იარლიყებია. „დამოუკიდებელ მედიად“ კი ყველაზე ხშირად კვლავ ონლაინ მედიას მოიხსენიებენ.

2024 წლის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიაში მკვიდრდება ტერმინები: „ქართული ოცნების“/ ოლიგარქის მთავრობა/პარლამენტი/ პრემიერ-მინისტრი და ა.შ. ასევე მმართველ გუნდთან მიმართებით გამოყენებულია ტერმინები: დე-ფაქტო და არალეგიტიმური.

# 1. კვლევის მეთოდოლოგია და პროცედურები

წინამდებარე კვლევაში ასახულია 2024 წელს ქართულ მედიასაშუალებებში დასაქმებული ჟურნალისტების თვალით დანახული და უშუალოდ აღქმული მედიაგარემოს გამოწვევები და მხარდამჭერი მექანიზმები. მათ შორის არიან სხვადასხვა პოლუსზე მყოფი ჟურნალისტები, რომლებსაც რეალური და ილუზორული პოლარიზაციით გამოწვეული საერთო წუხილები და განსხვავებული გამოწვევები ყოფთ და აერთიანებთ კიდეც.

კვლევის მეთოდად შერჩეულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ კი - ფოკუს-ჯგუფები და სიღრმისეული ინტერვიუები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუებისთვის სადისკუსიო გეგმა, ხოლო ფოკუს-ჯგუფებისთვის - დისკუსიის გაიდლაინი, პირველადი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვებით. დისკუსიისა და ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოიკვეთა მეორეული კითხვები. მედიაგარემოზე დაკვირვება, წინა წლების (2021-2023) კვლევების მსგავსად, დისკუსიის მონაწილეთა და რესპონდენტთა თვალით დანახულ რეალობაზე დაყრდნობით მოხდა.

მონაცემთა შეგროვების პერიოდად განისაზღვრა 2024 წლის ნოემბერი, დეკემბერი და 2025 წლის იანვარი. კვლევაში ჩართული მედიასაშუალებებიდან ექვსი არის მსხვილი ნაციონალური მაუწყებელი, ორი - საგამოძიებო სტუდია, ერთი რადიო (საერთაშორისო ბიურო), ერთი ჟურნალი, ათი - ონლაინ და/ან რეგიონული მედია. შერჩევისას გათვალისწინებულია, რომ კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის კვლევების (აპრილი-მაისი, 2024) მიხედვით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ, მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, საქართველოში გამოკითხულთა 49% ასახელებს ტელევიზიას, 21% - სოციალურ ქსელებს, 19% - ინტერნეტს (სოციალური ქსელების გარდა). წინამდებარე კვლევაში, შერჩევისას გათვალისწინებულია სწორედ ის ტელევიზიები, რომლებსაც პოლიტიკისა და მიმდინარე ამბებზე ინფორმაციის მისაღებად ყველაზე მეტად ენდობიან. კვლევის (აჭაიძე, CRRC-Georgia, 2024) მიხედვით, ეს ტელეკომპანიებია: „იმედი" (22%), „მთავარი არხი" (8%), „რუსთავი 2" (8%), „ტვ პირველი" (6%), „ფორმულა" (2%), საზოგადოებრივი მაუწყებელი (2%). დანარჩენი ტელევიზიებისადმი ნდობა 1% ან ნაკლებია, ყოველი მეოთხე გამოკითხული ტელევიზიას არ ენდობა, 16% საერთოდ არ უყურებს,  6% კი არ გამოხატავს პოზიციას.

კვლევის ფარგლებში, ნოემბერსა და დეკემბერში ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი, მათ შორის, ერთი - ონლაინ ფორმატში (ჯამში მონაწილეების რ-ბა: 19). რესპონდენტთა შორის იყვნენ ჟურნალისტები/რეპორტიორები, მედია-მენეჯერები, პროდიუსერები, მედიის დამფუძნებლები, საავტორო გადაცემის ავტორები და წამყვანები. ფოკუს-ჯგუფების პარალელურად, სამი მედიასაშუალების წარმომადგენელთან, მათი თხოვნის გათვალისწინებით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები (ამათგან, ერთ-ერთმა 2024 წლის ბოლოს დატოვა ე.წ. სამთავრობო ტელევიზია. კვლევაში მას ვახსენებთ, როგორც „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს). დამატებით, 2025 წლის იანვრის დასაწყისში, 2024 წლის ბოლოს უწყვეტი საპროტესტო დემონსტრაციებისა და პოლიტიკური პროცესების ცვლილებების გამო, სამ ჟურნალისტთან ჩატარდა დამატებითი და/ან განმეორებითი სიღრმისეული ინტერვიუები. სულ კვლევაში მონაწილეობდა 20 მედიასაშუალების 23 წარმომადგენელი, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია, ხოლო მედიასაშუალებების ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართის სახით.

# 2. ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ინფორმაციულ ეკოსისტემაში ინფორმაციის დინებასა და საზოგადოებრივ აღქმაზე ტოქსიკურად მოქმედებს რეალური და ილუზორული პოლარიზაცია და კლეპტოკრატიული მმართველობა, რომელიც აზიანებს მედიის კონტენტის წარმოებასა და გავრცელებას. ეს ამცირებს მედიისადმი ნდობას და ნეგატიურად მოქმედებს მედიაგარემოსა და კონტენტის ხარისხზე. საქართველოში მმართველმა გუნდმა შექმნა რეპრესიული საკანონმდებლო გარემო და ისეთი საინფორმაციო ეკოსისტემა, რომელშიც ინფორმაციის თავისუფლად მიმოქცევა სისტემურად და ბიუროკრატიულად შეზღუდულია. ეს აძლიერებს პოლარიზაციას, რაც თავის მხრივ, ამცირებს მედიისადმი ნდობას.

- საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მედიაგარემო მნიშვნელოვან პროგრესს განიცდიდა. ბოლო წლებში დრამატულად გაუარესებულმა მედიაგარემომ და 2024 წელს კასკადურად მიღებულმა რეპრესიულმა და ანტიდასავლურმა კანონებმა საქართველოს წლების განმავლობაში მიღწეული ლიდერობის პოზიცია დააკარგვინა და რისკის ქვეშ დააყენა გამოხატვის თავისუფლების გარანტიები, შეზღუდა მედიის თავისუფლება და ადამიანის უფლებები.

- 2024 წელს ქართული მედიის მთავარი პოლიტიკური თემების დღის წესრიგი შედგებოდა შემდეგი თემებისგან: რუსული სტილის კანონების ინსტრუმენტალიზაცია, მიზნობრივი სანქციების მოთხოვნა/გამოცხადება, საპროტესტო დემონსტრაციები, არჩევნები და ევროინტეგრაციის პროცესი.

- გლობალურ „სუპერ არჩევნების წელს" კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია შეხვდა დასუსტებული - რესურსებისგან დაცლილი და მოუმზადებელი (როგორც შინაარსობრივად, ასევე ფინანსურად), რაც გასულ წლებში გაუარესებულმა მედიაგარემომ, საკანონმდებლო ცვლილებებმა ეტაპობრივად განაპირობა. დისკუსიის მონაწილეები „რუსული კანონის" მიღებას მმართველი გუნდის ანტი-დასავლური კურსის ლოგიკურ გაგრძელებად აღიქვამენ. თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ კანონის ზემოქმედება ჟურნალისტურ საქმიანობაზე, სხვა აქამდე მიღებულ კანონებთან შედარებით, გაცილებით საზიანო აღმოჩნდა.

- ჟურნალისტების აზრით, „აგენტების/რუსული კანონი" კარგად ინსტრუმენტალიზებული, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო, რომელმაც მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ყურადღება და რესურსები მთლიანად ამ საკითხზე გადაიტანა და შედეგად, წინასაარჩევნო პერიოდში მედიამ ვერ დასვა საჭირო კითხვები და არ/ვერ იკვლია კრიტიკული თემები. კანონის რეინიციირება და მიღება მმართველი გუნდის მიერ გამოყენებული იყო იმისთვის, რომ მედიის რესურსი არ/ვერ ყოფილიყო მიმართული არჩევნების ხარისხიანად და სრულყოფილად გაშუქებისთვის და მედიის საარჩევნო დღის წესრიგიდან ხელოვნურად განდევნილიყო საარჩევნო თემატიკა. „რუსული კანონის" ერთ-ერთი „გვერდითი მოვლენა" სწორედ ის იყო, რომ მედია თავდაცვით და გადარჩენის რეჟიმში გადავიდა, რომელიც ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი რესურსებისგან მის გამოფიტვას მოიცავდა.

- „რუსული/აგენტების" კანონის მიღების შემდეგ გაიზარდა თვითცენზურა და შიშის ატმოსფერო და ამის გამო, გართულდა წყაროებთან ხელმისაწვდომობა, უფრო ხშირად წყაროები ანონიმურად დარჩენას ამჯობინებდნენ, რაც კონტენტისადმი ნდობას ამცირებდა. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა კიდევ უფრო გართულდა და ამ პრობლემაზე პირველად ალაპარაკდნენ სამთავრობო მედიის წარმომადგენლებიც.

- 2024 წელს „რუსული/აგენტების კანონის" რეინიციირების შემდეგ ხელისუფლების მხარდამჭერმა ძალადობრივმა ჯგუფებმა გააძლიერეს ჟურნალისტების დაშინებისა და სტიგმატიზაციის პრაქტიკა, რაც მიზნად ისახავდა მედიაში კრიტიკული ხმების ჩახშობას. მედიაზე ზეწოლის ტენდენცია კრემლის რეჟიმის მიდგომების მსგავსი იყო.

- „აგენტების/რუსულმა კანონმა“ თავის აქტუალობა დაკარგა არჩევნების შემდეგ. ჟურნალისტებმა დაინახეს, რომ მთავარი შიშები, რაც ამ კანონის ამოქმედებას უკავშირდებოდა (რეპრესიები, ოფისებისა და ტექნიკის დაყადაღება, ჯარიმები და სხვ.), მმართველმა გუნდმა კანონის ინსტრუმენტალიზაციის გარეშეც განახორციელა: მოხდა ჟურნალისტების სტიგმატიზება და მათ უკვე მოიხსენიებენ, როგორც „აგენტებს“. მედიის წარმომადგენლები არსებული მმართველი გუნდის პირობებში კანონის ინსტრუმენტალიზაციის პროცესსა და ნებისმიერ სხვა სცენარს პესიმისტურად უყურებენ, ამიტომ გასათვალიწინებელია, რომ სწორედ ეს და სხვა კანონები, 2025 წელს შეიძლება რეპრესიულად იყოს იმპლემენტირებული და „გაცოცხლებული“.
- „აგენტების/რუსული კანონის“ მიღების შემდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობდნენ მედიაორგანიზაციების გაძლიერებას და მორალურ მხარდაჭერას.
- ჟურნალისტებისთვის გაურკვეველია, როგორი იქნება დონორების მუშაობის რეჟიმი საქართველოში. არსებობს იმის შიში, რომ დონორები საქართველოს დატოვებენ. ამასთან, რისკები რჩება „რუსული/აგენტების კანონის“ ინსტრუმენტალიზაციის შემთხვევაშიც. მედია ამ ეტაპზე გადარჩენაზეა ფოკუსირებული და არა - განვითარებაზე. ჟურნალისტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დონორების მხრიდან გრძელვადიანი პროექტების მხარდაჭერას და რესურსების გაზრდას.
- „მეოთხე ხელისუფლებაში“  ძალაუფლების გადანაწილების ბალანსი დარღვეულია. ის მიტაცებულია მმართველი გუნდის მიერ: პოლარიზაციის ერთ მხარეს არის მმართველი გუნდის მხარდამჭერი მედია, რომლის რესურსები და გავლენა კრიტიკულ/ოპოზიციურ და დამოუკიდებელ მედიაზე დიდია.
- ჟურნალისტები საუბრობენ არჩევნების პერიოდში ადამიანური რესურსისა და კვალიფიკაციის ნაკლებობაზე მედიისა და დამკვირვებლების მხრიდან მაშინ, როცა მმართველი გუნდის რესურსი იყო ძალიან დიდი. უბნებზე ოპოზიციის დამკვირვებლების ნაკლებობა მედიას უქმნიდა პრობლემას, რომ დარღვევების შესახებ კომენტარები ჩაეწერათ. წინასაარჩევნო პერიოდში იყო როგორც ინფორმაციის სიმწირე, ასევე ფინანსური გამოწვევები, რამაც იმოქმედა მუშაობის ხარისხზე.
- წინასაარჩევნო პერიოდში კრიტიკულმა მედიამ ნაწილობრივ შეასრულა „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია, რომელიც დემოკრატიული მმართველობისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, მედია აქტიურად მონაწილეობდა ელექტრონული არჩევნების პროცედურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო სისტემისადმი ნდობას აძლიერებდა და მოსახლეობას აქტიურობისკენ მოუწოდებდა. ამ ფონზე ნაკლები დრო დაუთმო არჩევნების შესაძლო გაყალბებისა და მანიპულაციის ანალიზს, რადგან ჟურნალისტების აზრით, ეს მოსახლეობაში ნიჰილიზმს გამოიწვევდა. შედეგად, ქართულმა მედიამ ნაკლები ყურადღება მიმართა მოსახლეობის წინაშე პარტიების ანგარიშვალდებულების გაზრდაზე, სამთავრობო მედიის პროპაგანდის უფრო აქტიურად გაქარწყლებასა და მოსახლეობის რეალური პრობლემების გაშუქებაზე.
- დისკუსიის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, უფრო კრიტიკულები უნდა ყოფილიყვნენ არჩევნების ადმინისტრირებისა და პოლიტიკური პარტიების სტრატეგიების მიმართ.  აზრები გაიყო ოპოზიციის როლისა და რესურსების შეფასებაზე. საგულისხმოა, რომ დისკუსიისას კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები არ ერიდებიან ოპოზიციის კრიტიკას, მაშინ, როცა ე.წ. სამთავრობო არხების ჟურნალისტები მმართველი გუნდის კრიტიკისგან თავს იკავებენ.
- ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, რომ ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია, გეგმის მიხედვით „თითქოს იატაკქვეშეთში” მიმდინარეობდა და დიდი “რუსული სპეცოპერაციის ნაწილი იყო“.

- წინასაარჩევნოდ შეიცვალა კრიტიკული მედიის მუშაობის რეჟიმი და ჟურნალისტების ყოველდღიური რუტინა. ის უფრო ნაკლებად ორიენტირებული იყო მრავალფეროვანი ჟურნალისტური მასალების მომზადებაზე. ჟურნალისტების აზრით, ეს მმართველი პარტიის მხრიდან მედიის მუშაობის შეზღუდვისთვის გაგეგმილი, წინასაარჩევნო სტრატეგია იყო. სარედაქციო მიდგომები შეიცვალა მმართველი გუნდის მხარდამჭერ მედიაშიც და ის უფრო დამოკიდებული გახდა „ქართული ოცნების" დირექტივებზე, გაძლიერდა მედიებს შორის პოლარიზაცია, რამაც ნეგატიურად იმოქმედა კონტენტსა და ნდობაზე.

- წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი გუნდისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან გაიზარდა აგრესია ჟურნალისტების მიმართ და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რეგიონებში. საარჩევნო გარემო რეგიონული მედიისთვის იყო „ტოქსიკური".

- აგრესია გაიზარდა ციფრულ მედიაგარემოშიც. ჟურნალისტების აზრით, სოციალურ მედიაში მათ ბულინგს ასევე აქვს ორგანიზებული ხასიათი. კერძოდ, გააქტიურდნენ სოციალურ ქსელში ტროლები და ბოტები, რომლებიც აწარმოებდნენ აგრესიულ კამპანიას მედიის წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის ტროლები.

- წინა წლებისგან განსხვავებით, 2024 წელს ჟურნალისტების მიმართ აგრესია გამოვლინდა კიდევ უფრო უხეშად (უხამსი ფორმებით, ჩხუბით, ყვირილით, ბულინგით, მუქარის შემცველი ზარებით). რეპრესიული კანონების ინიცირებისა და დისკრედიტაციის კამპანიების წარმოების შედეგად, საზოგადოების მხრიდან მოხდა ჟურნალისტების გარიყვა და გაუცხოება. მედიისთვის გაჩნდა ახალი იარლიყი - „აგენტი", რომელსაც საქართველოში ნეგატიური კონოტაცია აქვს.

- პოსტ-საარჩევნო პერიოდში, კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს ჰქონდათ გაურკვევლობის განცდა და მიიჩნევდნენ, რომ გამოწვევების პირისპირ ისინი მარტო დარჩნენ. ამ კუთხით ისინი თავის მოკავშირეებად არ თვლიან პოლიტიკურ პარტიებს. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს საფრთხეებისგან (იგულისხმება „რუსული კანონის" მიღება) მედიის დაცვა.

- არჩევნების შემდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტმა ქუჩებში მიაღწია უპრეცედენტო მასშტაბებს, რამაც იმოქმედა საზოგადოებასა და მედიაში ძალთა გადანაწილების ბალანსსა და კონტენტის მრავალფეროვნებაზე. კერძოდ, საზოგადოების მხრიდან ზეწოლის შედეგად, მანამდე მარგინალიზებული, ნაკლებად რეპრეზენტირებული ჯგუფების ჩართულობა მოხდა სამთავრობო, საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო ბადეში. ამასთან, კრიტიკულ მედიაშიც მოხდა წყაროების დივერსიფიკაცია.

- 2024 წლის ბოლოს საპროტესტო აქციებზე ჟურნალისტებისა და აქტივისტების დაპატიმრებებმა და ჯარიმებმა „გააცოცხლა" ე.წ. SLAPP-ების რეპრესიული პრაქტიკა, რის შედეგადაც სასამართლოებში საქმის წარმოებამ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მაქსიმალური რესურსები მიმართა.

- 2024 წლის მთავარ გამოწვევად ჟურნალისტების უსაფრთხოება (ფიზიკური, ციფრული და ფსიქოლოგიური) გამოიკვეთა. აგენტების/„რუსული კანონის" ინიცირებისა და მიღების შემდეგ მედიისა და ჟურნალისტების მისამართით ძალადობის ნორმალიზება მოხდა. მეტიც, ძალადობის სამიზნეები აღმოჩნდნენ ჟურნალისტების ახლობლები, ოჯახის წევრები და არასრულწლოვანი შვილები.

- ჟურნალისტებზე მმართველი გუნდის მხრიდან წახალისებულმა ფიზიკურმა ძალადობამ უპრეცედენტო ხასიათი და მასშტაბები მიიღო. მედიაში დასაქმებულების სასტიკი მეთოდებით ცემა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და დანაშაულის ნორმალიზების დამკვიდრებას ახდენდა.

- ჟურნალისტებზე ძალადობის ნორმალიზებას ხელი შეუწყო მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობამ და ფაქტმა, რომ დანაშაულებზე საქმე აღიძვრება ხულიგნობის და არა - ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობის მუხლით.

- წინა წლებისგან განსხვავებით, 2024 წელი საერთაშორისო, მიზნობრივი სანქციების ინტენსიური მოთხოვნისა და მათი ეტაპობრივი გამოცხადებების ფონზე მიმდინარეობდა. მიზნობრივი სანქციების გამოცხადება, რომელშიც ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულები ფიგურირებს, შეიძლება მივიჩნიოთ გაბატონებულ, დაუსჯელობის სინდრომთან გამკლავების ეფექტურ მექანიზმად. ამასთან, დაიწყო მითის დანგრევა ოლიგარქისა და მისი რეჟიმის ხელშეუხებლობის შესახებ.

- საქართველოში ჟურნალისტიკის პროფესიისა და მედიის, როგორც ინსტიტუციის, დისკრედიტაცია წლებია, გრძელდება. ამან ნეგატიურად იმოქმედა მედიის მიმართ ნდობაზე. დისკუსიის მონაწილეები ამგვარ ეფექტს „ნდობის პოლარიზაციას“ უწოდებენ. მედიის დისკრედიტაციაში მთავარ დამნაშავედ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მმართველ გუნდს ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ პროცესი მათ წაახალისეს.

- წინა წლებისგან განსხვავებით, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაცია და ფამილიარული ურთიერთობები აზიანებს მათ პროფესიულ საქმიანობასა და მათდამი ნდობას. ნდობაზე ირიბად მოქმედი ფაქტორია ტელევიზიების ფინანსური დამოუკიდებლობის არქონაც.

- მედიის სარედაქციო პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს პოლიტიკური იდეოლოგიისადმი მეტ ან ნაკლებ ლოიალობას. ეს მაყურებელს აძლევს საშუალებას, თავისი მრწამსის მიხედვით შეარჩიოს ინფორმაციის მიღების წყარო. თუმცა საქართველოში ამგვარი იდეოლოგიური იდენტობა მკვეთრად გამოხატული არ არის. მედია და ჟურნალისტები იცვლიან პოლიტიკურ გემოვნებას იმის მიხედვით, ვინ იქნება მეპატრონე, დამფინანსებელი. ეს მედიისა და ჟურნალისტებისადმი ნდობაზეც მოქმედებს.

- მედიასისტემამ საბჭოთა მემკვიდრეობიდან მიიღო პარტიებთან სიმბიოზური ურთიერთობის მანკიერი პრაქტიკა. ეს და სხვა მახასიათებელი, რომელიც ვლინდება პოლიტიკოსებთან და პარტიებთან (მმართველ გუნდთან და ოპოზიციასთან) არაპროფესიულ, არაჯანსაღ ურთიერთობებში. სისტემა სხვადასხვა დროს ევოლუციურად იმეორებს თავის თავს, რადგან არ აქვს ის ტრანსფორმაციული გამოცდილება, რომელიც შეძლებდა სისტემის ბუნების შეცვლას. ამ კუთხით მხოლოდ ცაკლეული მედიასაშულებები და პროგრამები (მათ შორის რამდენიმე ონლაინ, რეგიონული და საგამოძიებო მედია; მეინსტრიმული მედიის რამდენიმე სატელევიზიო პროგრამა) ქმნიან გამონაკლისებსა და ახალ გამოცდილებას.

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ნდობაზე იმოქმედა, არის ის, რომ „მედია გამოვიდა პროფესიული როლიდან, რადგან თავად გახდა სამიზნე“. ამგვარი პოზიციონირება დამოუკიდებელი მედიისთვისაც იყო იძულებითი მდგომარეობა. ამასთან, პოლიტიკურ პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დასუსტების გამო მედიამ ნაწილობრივ შეითავსა სხვა ინსტიტუტების პასუხისმგებლობები.

- უნდობლობას განაპირობებს ის, რომ საზოგადოება არ და ვერ მონაწილეობს მედიის დღის წესრიგის შექმნაში. ეს აძლიერებს პოპულიზმს, რომელიც ხალხის კუთვნილ ნიშას იკავებს, ზრდის საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის რისკებს, აჩენს დადანაშაულების პრაქტიკას და კიდევ უფრო ამცირებს საზოგადოების მხრიდან ჩართულობის სურვილს.

- ჟურნალისტების ველზე მუშაობის პრაქტიკა აყალიბებს საზოგადოების შეხედულებას პროფესიაზე და შემდგომში - ნდობას. შესაბამისად, თავად ნდობის ხარისხზე, სხვა კომპონენტებთან ერთად, ჟურნალისტის პროფესიული განათლება და კომპეტენციებიც მოქმედებს.

- ჟურნალისტები არ ენდობიან პოლიციას, სასამართლოს, პროფესიულ ორგანიზაციებს, სახალხო დამცველის ინსტიტუტს, პოლარიზაციის მეორე მხარეს მყოფ კოლეგებს და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ.

- ნდობის კრიზისი შექმნა პოლარიზაციამ და ეს ყველაზე კარგად ვლინდება იმაში, რომ ჟურნალისტებს შორის აღარაა ისეთი სოლიდარობა, როგორიც იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე. პოლიტიკურმა პოლარიზაციამ პირად ურთიერთობებში შეაღწია.

- პროფესიული კოლეგიალობა ორმხრივად მოშლილია ველზე მუშაობისას, თუმცა სოლიდარობა უფრო ძლიერია რეგიონებში. მედიაში თვითგამორკვევის და გადარჩენის ეტაპია. ამიტომ მედიის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ სოლიდარულები უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ და ფიზიკურადაც დაიცვან ერთმანეთი.

- გამოიკვეთა სურვილი, რომ პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ მედიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ პროფესიული მუშაობის წესებზე. ამ ეტაპზე ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ პოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო დაპირისპირებულ ჟურნალისტებს გაუჭირდებათ კონსენსუსის მიღწევა. ამასთან, ორივე მხარე თავს მსხვერპლად აღიქვამს: ერთი მხარე - მმართველი გუნდისგან და მეორე მხარე - საზოგადოების მხრიდან ბულინგზე ამახვილებს ყურადღებას.

- სხვადასხვა პოლუსზე მყოფ ჟურნალისტებს შორის ჯერ კიდევ არის კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები, რაც ერთი მხრივ, პარადოქსულია, მეორე მხრივ, სამომავლოდ დიალოგის საფუძველი შეიძლება იყოს. ჟურნალისტები „მედიის გადატვირთვის“ ამგვარ შესაძლებლობას გარდამავალ პერიოდში ხედავენ.

- მედიაში თემების ერთფეროვნება კვლავ რჩება ჟურნალისტების წუხილად. კრიტიკული მედიისთვის ველზე მუშაობა, რაც გულისხმობს ხარისხიანი, სიღრმისეული საგამოძიებო და ანალიტიკური მასალების მომზადებას, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ეს განაპირობა კომენტარებსა და საჯარო ინფორმაციის წვდომაზე შეზღუდვებმა.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კონტროლი გაიზარდა და ის შეეხო ე.წ. სამთავრობო არხებსაც. ამის გამომწვევი მიზეზი პოლარიზაციისა და ინფორმაციის მიმოქცევის კონტროლის მასშტაბებია, სადაც წყაროებთან ჟურნალისტის თავისუფალი მუშაობა იწვევს ხისტად სტრუქტურირებული პროპაგანდისტული ნარატივების რღვევას.

- კვლევაში ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის რამდენიმე ფორმა გამოიკვეთა. ესენია: 1.საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა; 2.პარლამენტში ამოქმედებული რეგულაციები და ე.წ. შავი სიები, რომელმაც გაართულა მუშაობა; 3. პოლიტიკოსების მხრიდან, გადაცემებში მონაწილეობის ბოიკოტი და ანგარიშვალდებულების არქონა, რაც აზიანებს კონტენტის ხარისხს; 4.მედიის სტიგმატიზაცია მათი პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაციის მიხედვით; 5.ბიუროკრატიული მართვის სისტემა, რომელიც “უხილავი ხელით” აკორექტირებს ინფორმაციის თავისუფლად დინებას; 6.ე.წ. ჩრდილოვანი აკრძალვა, როცა კრიტიკულ არხებზე მომხმარებლის წვდომა ტექნიკური ბარიერებით იზღუდება.

- საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით ხელის შემშლელია პატარა მედიისთვის და საგამოძიებო ჟურნალისტებისთვის. საჯარო ინფორმაციაზე წვდომა გართულდა პროსახელისუფლებო ტელევიზიების ჟურნალისტებისთვისაც. ეს პრობლემა წინა წლების კვლევებში მათ არ ჰქონდათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟურნალისტებისადმი ნდობა მმართველ პარტიას ნაკლებად აქვს და უკვე მათდამი ლოიალურად განწყობილ მედიასთანაც ფრთხილობს.

- რეგიონებში მმართველი გუნდის პრეს-სამსახურები თავად ავრცელებენ მათთვის სასურველ მასალებს, რაც კრიტიკულ მედიას ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამყარდება, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობები ვიდეოკამერების შესყიდვას გეგმავენ პრეს-სამსახურებისთვის, რაც კრიტიკული მედიისთვის ინფორმაციის მიღებას კიდევ უფრო გაართულებს. ინფორმაციის მიწოდების ეს პრაქტიკა ვრცელდებოდა მმართველი გუნდისადმი ლოიალურად განწყობილი მედიის შემთხვევაშიც.

- არასამთავრობო ორგანიზაციებიც ხშირად ქმნიან მედიაკონტენტს, რაც დისკუსიის მონაწილეებში განსხვავებულ შეფასებებს იწვევს. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას, სხვები კი ამას მედიის ფუნქციებში ჩარევად თვლიან. მათი აზრით, არასამთავრობოებმა უნდა გამოაქვეყნონ ანგარიშები და კვლევები, რომლებსაც მედია შემდგომ თავად გადააქცევს კონტენტად.

- წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციასთან წვდომა გართულდა რეგიონებშიც. კვლევაში ჩართულმა რეგიონული მედიის ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მმართველი პარტია მართავდა „გასაიდუმლოებულ შეხვედრებს“, რომლის შესახებაც კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არ იყვნენ. მმართველი გუნდის ამგვარ შეხვედრებში ანტი-დასავლური რიტორიკა იკვეთებოდა, რასაც იშვიათად და/ან შემთხვევით აშუქებდა მედიაც და მოქალაქე ჟურნალისტებიც.

- რეგიონში პრობლემაა წყაროების დივერსიფიკაციაც. რეგიონული მედიის წარმომადგენლები იძულებულები არიან, რიგ თემებზე რესპონდენტი თბილისში მოიძიონ. არადა რეგიონის მოსახლეობისთვის რესპონდენტი არაა ნაცნობი და ის ნდობას არ იწვევს.

- მედიისთვის გამოწვევა იყო არჩევნების დღეს დამკვირვებლების მიერ გადაღებულ მასალებზე წვდომა, რის გამოც ჟურნალისტები მასალას ოპერატიულად ვერ ავრცელებდნენ. დამკვირვებლების მიერ გადაღებული კადრები ჯერ პარტიებში ან სადამკვირვებლო ორგანიზაციებში იგზავნებოდა და მათი გავლით მედიაში დაგვიანებით ვრცელდებოდა. სწორედ ამიტომ დარღვევების მტკიცებულებები (მათ შორის გაჟონილი ბიულეტენების კადრები) მომდევნო დღეებში გახდა ხელმისაწვდომი მედიისთვის.

- სამოქალაქო ჟურნალისტები არიან მნიშვნელოვანი წყაროები მედიისთვის. არჩევნების პერიოდში, მოქალაქე ჟურნალისტებთან თანამშრომლობის პრაქტიკა გამოიკვეთა ყველა რეგიონში. ეს რესურსი განსაკუთრებით ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც პატარა მედიაორგანიზაციებშია.

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მოქმედებს პოლარიზაცია და შედეგად, ზარალდება მაყურებელი, რომელიც გარკვეულ თემებზე ვერ იღებს სრულყოფილ ინფორმაციას. კვლევაში ჩართული მონაწილეების აზრით, მედიისადმი ნდობა კავშირშია ჟურნალისტების კომპეტენციებთან და პროფესიული სტანდარტების დაცვასთან, რადგან ეს ყველაფერი მოქმედებს ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხზე.

- საზოგადოების მხრიდან გაჩნდა ლეგიტიმური დაკვეთა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება - ასახავდეს ხალხის ინტერესებს და მათ პრობლემებს აშუქებდეს. პროტესტების ფონზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებსაც გაუჩნდათ მოთხოვნა, რომელიც თანხვედრაში იყო საზოგადოების სურვილთან.

- გამოიკვეთა სწორედ ხალხის ინტერესებზე მორგებული თემების გაშუქების სურვილი და მზაობა. საზოგადოებრივი ინტერესის მედიის განვითარებას კი, მეტწილად უზრუნველყოფს სწორედ პარტიული და კომერციული ინტერესებისგან დისტანცირება და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.

- ჟურნალისტები განიხილავენ სხვადასხვა ალტერნატიულ პლატფორმებზე დასაქმების შესაძლებლობასაც. ამ პლატფორმების ათვისება, მედიისთვის, გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ მედიის გადარჩენის მიზნით შექმნილი ალტერნატიული მედიის პლატფორმები არ არის იმის გარანტი, რომ მათაც არ დახურავენ. ამასთან, შიშობენ, რომ ონლაინ-პლატფორმები უფრო მოწყვლადია პროპაგანდის მიმართ, ვიდრე ტრადიციული მედია და ამიტომ, მასთან გამკლავება იქნება რთული. ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, ალტერნატიული პლატფორმების ათვისება გამოსავალი არაა, რადგანაც ავტოკრატიულ/დიქტატორულ რეჟიმებს მათი აკრძალვაც შეუძლიათ. ამ კუთხით, ქართული საინფორმაციო ეკოსისტემის მნიშვნელოვანი რგოლია ჰიბრიდული, საინფორმაციო ომისა და უსაფრთხოების გამოწვევები.
- ჟურნალისტებში არაა შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა ინტეგრირდეს ჟურნალისტურ საქმიანობაში სხვადასხვა სოციალური პლატფორმა (მაგ: ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, იუთუბი). ნაწილი ფიქრობს, რომ ამ პლატფორმებზე ფოკუსირებით, კონტენტს ღირებულება ეკარგება და შეუძლებელია მაღალი ხარისხის, ანალიტიკური მასალის კონკრეტული მედიუმის ინფრასტრუქტურაზე მორგება. ნაწილი ფიქრობს, რომ ეს პლატფორმები აუდიტორიის ანალიზისა და კონკრეტულ სეგმენტზე ტარგეტირების შესაძლებლობაა და პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლისთვის, ეს პლატფორმები ასათვისებელია.
- მთავარ გამოწვევად ტრადიციული და ონლაინ მედიის წარმომადგენლები თვლიან იმას, რომ სოცქსელებისთვის კონტენტის შექმნა დამატებით რესურსებს მოითხოვს და ის ნაკლებადაა მორგებული ტრადიციული მედიის ჟანრების სპეციფიკას.
- 2024 წელი მედიისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექნოლოგიური გამოწვევების კუთხით. ხელოვნური ინტელექტი მედია ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და ამ რესურსის ათვისება საჭიროა ქართულ მედიაშიც (მათ შორის დეზინფორმაციასთან საბრძოლველად). ამის რესურსი 2024 წელს მედიას არ ჰქონდა, რადგან პრიორიტეტული იყო ჟურნალისტების უსაფრთხოებასა ზრუნვა.
- 2024 წელს პრობლემა იყო კადრების მოძიებაც. ამას ხსნიან იმით, რომ „აგენტების/რუსული კანონის“ მიღებით, მოხდა პროფესიის დისკრედიტაცია და ჟურნალისტიკა აღარაა პოპულარული პროფესია. ბაზრის მოთხოვნის მიუხედავად, შემცირებულია ჟურნალისტის პოზიციაზე დაინტერესებულთა რაოდენობა. კადრების გადინება და როტაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა სატელევიზიო და რეგიონულ ბაზარზე. ამასთან, მედიას არ აქვს რესურსი, რომ დამწყები ჟურნალისტები მოამზადოს იმგვარი სტრესული გარემოსთვის, რაც ველზეა.
- რეპრესიულმა გარემომ შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს სხვა სტეიკ-ჰოლდერებზე. კერძოდ, დააზიანოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიური თავისუფლება, მათ შორის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხი.
- ასეთი რეპრესიული მედიაგარემო არცერთი ხელისუფლების პირობებში არ ყოფილა. 2024 წლის ბოლოს, დემონსტრაციების გაშუქებისას მმართველი გუნდისა და მასთან აფილირებული ძალადობრივი ჯგუფების ჟურნალისტებზე ძალადობა, კვლევის მონაწილეებმა „სტიქიური უბედურებას“ შეადარეს.
- საფრთხეების შეფასებისას, წინა წელთან შედარებით, მმართველი გუნდის მხარდამჭერ მედიაში გაჩნდა ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა. ამასთან, ერთადერთი პუნქტი, რომელშიც მათთვის საფრთხე არ ფიქსირდება - ფინანსური სტაბილურობაა. ცხრილი N1 აჩვენებს საფრთხეების შეფასებას, რომელიც ეყრდნობა ჟურნალისტების მოსაზრებებს.

**ცხრილი N1:** მედიაგარემოში არსებული საფრთხეები იდენტიფიცირება

| საფრთხეები მედიაგარემოში | მმართველი გუნდისადმი ლოიალურად განწყობილი მედია | მმართველი გუნდისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია |
|---|---|---|
| საჯარო ინფორმაციასთან წვდომა შეზღუდულია | ✓ | ✓ |
| პოლარიზაციის გამო წყაროებში თვითცენზურაა; | ✓ | ✓ |
| პოლარიზაციის გამო ნიუსრუმში თვითცენზურაა; | ✓ | ✓ |
| მედიასთან მიმართებით კანონმდებლობა გაუარესდა; | ✓ | ✓ |
| მედიაში დასაქმებულების ფიზიკური უსაფრთხოება დაუცველია; | ✓ | ✓ |
| საზოგადოების მხრიდან სოლიდარობის და ნდობის ნაკლებობაა; | ✓ | ✓ |
| მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობის ნაკლებობაა; | ✓ | ✓ |
| ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები გამოუძიებელია და დამნაშავეები დაუსჯელები არიან; | ✓ | ✓ |
| ჟურნალისტების მიმართ აგრესია წინა წლებთან შედარებით გაზრდილია; | ✓ | ✓ |
| ჟურნალისტების სტიგმატიზება (ამა თუ იმ პარტიის მხარდამჭერად) პრობლემაა; | ✓ | ✓ |
| დეზინფორმაცია და ტროლ-ბოტების საქმიანობა ზეგავლენას ახდენს ჟურნალისტურ საქმიანობაზე; | ✓ | ✓ |
| საარჩევნო წელს საფრთხეები გაიზარდა; | ✓ | ✓ |
| პოლიტიკოსებთან დამკვიდრებულია ფამილიარული, არაფორმალური ურთიერთობები; | ✓ | ✓ |
| ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა და სტაბილურობა არ არის. | – | ✓ |

- წინასაარჩევნო პერიოდი მედიისადმი ნდობისა და სოლიდარობის კრიზისთან ერთად დადგა, რაც განაპირობა სოციალურმა, პოლიტიკურმა, ორგანიზაციულმა და ინდივიდუალურმა ფაქტორებმა. ცხრილი N2 აჩვენებს მედიაში დასაქმებულების თვალით დანახულ მედიისადმი ნდობის ინდიკატორებს, რომელთა შემუშავებისას ვეყრდნობით კვლევაში ჩართული მონაწილეებისა და რადჩის (Radsch, 2023) მოსაზრებებს.

**ცხრილი N2:** მედიისადმი ნდობის ინდიკატორების შეფასება ჟურნალისტების მოსაზრებებზე დაყრდნობით

| სანდოობის მახასიათებლები | ჟურნალისტების თვალით დანახული ინდიკატორები |
|---|---|
| **დამაჯერებლობა** | |
| სარწმუნო წყაროებთან ხელმისაწვდომობა | არასაკმარისი |
| ინფორმაციისა და ფაქტების გადამოწმების შესაძლებლობა | არასაკმარისი |
| კრიტიკული მიდგომა | არასაკმარისი |
| ჟურნალისტის მომზადება | არასაკმარისი |
| **ჟურნალისტური მასალების ხარისხი** | |
| ეთიკური სტანდარტების დაცვა | არასაკმარისი |
| საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონტენტის შექმნა | არასაკმარისი |
| კონტენტის შექმნასა და დისკუსიებში აუდიტორიის ჩართულობა და ინკლუზიურობა | არასაკმარისი |
| **პარტიული, ფინანსური, პოლიტიკური და კორპორაციული მიუკერძოებლობა** | |
| სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და პოლიტიკური პარტიების, მედიის მფლობელებისა და ფინანსური ჯგუფების გავლენებისგან დისტანცირება | არასაკმარისი |
| კრიზისების დროს პროფესიული საქმიანობის ნიშის შენარჩუნება | არასაკმარისი |
| **პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტი** | |
| პოლარიზაცია | მაღალი |
| ცენზურისა და თვითცენზურის მაჩვენებელი | მაღალი |
| საკანონმდებლო ჩარჩო | რეპრესიული |
| აუდიტორიის აღქმები, არსებული განწყობები და რწმენები | პოლარიზებული |

| | |
|---|---|
| მედიის დისკრედიტაციის კამპანიები და პროპაგანდის გავლენა | დამაზიანებელი |
| **ტექნოლოგიური ფაქტორები** | |
| ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება (ML) ადაპტაცია და ეთიკურად დანერგვა | არასაკმარისი |
| ინფრასტრუქტურის განახლება | არასაკმარისი |
| კონტენტის შექმნის უწყვეტობა | არასაკმარისი |
| სხვადასხვა პლატფორმაზე პოზიციონირება | არასაკმარისი |
| სოციალური პლატფორმების გამოყენება მედიის დისკრედიტაციისთვის | მაღალი |
| **სოლიდარობის კულტურის დამკვიდრება** | |
| მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ | არასაკმარისი |
| მხარდაჭერის დემონსტრირება კოლეგების მიმართ | არასაკმარისი |

- მედიისადმი ნდობის აღდგენის რესურსი გამოჩნდა 2024 წლის ბოლოს, საპროტესტო აქციებისას, ხალხისა და მედიის მიერ საერთო და ტრანსფორმაციული გამოცდილების დაგროვების, საერთო მიზნისა და ინტერესის გარშემო გაერთიანების გზით.

- ჟურნალისტების ნაწილი კვლავ ნიჰილისტურად უყურებს მომავალს (განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის ფონზე), ნაწილი კი ფიქრობს, რომ ნიჰილიზმი დაძლეულია, რაზეც იმოქმედა უწყვეტმა დემონსტრაციებმა, მიზნობრივი სანქციების დაწესებამ და საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებმა (იგულისხმება საეთერო დროის დათმობა პროტესტის მონაწილეებისთვის).

- უმრავლესობას აქვს მოლოდინი, რომ მედიაზე გაიზრდება ფინანსური წნეხი, მოხდება რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაცია, მოიმატებს მედიის წინააღმდეგ აგრესია და კვლავ იქნება დაუსჯელობა, გაგრძელდება მედიისა და კონკრეტული ჟურნალისტების მიმართ დისკრედიტაციის კამპანიები, პოლარიზაცია იმოქმედებს კონტენტზე და მედიისადმი ნდობასა და სოლიდარობაზე, გაიზრდება შიშის ატმოსფერო და თვითცენზურა წყაროებსა და ნიუსრუმებში. ფინანსური და სხვა პრობლემების გამო, კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიიდან კადრების გადინებაც, სავარაუდოდ, გაგრძელდება.

- საქართველოში რეპრესიული კანონის ძირითადი დებულებების ამოქმედება საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხდა, რაც უარყოფითად აისახა დამოუკიდებელ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. მთავრობას კანონით მიეცა ბერკეტები ჩაახშოს კრიტიკული ხმები, გააკონტროლოს საზოგადოებრივი დისკურსი და დააშინოს დამოუკიდებელი დამკვირვებლები. ამან საფრთხე შეუქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

- 2025 წელს კრიტიკულ მედიას კვლავ არ აქვს რესურსი, რომ დაიწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების დაგეგმვა. შერყეულია პოლიტიკური აქტორებისა და საარჩევნო ადმინისტრაციისადმი ნდობა. მმართველი გუნდი კი 2025 წელს შეხვდა ლეგიტიმაციის გამოწვევებით და მიტაცებული ძალაუფლების ვაკუუმში აღმოჩნდა.

# 3. ლიტერატურის მიმოხილვა

საინფორმაციო ეკოსისტემის დაბალანსებულ და თანამშრომლობით მოდელში, რომელსაც კორტნი რადში აღწერს, საჯარო და კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება და მედია ერთად მუშაობენ. მასში გამოკვეთილია მრავალფეროვნება, პროფესიონალიზმი და მდგრადობა - **როგორც ძირითადი საყრდენი პრინციპები**, რომლებიც ეფუძნება ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას და **ნდობითა და გამჭვირვალეობით იმართება.** ეს ეკოსისტემა უზრუნველყოფს სანდო და ინკლუზიური ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც საზოგადოებებს აძლიერებს და ინფორმირებულ გარემოს ქმნის.

საქართველოში პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობა ხელს უშლის დემოკრატიული, ჯანსაღი ინფორმაციული ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და მდგრად განვითარებას. ამ ეკოსისტემაში ბალანსის აღსადგენად მედიის როლი შეუცვლელია და შეუძლია ტრანსფორმაციული გამოცდილების შექმნა, განსაკუთრებით - პოლიტიკური კრიზისებისა და არჩევნების დროს.

## 3.1. მედიის “სუპერ არჩევნების წელი” საქართველოში

“Rappler”-ის დამფუძნებელი, ფილიპინელი ჟურნალისტი, მარია რესა თავის წიგნში „როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“ იხსენებს ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც ასე იწყება: „ვინც მოიგებს არჩევნებს, განსაზღვრავს არა მარტო ჩვენს მომავალს, არამედ ჩვენს წარსულსაც. არ შეიძლება ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები სანდო ფაქტების გარეშე“ (რესა, 2022, გვ. 21-22).

2024 წელი UNESCO-ს მიერ „სუპერ არჩევნების წლად“ მოინათლა, რადგან არჩევნები ჩატარდა 75 ქვეყანაში. 2024 წლის 6-9 ივნისს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გაიმართა ევროპარლამენტის არჩევნები, რომელიც იმართება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ და წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ ტრანსნაციონალურ დემოკრატიულ პროცესს. 2024 წლის არჩევნებმა, მთლიანობაში მთელი მოსახლეობის ნახევარი მოიცვა და ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე დიდი საარჩევნო წელი. მსოფლიოში მიმდინარე არჩევნები ზეგავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკურ და მედიის დღის წესრიგზე. 2024 წელს ქართული მედია გაუარესებული მაჩვენებლებით შეხვდა: მედიის თავისუფლების ინდექსით (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, 2024), წინა წელთან შედარებით, საქართველომ 26 პოზიციით უკან გადაინაცვლა და 103-ე ადგილი დაიკავა.

მედიის როლი არჩევნების პროცესში მრავალფეროვანია. კელის (1962) მიხედვით, მედია შეიძლება აღვიქვათ პოლიტიკურ აქტორად, რადგან ის თავად იღებს გადაწყვეტილებას, რა ინფორმაცია და რა კუთხით უნდა გააშუქოს. მაგალითად, მან შეიძლება მაყურებლის ყურადღება მიმართოს პროპაგანდის გზავნილებზე, შენიღბული ფორმით წარმოადგინოს მოვლენათა „ბოროტმოქმედები“ და „გმირები“, ან გაამახვილოს ყურადღება პოლიტიკური ლიდერების ძლიერ ან სუსტ მხარეებზე (კელი, 1962). მედიის ეს ფუნქცია ახლაც მნიშვნელოვანია, რადგან მიუხედავად პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი დღის წესრიგისა, მედიას დამოუკიდებლად შეუძლია აქცენტების გამოკვეთა და სწორედ მაშინ ასრულებს „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციას, როცა ამ პასუხისმგებლობას კისრულობს. ჩვენს კვლევაში წინა და პოსტსაარჩევნო პერიოდში მედიის ამ როლის განხილვა არის აქტუალური.

2024 წელს პირველად საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით და საარჩევნო უბნების 90%-ში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდა. ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აკრედიტაცია გაიარა 158-მა

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებამ, ამათგან 78 (49%) იყო საერთაშორისო მედია და/ან მათი ბიურო. 2024 წელს აკრედიტაცია გაიარა 54 მედიაორგანიზაციით მეტმა, ვიდრე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ჟურნალისტები გასულ წელს აღნიშნავდნენ (გერსამია და სხვები, 2024), რომ საჭირო იყო ელექტრონული წესით არჩევნების ჩატარების შესახებ მედიის წარმომადგენლებს გადამზადება, რომ ამომრჩეველიც უფრო ინფორმირებული ყოფილიყო ახალი წესის შესახებ.

წინასაარჩევნო პერიოდში ქართულმა მედიამ ნაწილობრივ შეასრულა ეს ფუნქცია, რომელიც დემოკრატიული მმართველობისთვის არის დამახასიათებელი. კერძოდ, როგორც კელი (1962) განმარტავს დემოკრატიული მმართველობა სტაბილურია, როდესაც მოსახლეობა არჩევნებს აღიქვამს, როგორც გადაწყვეტილების მიღების ლეგიტიმურ გზას. ამისთვის მედია ავრცელებს მოსაზრებას, რომ ამომრჩევლის ხმა მნიშვნელოვანია, ხმის მიცემა არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა (კელი, 1962, გვ. 307-319). ქართული მედია მართლაც მიეხმარა პარტიებს ამომრჩეველთა მოტივაციის გაზრდასა და ხმის მიცემის პროცესის შესახებ ინფორმირებაში.

ეუთო/ოდირის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში „მედიაგარემო მრავალფეროვანი, მაგრამ უკიდურესად პოლარიზებულია“ (გვ.22) და ეს აძლიერებს პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების სტრუქტურას. პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილება ჩანს მედიაშიც, სადაც „ყველაზე ყურებად ტელევიზიებს შორისაა ‘იმედი’, ‘რუსთავი 2’ და ‘პოსტ-ტვ’, რომლებიც ასოცირდებიან ‘ქართულ ოცნებასთან’, ხოლო ‘მთავარი არხი’, ‘ტვ პირველი’ და ‘ფორმულა’ ასოცირდება ოპოზიციასთან“ (გვ.22). როგორ და რა რესურსებით (ვერ) შეასრულა ქართულმა მედიამ ეს ფუნქცია? რა გამოწვევების წინაშე დადგა ის ამომრჩევლის ინფორმირების პროცესში? ეს თემები 2024 წლის ქართული მედიაგარემოს კვლევაშიც აქტუალურია.

დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტის გენერალური მდივანი კევინ კასას-ზამორა აღნიშნავს, რომ მსოფლიო COVID-19 პანდემიის შემდეგ „პოლიტიკურ ნაბახუსევზეა“. მისი თქმით, მსგავსი მდგომარეობა ჩნდება კრიზისების შემდგომ პერიოდში, როდესაც არეულობა, არასტაბილურობა და ეკონომიკური სირთულეები უარყოფითად აისახება იმაზე, ვინც „მართავს გემს“. ასეთ დროს, ბევრი ადამიანი შეიძლება მიემხროს პოპულისტებსა და ავტორიტარებს, რომლებიც „წესრიგის აღდგენის“ დაპირებას იძლევიან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეს პროცესი მედიისადმი ნდობისა და სოლიდარობის კრიზისთან ერთად დადგა.

## ■ 3.2. დემოკრატიისა და ნდობის კრიზისი მედიაში

წინამდებარე კვლევაში ერთ-ერთი ცენტრალური დაკვირვება ნდობის განმაპირობებელ ინდიკატორებზეა, რომელიც მედიის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს ახლა და მომავალში. მედიისადმი ნდობას განაპირობებს სოციალური, პოლიტიკური, ორგანიზაციული და ინდივიდუალური ფაქტორები. ნდობის შექმნისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფაქტორი:

- **დამაჯერებლობა:** სარწმუნო წყაროები, ინფორმაციისა და ფაქტების გადამოწმება, კრიტიკული მიდგომა, ჟურნალისტის კომპეტენტურობა და ინტერპერსონალური გავლენები;
- **ჟურნალისტური მასალების ხარისხი:** ეთიკური სტანდარტების დაცვა, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონტენტის შექმნა, კონტენტის შექმნასა და დისკუსიებში აუდიტორიის ჩართულობა და ინკლუზიურობა;

- **პარტიული, ფინანსური, პოლიტიკური და კორპორაციული მიუკერძოებლობა:** სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და პოლიტიკური პარტიების, მედიის მფლობელებისა და ფინანსური ჯგუფების გავლენებისგან დისტანცირება; კრიზისების დროს პროფესიული საქმიანობის ნიშის შენარჩუნება;

- **პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტი:** პოლარიზაცია, ცენზურისა და თვითცენზურის მაჩვენებელი, საკანონმდებლო ჩარჩო, აუდიტორიის აღქმები, არსებული განწყობები და რწმენები;

- **ტექნოლოგიური ფაქტორები:** ისეთი თანამედროვე ინსტრუმენტების, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება (ML) ადაპტაცია და ეთიკურად დანერგვა; ინფრასტრუქტურის განახლება, კონტენტის შექმნის უწყვეტობა და სხვადასხვა პლატფორმაზე პოზიციონირება;

- **სოლიდარობის კულტურის დამკვიდრება:** მხარდაჭერის დემონსტრირება კოლეგებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

გლობალური პლატფორმა Statista-ს 2024 წლის მონაცემებით, 40 ქვეყანას შორის მედიაში ახალი ამბებისადმი ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის სკანდინავიის ქვეყნებში და ლიდერობს ფინეთი (69%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელია სლოვაკეთში, უნგრეთსა და საბერძნეთში (23-25%). ამ უკანასკნელთან მიახლოებული მაჩვენებელია საქართველოში. კერძოდ, 2024 წლის მონაცემებით (CRRC-Georgia, ხოშტარია, 2024) მედიას გამოკვეთილად ენდობა 25% და არ ენდობა 36%. კავკასიის ბარომეტრის მონაცემებით (CRRC-Georgia, აჭაიძე, 2024), ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მედიისადმი უნდობლობა გაიზარდა. 2013 წელს გამოკითხულთა უმრავლესობას (55%) ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა მედიის მიმართ და უნდობლობა მხოლოდ 12%-ს შეადგენდა. 2024 წელს, თაობების ცვლის პარალელურად, მედიისადმი უნდობლობა გასამმაგდა და 36%-ს მიაღწია (გვ. 4). მედიისადმი უნდობლობის ერთ-ერთ ფაქტორად დასახელებულია მედიის პარტიული და პოლარიზებული ბუნება (ტომსონ როიტერის ფონდი, 2021). კვლევები (სილაგაძე, 2023) ადასტურებს სატელევიზიო არხებისადმი ნდობასა და პოლიტიკურ პრეფერენციებს შორის ძლიერ კავშირს და მოსახლეობის აღქმას, რომ მედია ლანდშაფტი პოლარიზებულია. კერძოდ, ამ კვლევის მიხედვით, ის ადამიანები, ვინც ენდობიან „იმედს“, „რუსთავი 2“-ს ან „პოსტ ტვ“-ს, უფრო მეტად უჭერენ მხარს „ქართულ ოცნებას“, ხოლო ისინი, ვინც ენდობიან ე.წ. ოპოზიციურ ტელევიზიებს, მხარს უფრო მეტად უჭერენ ოპოზიციას.

ფიშერის (2018) განმარტებით, მედიის მიმართ ნდობა მოიცავს **მედიუმის** (მაგ., გაზეთები, სოციალური ქსელი, ტელევიზია), **მესიჯისა** (კონტენტის შინაარსი, სტრუქტურა, სიზუსტე და პრეზენტაცია) და **წყაროსადმი** (ჟურნალისტები, მედიაორგანიზაციები) სანდოობას. თუ კონკრეტულად რომელ მედიუმს, მესიჯს ან წყაროს ენდობა აუდიტორია დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ასაკი, გენდერი და პოლიტიკური ორიენტაცია (სხვადასხვა კვლევები სხვადასხვა ფაქტორს გამოყოფენ). შრანცი და სხვები (2018) მიუთითებენ, რომ პოლიტიკურად პოლარიზებული პირები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც იდეოლოგიური უკიდურესობებისკენ იხრებიან, უფრო ნაკლებად ენდობიან მედიას, ვიდრე ცენტრისტული ინდივიდები. პოლარიზაციის საკითხი „მედიახმის“ 2024 წლის მედიაგარემოს კვლევაშიც აქტუალურია. „აგენტების/რუსული კანონის“ მიღებამ და არჩევნების შემდეგ პერიოდმა მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოებაში პოლარიზაცია, რომელიც შესაძლოა მედიისადმი ნდობის შემცირების ერთ-ერთ ფაქტორად დავასახელოთ.

ქვეყანაში ძალაუფლების მიტაცებისა და ბალანსის დარღვევას შეუძლია მედიის თავისუფლებაზე ნეგატიურად იმოქმედოს. როდესაც მედიასაშუალებები კონცენტრირდება მცირე ჯგუფების ან მთავრობის ხელში, ეს იწვევს დამოუკიდებლობის შემცირებას და პლურალიზმის დაკარგვას (მაკენზი, 1999). ძალაუფლების ბალანსის დარღვევა შეიძლება გამოიხატოს პოლიტიკური ზეწოლით, რაც იწვევს ცენზურას ან თვითცენზურას (ნორისი, 2000). მედია ხშირად ხდება ეკონომიკური წნეხის ქვეშ, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ძალაუფლების გადანაწილების არათანაბარ ბალანსს (ბაგდიკიანი, 2004). ძალაუფლების ბალანსის დარღვევის შედეგად, მედია ვეღარ ასრულებს მთავარ როლს დემოკრატიული მონიტორინგის პროცესში (ქურანი, 2002). მნიშვნელოვანია სოციალურ ქსელების როლი მედიისადმი ნდობის გაძლიერება-შესუსტებაში და ეს ძალაუფლების გადანაწილებასთანაცაა დაკავშირებული. საბოლოო ჯამში, როგორც პულიცერის პრემიის ლაურეატი ენ ეფლბაუმი (2024) ამბობს, ავტოკრატებს აერთიანებთ საერთო გადაწყვეტილებები - „წაართვან საკუთარ მოქალაქეებს ნებისმიერი სახის რეალური გავლენა თუ ხმა, ჩაახშონ გამჭვირვალობისა თუ ანგარიშვალდებულების მოთხოვნა მათი მხრიდან და დასაჯონ ნებისმიერი შინ თუ საზღვარგარეთ, ვინც მათ წინააღმდეგ აღიმაღლებს ხმას“ (გვ. 11).

როდესაც საზოგადოება არ და ვერ მონაწილეობს მედიის დღის წესრიგის შექმნაში, როცა ხალხის ხმა, მათი პოზიციონირება არის იგნორირებული (მათ შორის მედიაში), ეს ზრდის უნდობლობას. ამგვარი უნდობლობა აძლიერებს პოპულიზმს, რადგან ისინი ხალხის კუთვნილ ნიშას იკავებენ. ბოლტონის (2017) აზრით, „როცა ადამიანები პოლიტიკური სისტემის მიმართ ნდობას კარგავენ, ეს საშიშ დროზე მიანიშნებს. ეს ხალხს მოწყვლადს ხდის მანიპულაციის, სხვების დადანაშაულების, ერთი ჯგუფის მეორისთვის დაპირისპირების მიმართ“ (გვ.6). უნდობლობის ამგვარ ნიადაგს ვხედავთ საქართველოშიც, სადაც პოლარიზებულ, ინფორმაციულ ეკოსისტემაში გაზრდილია საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის რისკები, მედიის დადანაშაულების პრაქტიკა და მცირდება საზოგადოების მხრიდან ჩართულობის სურვილი.

მედიისადმი ნდობის კრიზისი გლობალური ტენდენციაა. ედელმანის ნდობის ბარომეტრის (2024) მიხედვით, ტრადიციული მედიის მიმართ ნდობა გასულ ათწლეულში მკვეთრად დაეცა და გაუმჯობესების ნიშნებს მხოლოდ ახლა აჩვენებს. მიჩაილიდუს და სხვების (2023) მიხედვით:

> *„ჟურნალისტიკისადმი ნდობა ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ შესუსტდა სკანდალების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკური პარტიებისა თუ მთავრობის დაახლოების გამო (გალაპი, 2019). ასევე, ამაზე იმოქმედა პოპულისტი ლიდერებისა და ახალი ავტორიტარული მთავრობების მხრიდან გახშირებულმა იმ თავდასხმებმა, რომლებიც მიმართულია სიტყვისა და პრესის თავისუფლების წინააღმდეგ. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა უნგრეთი, პოლონეთი და იტალია, პრესის თავისუფლების ინდექსი მკვეთრად იკლებს, ხოლო მთავრობები „ომში“ შევიდნენ ჟურნალისტიკასთან, რაც მოიცავს პროფესიაზე მძარდ ზეწოლას, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტებისა და ავტონომიის შეზღუდვას (რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, 2020“ (გვ. 60).*

მედიის წარმომადგენლების მიმართ კრიტიკა, ხშირად მიმართულია მათი კომპეტენციის დისკრედიტაციისა და სტიგმატიზაციისკენ, რაც მათგან მტრის ხატს ქმნის. კრემერის (2018) მიხედვით, მემარჯვენე პოპულისტების კრიტიკა მედიის მიერ ფაქტების გაყალბებასა და გარკვეული ინფორმაციის მიზანმიმართულად არგაშუქებაში მდგომარეობს. ავტორის აზრით,ჟურნალისტებისთვის შეუძლებელია სრული ობიექტურობის შენარჩუნება, რადგან

მათი პროფესიული ნორმები მოქნილია და იძლევა სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაშუქდეს (კრემერი, 2018). ეს მოცემულობა მემარჯვენე პოპულისტების ანტიპლურალისტურ იდეოლოგიასთან ერთად აადვილებს ჟურნალისტების დადანაშაულებას მიკერძოებაში. ამასთან, კრემერის (2018) მტკიცებით, მედია არ არის მზად, უპასუხოს მემარჯვენე პოპულისტების კრიტიკას, პირიქით, ხელს უწყობს პოპულისტური შეხედულებების ნორმალიზებას, როდესაც ის არათანაბარი/არადაბალანსებული გაშუქების კრიტიკას პოპულისტების შეხედულებების უფრო ხშირი გაშუქებით პასუხობს.

თავისთავად, ნდობის ნაკლებობას შეუძლია შეამციროს საზოგადოების მხრიდან ჟურნალისტებისა და მედიის მხარდაჭერა. საქართველოში მედიის სანდოობის რღვევაში დიდი წვლილი შეიტანა პოლარიზაციამ, დეზინფორმაციამ, მედიის დისკრედიტაციის კამპანიებმა და სხვ. კვლევების (გერსამია, საჯაია, 2024) მიხედვით „კლეპტოკრატიისთვის დამახასიათებელია ინსტიტუციებისადმი ნდობის შემცირება და მათი დისკრედიტაცია და ეს ეხება მედიასაც" (გვ. 50). „მედიახმის" 2023 წლის კვლევაში (გერსამია, ტორაძე, ბანძელაძე, 2024) აღნიშნულია, „პოლარიზაციის ზეგავლენის გამო, მედიისადმი ნდობა შემცირდა. მოახლოებული არჩევნების კონტექსტში, ეს გამოწვევაა: თუ ამომრჩეველი არ ენდობა მედიას (და სხვა ინსტიტუციებს), ამით ვიწროვდება მისი ინფორმირებული არჩევანის საზღვრები. ამ შემთხვევაში, მეტი სივრცე ჩნდება პოპულისტური დისკურსისა და მანიპულაციისთვის" (გვ. 9). ამასთან, „პოლარიზაცია იწვევს იმას, რომ პოლიტიკოსები და მედია დაშორდნენ ხალხს და აღარ საუბრობენ იმ პრობლემებსა და რეფორმებზე, რომლებიც ხალხს აღელვებს". ეს აზიანებს მედიაკონტენტის ხარისხს და მედიისადმი ნდობასა და სოლიდარობაზე ნეგატიურად მოქმედებს. ნდობას აზიანებს მედიის დისკრედიტაციის კამპანიები ონლაინ და ოფლაინ მედიასივრცეში (გერსამია და სხვები, გვ. 14-27). აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ახალი ამბებისა და ჟურნალისტების მიმართ აუდიტორიის ნდობის აღდგენაზე და ამისთვის „იყენებენ სოციალური მედიის იმავე ინსტრუმენტებსა და პლატფორმებს, რომლებმაც თავიანთი როლი ითამაშეს ჟურნალისტიკისადმი ნდობის შემცირებაში" (ჯონსონი, ტალი, 2023).

მნიშვნელოვანია პროდასავლურ მედიას შორის ურთიერთნდობასა და ურთიერთსოლიდარობაზე დაკვირვება. ნდობის აღდგენას აძლიერებს საერთო გამოცდილების დაგროვება, საერთო მიზნისა და ინტერესის გარშემო გაერთიანება. ამგვარი სოლიდარობა არ უნდა იყოს ფრაგმენტული და ერთჯერადი, სიმბოლური ხასიათის, არამედ უნდა გადაიზარდოს პროცესისა და რუტინის ნაწილად. მედია კრიზისულ სიტუაციებში ყოველთვის ავლენდა სოლიდარობას და ერთიან დღის წესრიგსაც კი ქმნიდა მაშინ, როცა პოლიტიკური აქტორების ჩარევა მედიის დღის წესრიგში სუსტდებოდა. ამის მაგალითია რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ საერთო სოლიდარობა (გერსამია, გიგაური და  სხვები, 2024), რომელიც სამთავრობო არხებმა პირველ თვეს შეინარჩუნეს და შემდეგ სამთავრობო დღის წესრიგზე გადავიდნენ. 2024 წელს საქართველოში მედიის სოლიდარობის აქციები დემონსტრაციებისა და მედიაზე ძალადობის გაპროტესტების პარალელურად იმართებოდა, რომელშიც პოლარიზებული მედიის სხვადასხვა მხარეს მყოფი მედია ცდილობდა თავისი როლი გამოეკვეთა.

ფიშერი (2018) ყურადღებას ამახვილებს მედიისადმი ნდობის მნიშვნელობაზე დემოკრატიულობის შენარჩუნებაში. მისი აზრით, დიგიტალიზაციამ საფრთხე შეუქმნა მედიაინდუსტრიას, რადგან ონლაინ სივრცეში ყველას შეუძლია ინფორმაცია გაავრცელოს, იქნება ეს ბლოგერი თუ მოქალაქე ჟურნალისტი, რაც ამცირებს ჟურნალისტიკისადმი ნდობას. ერთი მხრივ, ეს გარემოება შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს, რადგან იზრდება საზოგადოების ინფორმირებულობა, თუმცა, მეორე მხრივ, ეს ზრდის არასანდო კონტენტის, დეზინფორმაციის რაოდენობას.

მედიისადმი უნდობლობის შემდეგ ფაქტორად შეგვიძლია ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა განვიხილოთ. კოლერი და ოტო (2018) აღწერენ დემოკრატიულ სისტემაში ჟურნალისტიკის კრიტიკულ როლს, რომლის მიმართ ნდობა დამოკიდებულია პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობაზე. შესაბამისად, ქვეყანაში, სადაც მაღალია უმუშევრობა, დაბალია ხელფასები და მზარდია ინფლაცია, მედიისადმი ნდობა ნაკლებია (კოლერი და ოტო, 2018).

მედიისადმი ნდობის გაზრდა დადებითად აისახება მედიაორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე. შრანცი და სხვები (2018) აღნიშნავენ, რომ მედიისადმი მაღალი ნდობა ზრდის საზოგადოების დაინტერესებას ახალი ამბების მიმართ და პროფესიონალურად წარმოებული ჟურნალისტიკისთვის უპირატესობის მინიჭებას განაპირობებს. გარდა ამისა, მაღალი ნდობის მქონე მომხმარებელი უფრო მოტივირებულია, ფინანსურად დაეხმაროს მედიას ახალი ამბებისთვის თანხის გაღების და რეკლამების ყურების გზით. (შრანცი, შნაიდერი და ეიზნეგერი, 2018).

საქართველოსთან მიმართებით გასათვალისწინებელია ისტორიული კონტექსტი: საბჭოთა მემკვიდრეობიდან მედიასისტემამ მიიღო პარტიებთან სიმბიოზური ურთიერთობის მანკიერი პრაქტიკა. ეს და სხვა მახასიათებელი, რომელიც ვლინდება პოლიტიკოსებთან და პარტიებთან (მმართველ გუნდთან და ოპოზიციასთან) არაპროფესიულ, არაჯანსაღ ურთიერთობებში. სისტემა სხვადასხვა დროს ევოლუციურად იმეორებს თავის თავს, რადგან არ აქვს ის ტრანსფორმაციული გამოცდილება, რომელიც შეძლებდა სისტემის ბუნების შეცვლას. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, სატელევიზიო სივრცეში იყო დამოუკიდებელი მედიის არსებობის ცალკეული ეპიზოდები, თუმცა პარტიული მიკერძოება, ფინანსური არასტაბილურობა დომინირებდა. ამ კუთხით, ქართულ მედიასისტემაში მხოლოდ ცალკეული მედიასაშუალებები და პროგრამები (მათ შორის, რამდენიმე ონლაინ, რეგიონული და საგამოძიებო მედია; ასევე, მეინსტრიმული მედიის რამდენიმე სატელევიზიო პროგრამა) ქმნიან გამონაკლისებსა და ახალ გამოცდილებას.

## ■ 3.3. მედია, როგორც ძალადობის სამიზნე

2024 წელს „რუსული/აგენტების კანონის" რეინიციირების შემდეგ ხელისუფლების მხარდამჭერმა ძალადობრივმა ჯგუფებმა გააძლიერეს ჟურნალისტების დაშინებისა და სტიგმატიზაციის პრაქტიკა, რაც მიზნად ისახავდა მედიაში კრიტიკული ხმების ჩახშობას. ეს თავდასხმები პირდაპირ უკავშირდებოდა ჟურნალისტების მონაწილეობას ანტირუსულ საპროტესტო კამპანიებში. მედიის კრიტიკულ არხებზე ზეწოლის ტენდენცია კრემლის რეჟიმის ხრიკების მსგავსი იყო.

„რეპორტიორები საზღვრების გარეშე" (RSF) ანგარიშის თანახმად, 3 აპრილიდან 14 მაისამდე საქართველოში ახალი კანონის მესამე მოსმენით მიღებამდე 15-ზე მეტი ჟურნალისტი ძალადობისა და დაშინების მსხვერპლი გახდა. ამ პერიოდში დაიწყო სატელეფონო მუქარები სამოქალაქო აქტივისტების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტებისა და მათი ოჯახების მისამართით. მუქარები რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. საპროტესტო აქციების გაშუქების პარალელურად, ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფები სიძულვილის ენის შემცველ შინაარსს, სტიგმატიზაციის გზავნილებსა და შეურაცხმყოფელ კონტენტს აკრავდნენ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების საცხოვრებელ სახლებთან და ოფისებთან. მსგავსი პლაკატები გაკრული იყო „მთის ამბების" (Mtis Ambebi) რედაქტორის, გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლისა და ოფისის სიახლოვეს. საგამოძიებო „სტუდია მონიტორის" (Studio Monitor) დირექტორის, ნინო ზურიაშვილის საცხოვრებელი სახლის კარზე, დააზიანეს მისი ავტომობილიც. არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედია ომბუდსმენმა" შესაბამის ორგანოებს მიმართა, გამოიძიონ სამი

ჟურნალისტის — ნინო ზურიაშვილის, ნანა ბიგანიშვილისა და ნათია კუპრაშვილის — მიმართ განხორციელებული მუქარები, სისტემური დევნა და პერსონალური მონაცემების დაცვის დარღვევები. სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევის ფაქტზე საქმის წარმოება დაიწყო. ძალადობა გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზეც. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა „მედიახმის“ დამფუძნებლის ცემა მის საცხოვრებელ სახლთან, 14 მაისს. თავდასხმის დროს, მას უთხრეს, რომ ცემის მიზეზი ის იყო, რომ იგი არ უჭერდა მხარს „რუსულ კანონს“.

წინასაარჩევნო პერიოდში რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველოში აზერბაიჯანელი, დევნილი ჟურნალისტი აფგან სადიგოვი, რომელიც 3 აგვისტოს, დააკავეს, ხოლო 28 ნოემბერს საქალაქო სასამართლომ მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიიღო. წინა წლებში სადიგოვი აზერბაიჯანში პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით იყო დამნაშავედ ცნობილი და საერთაშორისო ორგანიზაციებმა პოლიტიკური პატიმარი უწოდეს.

„აგენტების/რუსული კანონის“ რეინიცირებისა და მიღების პროცესისას[1], ასევე პოსტ-საარჩევნო პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა მშვიდობიანი, საპროტესტო დემონსტრაციები, რომელსაც თან ახლდა პოლიციური ძალების უპრეცედენტო მობილიზება. 2024 წელს საგანგაშო იყო მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის სტატისტიკა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მონაცემებით, მედიის წარმომადგენლების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის, ასევე მათი სხვადასხვა ფორმით დაშინებისა და გაჩუმების მცდელობების 200-მდე შემთხვევა აღირიცხა, აქედან 80% - ოქტომბრის ბოლოდან დღემდე. 2024 წელს ჟურნალისტების მიმართ საჯაროდ დაფიქსირებული ძალადობის შემთხვევები 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 5-ჯერ მეტია.

20 დეკემბერს მედიის თავისუფლების კოალიციამ თანათავმჯდომარე ქვეყნების (გერმანიისა და ესტონეთის) სახელით გაავრცელეს განცხადება, რომელსაც 27 ქვეყანა მიუერთდა. განცხადებაში კოალიციამ უკიდურესი შეშფოთება გამოხატა, პროევროპული საპროტესტო აქციებზე მმართველი გუნდის მიერ ჟურნალისტებისა და მედიაში დასაქმებულების მიმართ ძალის გადამეტების, ძალადობისა და დაკავებების გამო. ერთობლივი განცხადება გაავრცელა ევროპის საბჭოს ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მედიის თავისუფლების მეგობართა ჯგუფმა.

საერთაშორისო ორგანიზაცია Media Freedom Rapid Response-ის მონაცემებით, 2024 წლის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული 138 საგანგაშო შეტყობინება, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა ინციდენტი. ამ ინციდენტებიდან ყველაზე მეტი (44) იყო ფიზიკური ძალადობა, საკუთრებაზე თავდასხმა და დაზიანება (14), ვერბალური ძალადობა (36), კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ (33), ცენზურა (34): ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, აკრედიტაციაზე უარი ან გაუქმება, ინფორმაციაზე და შეხვედრებზე დასწრების წვდომის დაბლოკვა (30), და სხვ. ჩვენს კვლევაში ჩართული მონაწილეებიდან ყველას შეეხო ერთი ან რამდენიმე ინციდენტი.

2024 წელს მედიის დისკრედიტაციის კამპანია ფიზიკურ ძალადობასთან შეწყვილდა. ეს არაა უცხო პრაქტიკა ავტოკრატიული რეჟიმებისთვის. ეფლბაუმი (2024) თავის წიგნში აღწერს სწორედ ამგვარ კამპანიას, „როდესაც საჯარო გაშავების პრაქტიკა შეწყვილებულია ფინანსურ შევიწროებასთან, მიმოსვლის კონტროლსა და ფიზიკურ ძალადობასთან, ოღონდ არა

[1] მხოლოდ 15 აპრილიდან 14 მაისამდე პერიოდში დემონსტრაციებსა და პროტესტებთან დაკავშირებულ მოვლენებში დაკავებულ იქნა 193 პირი, მათ შორის აქტივისტები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ბლოგერები და პოლიტიკოსები.

მკვლელობასთან“ (გვ. 178). ეფლბაუმი აღნიშნავს, რომ მიზანი დაშინება და მიმდევრების დაფრთხობაა და არა - კონკრეტული სამიზნის საერთოდ გაქრობა. ამ პრაქტიკას ჩვენს კვლევაში ჩართული ჟურნალისტებიც არაერთგზის აღწერენ.

2024 წელს ერთ-ერთ გამოწვევად კვლავ რჩებოდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოუძიებლობა და დაუსჯელობა. არჩევნების შემდეგ, საპატიმრო ვადაზე ადრე [დატოვეს ]მსჯავრდადებულებმა, რომლებიც 2021 წლის 5 ივლისის საქმეზე მედიის წარმომადგენლებზე, მათ შორის „ტვ პირველის“ ოპერატორზე, ლექსო ლაშქარავაზე[2] ფიზიკური ძალადობისთვის იხდიდნენ სასჯელს. დაუსჯელობის პრაქტიკის დასრულებაში თავისი წვლილის შეტანა საერთაშორისო, მიზნობრივ სანქციებსაც შეუძლია.

## 3.4. მიზნობრივი სანქციების გავლენა მედიაგარემოზე

წინა წლებისგან განსხვავებით, 2024 წელი მიზნობრივი სანქციების ინტენსიური მოთხოვნისა და მათი ეტაპობრივი გამოცხადებების ფონზე მიმდინარეობდა. „მედიახმის“ 2023 წლის კვლევაში ყურადღება გამახვილებული იყო მიზნობრივი სანქციების მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ „გლობალურ კონტექსტში, მედეგობის გაძლიერებისა და ჟურნალისტების დაცვისთვის მნიშვნელოვანი ხდება მიზნობრივი სანქციების გლობალური ადვოკატირება“ (გერსამია მ. და სხვები, გვ.16). როგორც „მედია თავისუფლების კოალიციის” სამართლის ექსპერტების მაღალი დონის პანელი (High Level Panel of Legal Experts on Media Freedom) განმარტავს (MFC; თებერვალი, 2020), მიზნობრივი სანქციები (განსაკუთრებით, ფინანსური სანქციები) არის საერთაშორისო ნორმების გაძლიერების ერთ-ერთი და ზოგ შემთხვევაში - ერთადერთი გზა. ევროპარლამენტის ანგარიშის (European Parliament Targeted Sanctions Report; 2018) მიხედვით კი, მიზნობრივ სანქციებს სტიგმატიზების ეფექტი აქვს და, როგორც რობერტსონი და რამერი (2018) განმარტავენ, ესაა მოძალადეების „დასახელების, დადანაშაულების და შერცხვენის” ინსტრუმენტი (გვ.10). პულიცერის პრემიის ლაურეატის, ენ ეფლბაუმის (2024) შეფასებით, იდეურ ავტოკრატებს საერთო რწმენა აქვთ იმაზე, რომ „გარე სამყარო მათ ვერ შეეხება, რომ სხვა ერების შეხედულებებს მნიშვნელობა არ აქვს და რომ მათ ვერანაირი საზოგადოებრივი აზრის სასამართლო ვერასოდეს განსჯის“ (გვ.15). ავტოკრატების სწორედ ამ შედარებით ახალი მითის დანგრევას შეიძლება ემსახურებოდეს მიზნობრივი სანქციების პრაქტიკა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, მათი შევიწროების საქმეებზე, მიზნობრივი სანქციების მოთხოვნის პრაქტიკა 2024 წლამდე არ იყო დამკვიდრებული, რაც აძლიერებდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან არსებულ დაუსჯელობის სინდრომს. კვლავაც აქტუალურია ის წინაპირობები და საფრთხეები, რომლებსაც ექსპერტები მიიჩნევენ ამა თუ იმ მოძალადის (ინდივიდისა თუ კომპანიის) მიზნობრივი სანქცირების წინაპირობად. ამ თემებზე „მედიახმის“ 2023 წლის კვლევაში ვრცლად ვსაუბრობდით. 2024 წელს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ საფრთხეების აქცენტირება და მათი იდენტიფიცირება ქართულ მედიასივრცეში, ესენია: მკვლელობები, წამება და სხვა სასტიკი და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, გატაცება და ფიზიკური შეურაცხყოფა, უსაფუძვლო დაკავება, უსამართლო სასამართლო პროცესი და თვითნებური დაკავება, დევნის სხვა ფორმები, მათ შორის ცილისწამების მუხლით ჩივილი, ძალის გადამეტება, უსაფუძვლო სარჩელებით ან ფინანსური გამოძიებებით, მუქარითა და

[2] 2021 წლის 5 ივლისს გამართულ დემონსტრაციაზე, პროფესიული ვალდებულების შესრულებისას, “ტვ პირველის” ოპერატორი ლექსო ლაშქარავა სასტიკად სცემეს. რამდენიმე დღეში ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა.

ონლაინ შევიწროებით, თვალთვალითა და წყაროების „დოქსინგით“ მედიის სისტემური შეზღუდვები, მათ შორის ლიცენზირების, აკრედიტაციისა და დაფინანსების შეზღუდვები, ისევე, როგორც მთელი მედიასაშუალებებისა და ინტერნეტ კომუნიკაციების გათიშვა. ასევე საგანგაშოა, რომ ჟურნალისტების გაჩუმება ხდება ყალბი ბრალდებებით, უსამართლო სასამართლო პროცესებითა და ხანგრძლივი პატიმრობით (CPJ, 2019).

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა მიზნობრივი სანქციების ეტაპობრივი გამოცხადება 2024 წლის 6 ივნისს დაიწყო. სანქციები მოიცავდა მოგზაურობის აკრძალვას „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის, პარლამენტარებისთვის, კერძო პირებისთვისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, მეთიუ მილერის თქმით, სანქცირებულ პირებს შორის არიან ის პირები, რომლებიც „ანტიდემოკრატიულ აქტივობებში“ მონაწილეობდნენ.

2024 წლის ბოლოს შეერთებულმა შტატებმა „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი დაასანქცირა. მანამდე, 19 დეკემბერს გაერთიანებულმა სამეფომ სანქციები დაუწესა ქართველ თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მედიისა და მომიტინგეების სასტიკ დარბევაზე. დიდმა ბრიტანეთმა შეერთებულ შტატებთან კოორდინირებული მოქმედებით სანქციები დაუწესა ხუთ მაღალჩინოსანს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საქართველოში ჟურნალისტებსა და მშვიდობიან მომიტინგეებზე ძალადობრივ თავდასხმაში. საგარეო საქმეთა მინისტრმა, დევიდ ლამმიმ განაცხადა: „დემონსტრანტების, ოპოზიციის ლიდერებისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული შოკისმომგვრელი ძალადობა არის საშინელი თავდასხმა დემოკრატიაზე და ქართველი ხალხის უფლება შეძლონ თავისი ფუნდამენტური თავისუფლებების განხორციელება”. 19 დეკემბერს სანქციები გააფართოვა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც.

და ბოლოს, მარია რესა თავის წიგნში - „როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“ - ინტერესდება, თუ „როგორ გადახალისდა საერთაშორისო სამართალი საინფორმაციო ეკოსისტემის ცვლილებების გამო” და რწმუნდება, რომ “ფაქტები კანონის უზენაესობის ქვაკუთხედია“ (გვ.289). მიზნობრივი სანქციების გამოცხადებას გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება სტიგმატიზაციის ეფექტი და თავის როლს შეასრულებს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის დასრულებაში. იმავე ეფექტის მატარებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

## ■ 3.5. კანონის ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ

საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 17) აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო; ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია; სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება; ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მედიაგარემო მნიშვნელოვან პროგრესს განიცდიდა და „მიჩნეული იყო ყველაზე თავისუფალ, დამოუკიდებელ და მრავალფეროვან მედიად ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.“ (გერსამია, ფრიდმანი, 2019). ბოლო წლებში დრამატულად გაუარესებულმა მედიაგარემომ და 2024 წელს განხორციელებულმა რეპრესიულმა კანონებმა საქართველოს ლიდერობის პოზიცია დააკარგვინა.

„სუპერ არჩევნების წელს“ მედიაგარემოზე გლობალურად და ლოკალურად იმოქმედა 2024 და წინა წლებში მიღებული რეპრესიული, რუსული სტილის კანონების ინსტრუმენტალიზაციამ და მსუსხავმა ეფექტმა. მკვლევრები (გერსამია, საჯაია, 2024) აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე ის საგამოძიებო ჟურნალისტები არიან, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კორუფციასთან და სახელმწიფოს მიტაცებასთან ბრძოლაში და სწორედ ამიტომ ხდებიან სამიზნეები.

2024 წელს მიღებულმა რეპრესიულმა კანონებმა რისკის ქვეშ დააყენა გამოხატვის თავისუფლების გარანტიები. იმ გლობალური კონტექსტისა და ტენდენციების გათვალისწინებით, რომლებსაც ავტორიტარული რეჟიმები მიჰყვებიან, კანონების ინსტრუმენტალიზაცია მედიის წინააღმდეგ და, ზოგადად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის, შესაძლოა გაგრძელდეს. მედეგობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ამ რისკებზე პრევენციულად მსჯელობა და საპასუხო მექანიზმების დროული ამოქმედება. წინამდებარე კვლევაში შევეხებით, თუ როგორ უყურებენ მედიაში დასაქმებულები რუსული სტილის კანონების იმპლემენტაციისა და გარემოს გაუარესების სცენარებს. ასევე, ინტერნეტსივრცის შესაძლო რეგულაციებს და სხვ.

„მედიახმის“ გასული წლის კვლევაში (გერსამია, ტორაძე, ბანძელაძე, 2024) აღნიშნულია, რომ „ჟურნალისტების საქმიანობის ხელისშეშლისთვის და შეზღუდვისთვის მმართველმა პარტიამ კანონის ინსტრუმენტალიზაციასა და რეგულირების გამკაცრებას სისტემურად მიმართა. ჟურნალისტების აზრით, მმართველი პარტია ამ რეგულაციებს არჩევნების დროს აამოქმედებს, მაშინ, როცა საზოგადოებას ყველაზე მეტად დასჭირდება ობიექტური და მრავალმხრივი ინფორმაცია ინფორმირებული არჩევანის მისაღებად“ (გვ. 9). წინამდებარე კვლევაში მნიშვნელოვანია ამ მოლოდინის შეფასება და ანალიზი.

2024 წელს მმართველმა გუნდმა კასკადურად მიიღო რეპრესიული და ანტიდასავლური კანონები, რითაც დრამატულად შეიზღუდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფორმები, მედიის თავისუფლება და ადამიანის უფლებები:

- საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ე.წ. რუსული/აგენტების კანონი;
- საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ მოიცავს საკანონმდებლო პაკეტს, ე.წ. ცენზურის კანონი (პაკეტი მოიცავს: ცვლილებებს ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, ცვლილებებს ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში, ცვლილებებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, და სხვ.);
- ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, ე.წ. ოფშორების კანონი.
- ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში;
- ცვლილებები „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში;
- ცვლილებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- ცვლილებები „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“საქართველოს კანონში.
- ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, პიროტექნიკის ნაწარმის შენახვა-გამოყენების შესახებ;

- ცვლილება საქართველოს კანონში ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომელიც ასევე პიროტექნიკას ეხება;

- ცვლილება საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

ქრონოლოგიურად, 2024 წლის 3 აპრილს პარტია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ, გამოაცხადა „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონპროექტის ხელახლა ინიცირების შესახებ. კანონი 2023 წელს პირველი მოსმენით იქნა მიღებული, მაგრამ შემდეგ ფართომასშტაბიანი პროტესტისა და საერთაშორისო კრიტიკის გამო გაიწვიეს. 2024 წლის 8 აპრილს საქართველოს პარლამენტის ბიურომ ოფიციალურად დაარეგისტრირა კანონპროექტი სახელწოდებით „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი“. ეს ნაბიჯი ეწინააღმდეგებოდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ 2023 წელს გაცემულ დაპირებას, რომ კანონის ხელახალი განხილვა და ინიცირება არ მოხდებოდა.

2024 წლის 14 მაისს მმართველმა პარტიამ მიიღო „უცხოური აგენტების/რუსული კანონი“ მესამე და საბოლოო მოსმენით - 84 ხმით 30-ის წინააღმდეგ. ეს მოხდა მასობრივი პროტესტისა და დასავლეთის მკაცრი კრიტიკის ფონზე. 2024 წლის 28 მაისს „ქართული ოცნების“ უმრავლესობამ დაძლია პრეზიდენტის ვეტო და კანონი ოფიციალურად ძალაში შევიდა 2024 წლის 3 ივნისს მას შემდეგ, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა მას ხელი მოაწერა.

„აგენტები კანონი“ მოიცავს მსგავს რეგულაციებს, რომლებიც 2012 წელს ვლადიმერ პუტინის რუსეთში მიიღეს (აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECHR) დაადგინა, რომ რუსეთის „უცხოური აგენტების“ კანონი არღვევს უფლებებს). გერმანიის მარშალის ფონდის (The German Marshall Fund of the United States) ანალიზის მიხედვით, რუსეთში 2012 წელს მიღებული კანონი უცხოური აგენტების შესახებ თავდაპირველად არასამთავრობო ორგანიზაციებს შეეხო, თითქოს გამჭვირვალობის სახელით. შედეგად, კრიტიკული მედია დაითრგუნა. 2019 წელს რუსეთის სახელმწიფო დუმამ მხარი დაუჭირა კანონის გაფართოებას, რის შემდეგაც ის შეეხო ფიზიკურ პირებსაც.

საქართველოში 2024 წელს მიღებული რეპრესიული კანონის საბოლოო ვერსია უკვე მოიცავს მუხლებს ფიზიკური პირების შესახებ და მათთვის ჯარიმების დაკისრების მექანიზმს. გარდა ამისა, მთავრობას მიენიჭა უფლება, მოითხოვოს არა მხოლოდ პირადი, არამედ კონფიდენციალური ინფორმაცია. ამ კანონმა შეიძლება გამოიწვიოს მთავრობის მიმართ კრიტიკული მედიის მარგინალიზაცია და მათი დაფინანსების შეწყვეტა, რაც მედიასაშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ლიკვიდაციამდეც კი მიიყვანს. ეს რისკები მთელი 2024 წლის განმავლობაში განხილვის საგანი იყო და წინასაარჩევნოდ მედიის დღის წესრიგში დომინირებდა.

ეს კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, რადგან დემოკრატიული ნორმების ნაცვლად, ავტორიტარულ პრაქტიკაზეა მორგებული. კანონი ასევე მიმართულია საქართველოს საერთაშორისო მეგობრების წინააღმდეგ. რისკები მოიცავს მედიასაშუალებების სტიგმატიზაციასა და იზოლაციას, დაფინანსების დაკარგვისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესაძლებლობასაც კი. „სწრაფი რეაგირება მედიის თავისუფლებისთვის“ (MFRR) ანგარიშის მიხედვით, „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონები არა მხოლოდ უშუალოდ აისახება მედია ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც ამ სტატუსით მოინიშნებიან, არამედ ქმნის მსუსხავ ეფექტს (chilling effect).

გასათვალისწინებელია გლობალური ტენდენციებიც. სხვადასხვა ქვეყანაში „აგენტების კანონის“ მსგავსებაზე ამახვილებს ყურადღებას ორგანიზაცია “Human Rights Watch” (კიროვა, 2024). „აგენტების“ რუსული-სტილის კანონები უკვე მიღებულია და მოგვიანებით ბევრგან გამკაცრებულია: უნგრეთში (2017), ინდოეთში (2014-2020), ნიკარაგუაში (2020), უზბეკეთში (2022), ყირგიზეთში (2024). მსგავსი კანონპროექტი ინიცირებულია თურქეთსა (2024) და სლოვაკეთში (2024). ავტორიტარული რეჟიმების გაძლიერებამ სხვადასხვა რეგიონში საფრთხე შეუქმნა დემოკრატიულ პროცესებს, განსაკუთრებით - „სუპერ საარჩევნო წელს“.

კანონის რეინიცირებასა და მიღებას ნეგატიური რეაქციები მოჰყვა საერთაშორისო პარტნიორების (აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ-ის ჰელსინკის კომისია, ევროკავშირი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ნატოს გენერალური მდივანი, ევროპარლამენტის წევრები, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, Freedom House და სხვ.). ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა (CPJ) ხაზი გაუსვა, რომ კანონი საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებას, განსაკუთრებით ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ და მოუწოდა მმართველ პარტიას გაიწვიოს კანონი, თუ საქართველო ევროკავშირში წარმატებით გაწევრიანებას ისახავს მიზნად. კიდევ ერთი განცხადება იყო გაკეთებული CPJ-ის მიერ 14 მაისს. Media Freedom Rapid Response-მა (MFRR) გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ექვსმა ორგანიზაციამ (ARTICLE 19 Europe, EFJ, ECPMF, FPU, IPI, OBC Transeuropa) მოაწერა ხელი. ისინი სოლიდარობას უცხადებენ საქართველოში მოქმედ დამოუკიდებელ ჟურნალისტებსა და მედიის თავისუფლების დამცველებს და მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, თავი შეეკავებინა შეთავაზებული კანონპროექტის მიღებისგან. ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) 3 აპრილს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდა საქართველოს პარლამენტს, უარი ეთქვა ამ კანონის მიღებაზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის დაშინების მცდელობას წარმოადგენდა. 15 მაისს გამოქვეყნებულ მეორე განცხადებაში RSF-მა მოუწოდა ხელისუფლებას, განეხორციელებინა გამჭვირვალე გამოძიება ჟურნალისტებზე თავდასხმებთან დაკავშირებით და გაეუქმებინა მედიის თავისუფლების შეზღუდვისკენ მიმართული კანონი.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა, მაიკლ ო’ფლაერტიმ 11 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს წერილით მიმართა და მოუწოდა, რომ „თავი შეიკავოს ე.წ. აგენტების კანონის მიღებისგან“ და კონსულტაციები გამართოს ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა შეიქმნას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდამჭერი სამუშაო გარემო. წერილში გამოითქვა მოთხოვნა, რომ ის პარლამენტის ყველა წევრისთვის გადაეცათ, თუმცა დოკუმენტი დეპუტატებისთვის არ გაუგზავნიათ.

2024 წლის 21 მაისს ვენეციის კომისიამ „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონის შესახებ გადაუდებელი დასკვნა გამოაქვეყნა, რომელშიც იგი მკაცრ რეკომენდაციას უწევდა კანონის ამჟამინდელი რედაქციის გაუქმებას. კომისია აღნიშნავდა, რომ „კანონის არსებით ხარვეზებს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები მოჰყვება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების უფლებაზე, საჯარო საქმიანობაში მონაწილეობის უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.“

2024 წლის 16 ივლისს მედიათავისუფლების კოალიციამ (Media Freedom Coalition - MFC) განცხადება გაავრცელა „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის თაობაზე საქართველოში. კოალიციის 28 ხელმომწერმა ქვეყანამ ღრმა შეშფოთება გამოხატეს საქართველოში მედიის თავისუფლების მდგომარეობის გამო. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ეს შემაშფოთებელია საქართველოს დემოკრატიის მომავლისთვის, მათ შორის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისთვის“.

საქართველოს შიგნითაც, მათ შორის ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (400-მდე ორგანიზაცია) ერთობლივი განცხადებით მკაცრად გააკრიტიკეს კანონის ხელახალი ინიციირება. მათი აზრით, ეს ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიისთვის და ევროპული ინტეგრაციის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი დარტყმაა. კანონპროექტს მწვავე კრიტიკა მოჰყვა საზოგადოებრივი აზრის ლიდერების, პროფესიული ასოციაციების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან.

სამოქალაქო საზოგადოება, მედიაორგანიზაციები, საქართველოს პრეზიდენტი და ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ მიღებული კანონი არაკონსტიტუციურია, რადგან ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფო საკონსტიტუციო ორგანოებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად[3]. 17 ოქტომბერს „აგენტების/რუსული კანონის“ წინააღმდეგ სარჩელი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECoHR), რომელსაც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (GYLA) უძღვება. მოსარჩელეთა შორის არის 16 მედიაორგანიზაცია, 120 არასამთავრობო ორგანიზაცია და ოთხი ფიზიკური პირი. სარჩელში აღნიშნულია, რომ კანონი არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ შემდეგ უფლებებს:

- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11);
- გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10);
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 8);
- დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხლი 14);
- ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება (მუხლი 13);
- უფლებებზე შეზღუდვების გამოყენების ფარგლები (მუხლი 18).

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ „უცხოური აგენტების კანონით“ და მისი გამოყენებით, დაარღვია კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები.

საქართველოში კანონის ძირითადი დებულებების ამოქმედება საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხდა, რაც უარყოფითად აისახა დამოუკიდებელ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. კანონით მთავრობას მიეცა ბერკეტები, ჩაახშოს კრიტიკული ხმები, გააკონტროლოს საზოგადოებრივი დისკურსი და დააშინოს დამოუკიდებელი დამკვირვებლები. ამან საფრთხე შეუქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

2024 წლისთვის მკვლევრების (გერსამია, საჯაია, 2024) შეფასდა „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ 2022 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მსუსხავი ეფექტი, რომელიც რუსული ჰიბრიდული სტრატეგიის პირობებში, საკანონმდებლო ჩარჩოს მედიისა და სახელმწიფოს მიტაცებისთვის იყენებს. ჩვენს კვლევაში ჩართული მონაწილეებიც ახსენებენ კრიტიკული მედიაზე ზემოხსენებული კანონის ნეგატიურ ეფექტს. ეს ადასტურებს, რომ „საკანონმდებლო ცვლილებებს შესაძლოა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი, მაგრამ მათმა იმპლემენტაციამ დააზიანოს დემოკრატიული გარემო“(გვ. 53). მკვლევართა შეფასებით, „მაუწყებლობის შესახებ კანონში“ ცვლილებების დაჩქარებული წესით განხილვამ მნიშვნელოვნად დააზიანა მედიის სიცოცხლისუნარიანობა.

[3] „აგენტების/რუსული კანონზე“ საკონსტიტუციოში დავობს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი), ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ა(ა)იპ „უფლებები საქართველო“, ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“ და სხვები (სულ 122 მოსარჩელე), შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი“.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოიკვეთა საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიის მიერ მმართველი პარტიის ნარატივის პრივილეგირება, რაც მოიცავდა ოპოზიციური არხების დაჯარიმებას. კერძოდ, კომისიამ ოპოზიციური „მთავარი არხი" დააჯარიმა იმ ვიდეოკლიპების გავრცელების გამო, რომლებიც უარყოფითად წარმოაჩენდა „უცხოელი აგენტების კანონის" მხარდამჭერ დეპუტატებს. კომისიის აზრით, ეს ქმედება მაუწყებლობის სტანდარტების დარღვევაა.

მოგვიანებით კომუნიკაციების კომისიამ დააკმაყოფილა „ქართული ოცნების" საჩივარი და სამ ტელევიზიას („ფორმულა", „ტვ პირველი", „მთავარი არხი") ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი შეუდგინა და თითოეული 15,000 ლარით დააჯარიმა. ამ ტელევიზიებმა უარი განაცხადეს „ქართული ოცნების" საარჩევნო კლიპების ეთერში განთავსებაზე, რომელშიც უკრაინელი ხალხის ტრაგედია პოლიტიკური მიზნებისთვის უხეშად იყო გამოყენებული. მედიის ადვოკატირების კოალიციამ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ რეკლამის განთავსების ეს მოთხოვნა შეაფასა მედიის თავისუფლებისა და ეთიკური ჟურნალისტიკის უხეშ დარღვევად. მსგავსი შინაარსის რეკლამების სამთავრობო არხებზე განთავსება არაა მხოლოდ „ქართული ოცნების" ანტი-უკრაინული ნარატივის პოზიციონირება, რომელიც უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში გამოიკვეთა. კვლევის მიხედვით (გერსამია, გიგაური და სხვები, 2024), 2022 წელს უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყებიდან პირველ თვეებში ქართული სამაუწყებლო მედია (სამთავრობო და ოპოზიციური მედიის ჩათვლით) უკრაინისა და უკრაინელების მიმართ გამოკვეთილად სოლიდარული იყო. მოგვიანებით კი მმართველი გუნდის ანტი-უკრაინულმა პროპაგანდამ დააზიანა ქართული მედიის (მათ შორის „იმედის" და „რუსთავი 2"-ის) ერთიანი სოლიდარობის დისკურსი და გამოკვეთა პრორუსული პროპაგანდისტული ხაზი.

მედიაგარემოს გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანია თვითრეგულირების მექანიზმების გაძლიერება, რაზეც მედიის წარმომადგენლები ჩვენს კვლევაშიც ამახვილებენ ყურადღებას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როცა „მთავრობის წევრები, ჩივილის შემთხვევაში, ნაკლებად მიმართავენ თვით-რეგულირების ორგანოებს და პირდაპირ სასამართლოში უჩივიან ჟურნალისტსა და ტელეკომპანიას" (გერსამია, საჯაია, 2024, გვ. 53). ეს გარემოება აძლიერებს თვითცენზურისა და შიშის ატმოსფეროს. ამას ემატება საქართველოში ე.წ. SLAPP-ების (საჯარო ჩართულობის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგიული სარჩელები) მზარდი რაოდენობა, რომელთა მიზანია ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციების რეპუტაციული დაზიანება, ფსიქოლოგიური წნეხი და მეორეხარისხოვანია თავად საქმის მოგება. (გერსამია, საჯაია, 2024). წინა წლების ანალიზზე დაყრდნობით, ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სასამართლო პროცესი ნეგატიურად მოქმედებს ჟურნალისტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, პირად ურთიერთობებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე. წინამდებარე კვლევაში კი მედიის წარმომადგენლები საუბრობენ რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაციის შიშით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ტერორზე, რომელმაც მათ ყოველდღიურ რუტინაზე ნეგატიურად იმოქმედა.

## ■ 3.6. ციფრული ინფრასტრუქტურისა და დეზინფორმაციის გამოწვევები

ბოლო ათწლეულში, საქართველოში ტელევიზიის მოხმარება 88%-დან (2009 წ.) 49%-მდე (2024 წ.) დაეცა მაშინ, როცა ინტერნეტის (მათ შორის, სოციალური ქსელების) მოხმარება 2%-დან 40%-მდე გაიზარდა (RRC-Georgia, აჭაიძე, 2024).

პლატფორმა „სტატისტას"(Statista)-ს მონაცემების მიხედვით, გლობალური ტენდენცია აჩვენებს, რომ 2029 წლისთვის მედიაბაზრის შემოსავლების 50.58%-ს ციფრული მედიაბაზარი დააგენერირებს. ციფრული პლატფორმების დომინირებას მედიაბაზარზე განაპირობებს მომხმარებლის ქცევებში ცვლილებები მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომი კონტენტის (on-demand content) არჩევა და პერსონალური გამოცდილებები. ამავე წყაროს მიხედვით, საქართველოში 2029 წლისთვის მედიაბაზრის შემოსავლების 38.10%-ს ციფრული მედიაბაზარი დააგენერირებს, რადგან მომხმარებლის პრეფერენციები ციფრული მედია პლატფორმებისკენ იხრება (2024 წლისთვის ეს მონაცემები დაახლოებით 30%-ია). ამასთან, „მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდასთან და სმარტფონების გავრცელებასთან ერთად, მომხმარებლები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ონლაინ წყაროებს ახალი ამბებისა და გასართობი შინაარსის მისაღებად...ბიზნესები თავიანთი სარეკლამო ბიუჯეტის დიდ ნაწილს ციფრულ არხებზე მიმართავენ. საქართველოს მედიის ბაზარზე გავლენას ახდენს ხელისუფლება. ასევე, პოლიტიკური ინტერესები, რაც მოქმედებს მედიის თავისუფლებასა და მედიაპლატფორმების მრავალფეროვნებაზე".

„სტატისტას" (Statista) მონაცემების მიხედვით, 2024 წლის მონაცემები და პროგნოზები ქართულ მედიაბაზარზე შემდეგნაირია:

წინასწარი პროგნოზით, ტრადიციული ტელევიზიისა და Home Video ბაზარზე მომხმარებლის შეღწევადობა/პენეტრაცია 2024 წელს 68.9% იყო. და 2029 წელს 78.9%-მდე გაიზრდება. ტელემაყურებლების რაოდენობა 2029 წლისთვის 2.3 მილიონ მომხმარებლამდე გაიზრდება, ხოლო OTT (Over-The-Top) ვიდეოს ბაზარზე რაოდენობა 2.9 მილიონს მიაღწევს.

- ციფრული ჟურნალ-გაზეთების ბაზარზე მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში 2029 წლისთვის 1.5 მილიონ მომხმარებლამდე გაიზრდება. მომხმარებლის შეღწევადობა 2024 წელს 25.9%-ს შეადგენს და პროგნოზით 2029 წლისთვის 40.5%-მდე გაიზრდება.

როგორც ვხედავთ, მომდევნო წლებში, ციფრულ ჟურნალ-გაზეთებზე მომხმარებლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ კუთხით, საინტერესოა, როგორ ხედავენ თავის კონტენტის ცირკულაციას და აუდიტორიასთან კავშირს ქართული მედიის წარმომადგენლები, რა სტრატეგიებს ამუშავებენ და რა რისკებს ხედავენ.

საქართველოში აქტუალური რჩება სოციალური მედიის მოხმარება, რომელიც სტრუქტურითა და ოპერატიულობით თანამედროვე ადამიანზეა მორგებული. კერძოდ, „ქარდები", მოკლე პოსტები, „შორთები" სწორედ თანამედროვე ცხოვრების ტემპზეა მორგებული და ინფორმაციის სწრაფი მიღების საშუალებაა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ალგორითმის როლი, რომელიც უნიკალურად გენერირდება თითოეულ მომხმარებელზე და ჩართულობის ანალიზიდან გამომდინარე, უპირატესობას ანიჭებს გარკვეული ტიპის კონტენტს. შესაბამისად, სოციალური მედიის ელემენტების ცოდნას (ჰეშთეგები, ლოკაციები, აღწერილობა, ატვირთვის დრო და სხვ.) შეუძლია გავლენა იქონიოს აუდიტორიის რაოდენობის ზრდაზე. მნიშვნელოვანია, ტრადიციული მედია ადაპტირდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ პროგრესთან და მედიის წარმომადგენლებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა ამ საკითხებთან დაკავშირებით, გაანალიზონ შესაძლებლობები და საფრთხეები. ამ მიმართულებით ჩვენს კვლევაშიც დავინტერესდით.

საინფორმაციო ეკოსისტემაში გამოწვევებთან გასამკლავებლად მნიშვნელოვანია ადგილობრივი პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება. იმ რეგულაციებმა, რომლებიც დემოკრატიული ქვეყნების საინფორმაციო ეკოსისტემაში რესურსულია, ავტორიტარულ ქვეყნებში შესაძლოა რეპრესიული პრაქტიკა დანერგონ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდება, თუ ვინ ნერგავს კანონს და რა წინარე პრაქტიკას ეფუძნება იგი.

2024 წელი მედიისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექნოლოგიური გამოწვევების კუთხით. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტი ბოლო რამდენიმე წელია, არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრების, არამედ მედიაეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. საიმონი და ისაზა-იბარას (2023) მიხედვით, მედია ორგანიზაციები ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ ინფორმაციის მოძიებასა და მონიტორინგისთვის (მაგ., აუდიტორიისა და ტენდენციების ანალიზისთვის, ახალი იდეების გენერირებისთვის), შერჩევისა და გაფილტვრისთვის (მაგ., ფაქტების გადამოწმების, მონაცემების შეგროვებისა და კლასიფიკაციისთვის, აუდიო და ვიდეო ტრანსკრიფციისთვის, გახმოვანებისთვის), დამუშავებასა და რედაქტირებისთვის (მაგ., სხვადასხვა პლატფორმებისთვის მასალის ფორმატირებისთვის, „გონებრივი იერიშისთვის“, ინფორმაციის შეჯამებისა და თარგმანისთვის), და გამოქვეყნებასა და გავრცელებისთვის (მაგ., კონტენტის პერსონალიზაციის, მოდერაციისა და აუდიტორიის ანალიზისთვის).

დიაკოპულოსი და სხვები (2024) აღნიშნავენ, რომ ხელოვნური ინტელექტი ჟურნალისტებს მრავალ შრომატევად საქმეს უმარტივებს და საშუალებას აძლევს, დაზოგილი დრო შემოქმედებით საქმიანობას მოახმარონ. თუმცა მისი გამოყენება გარკვეულ გამოწვევებთანაც ასოცირდება. ეს გამოწვევები მოიცავს კონტენტზე კონტროლისა და სამუშაო ადგილის დაკარგვის საფრთხეს, გენერირებული მასალის ხარისხთან და ეთიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს (ესენია: ინფორმაციის სიზუსტე, მიკერძოება, გამჭვირვალობა, საავტორო უფლებები და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა).

ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით მედიის ეკოსისტემის დეზინფორმაციით დაბინძურება. გუზმანის და ლუისის (2024) შეფასებით, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროპაგანდისა და „დიფფეიკების“ გავრცელებისთვის, აუდიტორიის მანიპულირებისათვის, ყალბი ნარატივების შესაქმნელად და რეპუტაციის შელახვისთვის, რამაც საბოლოოდ მედიის სანდოობას შეიძლება შეუქმნას საფრთხე. ევროკავშირი აქტიურად მუშაობს აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრისთვის. ამ კუთხით პირველი წინ გადადგმული კოორდინირებული საპასუხო ნაბიჯია 2024 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, რომელიც მაღალი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებისთვის მკაფიო მოთხოვნების დაწესებას, გამჭვირვალობასა და მონიტორინგის უზრუნველყოფას და მიუღებელი პრაქტიკების აკრძალვას ისახავს მიზნად (AI Act, 2024).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი 2024-2025 წლების ყველაზე სახიფათო გლობალურ რისკად ყალბ ინფორმაციასა და დეზინფორმაციასაც ასახელებს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური და სოციალური გახლეჩის გასაღრმავებლად, არჩეული მთავრობების ლეგიტიმურობის შემცირების, რეალობის პოლარიზებული აღქმის, სოციალური არეულობისა და პოლიტიკური რეპრესიების გამოწვევისთვის. გლობალური რისკების ანგარიშის მიხედვით, ასევე საფრთხეს წარმოადგენს მთავრობების მიერ ინფორმაციის კონტროლის გაძლიერება, რაც შეზღუდავს მედიის თავისუფლებას და გაზრდის პროპაგანდისა და ცენზურის რისკს (World Economic Forum, 2024).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) გამოყოფს საფრთხეებს, რომლებიც დამოუკიდებელ მედიას ემუქრება მთელს მსოფლიოში. ამ საფრთხეებს შორისაა დეზინფორმაციის ზრდა, პოლარიზაცია, ჟურნალისტების უსაფრთხოების დაუცველობა, ცენზურა, ავტორიტარიზმის გავრცელება და ჟურნალისტიკისადმი ნდობის შემცირება. ანგარიშის მიხედვით, დიგიტალიზაციის პროცესმა გააღრმავა თაობათაშორისი განსხვავებულობა, რაც განსაკუთრებით ვლინდება ახალგაზრდების მიერ ახალი ამბების გასაცნობად ციფრული მედიის მზარდ გამოყენებაში, რის შედეგადაც ნადგურდება ჟურნალისტიკის ტრადიციული ბიზნესმოდელი (OECD, 2024). ამ სიტუაციაში, მედიის თავისუფლების კოალიცია (MFC) ხაზს უსვამს თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გადარჩენის მნიშვნელობას და მოუწოდებს, ამ სექტორის გაძლიერების მიზნით საჭირო მხარდაჭერის გაღრმავებას (Media Freedom Coalition, 2024).

2024 წლის აპრილის ბოლოს გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა ექსპერტებმა გამოხატეს წუხილი, რომ არჩევნებთან დაკავშირებული უფლებების დარღვევის შემთხვევები გლობალურად იზრდება. აღნიშნულ დარღვევებში ისინი მოიაზრებენ არჩევნებში ჩართული პირების, მათ შორის ჟურნალისტების, მედიაში დასაქმებულებისა და დამკვირვებლების მიმართ ძალადობას, თვითნებურ დაკავებას, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელებას, რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას, აგრეთვე კანონების ინსტრუმენტალიზაციას („აგენტების კანონი“) და სოციალური მედიის პლატფორმის ალგორითმების ბოროტად გამოყენებას (OHCHR, 2024). წინამდებარე მედიაგარემოს კვლევაში ნათელი ხდება, რომ ზემოთ აღნიშნული საფრთხეები საქართველოშიც აქტუალურია და ამას მოწმობს მედიის წარმომადგენლების მიერ აღწერილი ყოველდღიური პროფესიული რუტინა, რომელიც სავსეა ჟურნალისტებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობით, დაკავებებითა და ბოლო წლებში მიღებული კანონების ინსტრუმენტალიზაციის პრაქტიკით.

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ დეზინფორმაციასთან გამოწვევის საპასუხოდ საქართველოში დღის წესრიგში არ დგას საკანონმდებლო რეგულაციები, მნიშვნელოვანია ამ რისკებზე პრევენციულად მსჯელობა იმისთვის, რომ ეს გამოწვევა დარჩეს მედიის თვითრეგულირებისა და ეთიკური სტანდარტების გაძლიერების საზღვრებში. გლობალურად ონლაინ პროპაგანდასთან გასამკლავებლად სამართლებრივი რეგულაციების ამოქმედება მსჯელობის საგანია. საერთაშორისო მედიადახმარების ცენტრის (The Center for International Media Assistance (CIMA) მკვლევარი, ელეონორა მაზზოლი (2023) იმ გამოწვევებზე საუბრობს, რომელიც შესაძლოა დეზინფორმაციის კანონით დარეგულირებას მოჰყვეს და მოიხმობს სხვადასხვა წყაროს. კერძოდ, ბონჩევას და პოზეტის (2020) აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ მისინფორმაცია და დეზინფორმაცია აბინძურებს საზოგადოებრივ დისკურსს მთელს მსოფლიოში და დემოკრატიისა და სტაბილურობის ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენენ, ნებისმიერი მცდელობა პროპაგანდასთან და ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლაში უნდა იყოს დაბალანსებული გამოხატვის თავისუფლებასთან. CIMA-ს მკვლევარი იმოწმებს ლიმის და ბრედშოუს (2023) და ხაზს უსვამს, რომ ეს ბალანსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნებში, სადაც მთავრობები ცდილობენ საინფორმაციო სივრცის კონტროლსა და თავს ესხმიან თავისუფალ, კრიტიკულ ჟურნალისტიკას.

მსოფლიოში პოპულარობას იკრებს ალტერნატიული მედია, რომელიც შეგვიძლია ჩავთვალოთ, როგორც აუდიტორიის საპასუხო რეაქცია პოლარიზაციის გამოწვევებზე. სტოკინგის და სხვების (2022) აზრით, და Pew Research Center-ის კვლევის მიხედვით, ალტერნატიული სოციალური მედია შეიქმნა ცნობილი პლატფორმების (Facebook, Twitter და YouTube) საპირწონედ და აქვთ პრეტენზია, რომ არ ზღუდავენ სიტყვის თავისუფლებას. ეს ალტერნატიული არხები

(BitChute, Gab, Gettr, Parler, Rumble, Telegram და Truth Social) შედარებით მცირე აუდიტორიას ფლობს, მაგრამ მათი ლოიალობის მთავარი მიზანი მიმდინარე, განსხვავებული ამბების ინფორმაციის მიღებაა და მომხმარებლებს დისკუსიების დროს აქვთ ერთმანეთთან მეგობრული დამოკიდებულების შეგრძნება.

მოქალაქეების ჩართულობა მედიაკონტენტის წარმოებში მზარდია. ნობელის პრემიის ლაურეატის, მედია "Rappler"-ის დამფუძნებელი, მარია რესა თავის წიგნში „როგორ დავამარცხოთ დიქტატორი“ (2022, გვ. 131) აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ჟურნალისტიკა არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ტექნოლოგიები უკეთესი ცვლილებებისთვის და აღწერს მობილური ტელეფონებით შეიარაღებული მოქალაქეებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება მოითხოვონ.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია, აუდიტორიას გაცნობიერებული ჰქონდეს მედიის როლი და მედიაწიგნიერების მნიშვნელობა, რომ გაიზარდოს ნდობა, რომლის მთავარი კონტრიბუტორები მოქალაქეებიც იქნებიან.

## ■ 3.7. ჟურნალისტური განათლება მედიის ეკოსისტემაში

დემოკრატიული უკუსვლა და მედიაგარემოს გაუარესება მოქმედებს განათლების სისტემაზეც. მედიის, დემოკრატიისა და განათლების ურთიერთმიმართების განხილვისას ჰოველსი (2001) აღნიშნავს, რომ კარგი საზოგადოების არსებობისთვის თანაბრად საჭიროა სამივეს სიჯანსაღე. მარია რესას (2022) სვამს კითხვას: „რა უფრო მნიშვნელოვანია ჟურნალისტიკისა და დემოკრატიისთვის. ორივესთვის აუცილებელია განათლება“ (გვ. 96)

2024 წლისთვის საქართველოში ჟურნალისტიკისა და/ან მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით, 17 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 20 აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამაა (წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, აბიტურიენტის ცნობარი 2024). ამასთან, 11 სამაგისტრო პროგრამაა 12 უნივერსიტეტში (მათ შორის არის ერთობლივი პროგრამაც) (წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, საერთო სამაგისტრო გამოცადა, 2024).

2004 წლიდან პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის რეფორმირების შემდეგ, ჟურნალისტიკის კურიკულუმების განახლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აუცილებლობა მნიშვნელოვანი გამოწვევად რჩებოდა (გერსამია, ფრიდმანი, 2019), თუმცა აკადემიური თავისუფლების შემზღუდავი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც პირდაპირ ცენზურას დააწესებდა, არ არსებობდა. 2024 წელს მიღებულმა რეპრესიული კანონებმა და „ქართული ოცნების“ წევრების მიერ რეპრესიების დაანონსებამ შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიურ თავისუფლებაზე, მათ შორის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამებზე. ეს განსაკუთრებით ეხება სასწავლო კურსებისა და ლიტერატურის შესაძლო ცენზურასა და აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი გარემოს ჩამოყალიბებას და პოლიტიკური ნიშნით ლექტორების შესაძლო განთავისუფლებასაც. 2024 წლის ბოლოს ამოქმედებულმა „ცენზურის კანონმა“ ეს საფრთხეები გააძლიერა და მან შესაძლოა დააზიანოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხი. ამ კუთხით საგანგაშო სიგნალი იყო, როცა წლის ბოლოს საქართველოს შეუჩერდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR) რეგისტრაცია.

„აგენტების/რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული პროტესტის ძირითად ბირთვს ახალგაზრდები და სტუდენტები (Gen-Z თაობა) წარმოადგენდა. პროტესტის მიმდინარეობისას 22 უმაღლესი საგანმანათლებლო უნივერსიტეტის სტუდენტებმა გამოაცხადეს გაფიცვა. პროტესტს პროფესორებიც უცხადებენ მხარდაჭერას, პეტიციებზე ხელმოწერით. ამას მოჰყვა რეპრესიების დაანონსება სტუდენტებისა და პროფესორების მიმართ: გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 38 უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით მომზადებული წერილი, რომელიც აკადემიის წარმომადგენლებმა აღიქვეს მუქარად. მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (კობახიძე თავადაც ამ უნივერსიტეტის პროფესორია) პროფესორ-მასწავლებლებს ინტერვიუში დაემუქრა, რომ მთავრობა განახორციელებს რეფორმას, რომელიც მიზნად დაისახავს იმ პროფესორებზე ზეწოლას, რომელიც პოლიტიკურად მიკერძოებულად მიიჩნევა.

პოსტ-საარჩევნო პერიოდში უწყვეტ საპროტესტო აქციებზე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა კვლავ აქტიური იყო და მოიცვა როგორც თბილისში მდებარე, ისე რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

# 4. ანალიზი და დისკუსია

საქართველოში მედიაგარემო წლიდან წლამდე უარესდება. „სუპერ არჩევნების წელს“ ქართული კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია შეხვდა ყველაზე დასუსტებული და მოუმზადებელი. საარჩევნო წელს „მეოთხე ხელისუფლებაში“ ძალაუფლების გადანაწილების ბალანსიც[4] დარღვეული იყო. პოლარიზაციის ერთ მხარეს იყო სახელისუფლებო მედია, რომლის რესურსები და გავლენა კრიტიკულ/ოპოზიციურ და დამოუკიდებელ მედიაზე მეტი იყო. მთლიანობაში, კლეპტოკრატიული გარემო ტოქსიკურად მოქმედებდა მედიაგარემოსა და მედიის სიცოცხლისუნარიანობაზე.

2024 წლის სამთავრობო მედიას ჰქონდა პოლიტიკური და გასართობი პროგრამების შექმნის ყველაზე დიდი რესურსი და აუდიტორიაზე წვდომაც. თუმცა არჩევნების შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტმა მიაღწია უპრეცედენტო მასშტაბებს, რამაც იმოქმედა საზოგადოებასა და მედიაში ძალთა გადანაწილების ბალანსსა და კონტენტის მრავალფეროვნებაზე. კერძოდ, საზოგადოების მხრიდან ზეწოლის შედეგად, მანამდე მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობა მოხდა სამთავრობო, საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო ბადეში. ამასთან, თავად კრიტიკულ მედიაშიც გაიზარდა სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობა და მოხდა წყაროების დივერსიფიკაცია. საპროტესტო აქციების დროს მრავალფეროვანი ჯგუფების (მათ შორის საჯარო მოხელეების) მხრიდან დაფიქსირებულმა პროტესტმა, ჩართულობამ, ერთობლივმა პროდასავლურმა განცხადებებმა/პეტიციებმა და საინფორმაციო ეკოსისტემის გამოცოცხლებამ დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის ახალი ნიადაგი მოამზადა.

2024 წელს ქართული მედიის მთავარი, პოლიტიკური თემების დღის წესრიგი შედგებოდა შემდეგ თემებისგან: მიზნობრივი სანქციების მოთხოვნა/გამოცხადება, რუსული სტილის კანონების ინსტრუმენტალიზაცია, საპროტესტო დემონსტრაციები, არჩევნები და ევროინტეგრაციის პროცესი.

## 4.1. კანონის „მსუსხავი ეფექტი“ მედიის დღის წესრიგზე

„აგენტების/რუსული კანონის“ რეინიციირებისა მიღების პროცესმა თავისი ნეგატიური გავლენა იქონია მედიასა და წინასაარჩევნო დღის წესრიგზე. ისედაც დასუსტებული კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამ კანონის საფრთხეების პირისპირ, დაუცველი აღმოჩნდა. შედეგად, „რუსულმა კანონმა“ აითვისა მედიის დღის წესრიგი და განდევნა ყველა ის თემა, რომელიც წინასაარჩევნოდ იყო აქტუალური. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილეები კანონის „მსუსხავ ეფექტზე“ საუბრობენ და გამოთქვამენ ვარაუდს, რომ „რუსული კანონის“ ერთ-ერთი „გვერდითი მოვლენა“ სწორედ მედიის მიერ, წინასაარჩევნო თემებიდან ფოკუსის გადატანა იყო, რითაც ამით შესუსტდა მედიის „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია:

- „რუსულმა კანონმა დღის წესრიგი სრულიად შეცვალა, რომ არა რუსული კანონი, მედია მთლიანად ფოკუსირებული იქნებოდა წინასაარჩევნოდ უფრო მეტი, რეალური პრობლემის წინ წამოწევაზე, საჭირო და კრიტიკული კითხვების დასმაზე, უფრო მეტი მასალის მომზადებაზე” (ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი).

---

4 ძალაუფლების ბალანსის შესახებ იხილეთ ჰამილტონის და სხვების (2003), IDEA-ს (2021), ვილეს (1998) და ლოკის (ლასლეტის რედ.1988) და სხვათა ნაშრომები.

- „პროტესტებში მონაწილეობამ და გაშუქებამ წინასაარჩევნო პერიოდამდე გამოგვფიტა. ფოკუსი გადატანილი იყო გადარჩენაზე და არა წინასაარჩევნო მზადებაზე. იმის ნაცვლად, რომ წინასაარჩევნოდ გამოგვეძიებინა მოსყიდვისა და გაყალბების მაგალითები, იძულებულები გავხდით გვეძებნა სამართლებრივი გზები ამ კანონთან გასამკლავებლად, გვეყიდა უსაფრთხოების აღჭურვილობები“ (ონლაინ-გამოცემა „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი).

- „მედია გადარჩენის რეჟიმშია. რუსული კანონის რე-ინიციირება წინასაარჩევნოდ კარგად დაგეგმილი პროცესი იყო, რომელმაც მთლიანად გადაიტანა ჩვენი ყურადღება და დაგვაზიანა. ჟურნალისტების დისკრედიტაცია, მათზე ფსიქოლოგიური წნეხიც იყო ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი“ (ონლაინ-გამოცემა „სივილ. ჯის“ წარმომადგენელი).

თვითკრიტიკის პარალელურად, ჟურნალისტები თვლიან, რომ „რუსული კანონის“ შეჩერების ან მისი ზიანის თავიდან აცილება მედიას არ შეეძლო. დისკუსიისას გაიხსენეს, რომ პირველები, ვინც ეს კანონი გააპროტესტა, სწორედ ონლაინ მედიის წარმომადგენლები იყვნენ: „ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ამ პროცესს სწორედ ჟურნალისტებმა გაუწიეს. ჩვენ იმაზე მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ამას ჩვენი პროფესია მოითხოვდა“ (ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტი).

რეგიონული მედიის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, მედია უფრო მეტად გადართული იყო „რუსულ/აგენტების კანონზე“ რეაგირებაზე და ნაკლები დრო და რესურსი დარჩა, რომ გაეშუქებინა წინასაარჩევნო პერიოდი. „რუსულმა/აგენტების კანონმა“ იმოქმედა და მოშალა არჩევნების დროს მანამდე დამკვიდრებული კოორდინაცია, რომელიც არსებობდა რეგიონული მედიის ასოციაციის წევრებს შორის: „წინა არჩევნებზე, ასოციაციის წარმომადგენლებს გვქონდა ერთობლივი პროექტი, ვინაწილებდით თემებს, ერთად ვგეგმავდით, კონსულტაციებს გავდიოდით იურისტებთან, რომ გაგვეგო რა დარღვევები იყო მოსალოდნელი არჩევნებზე. ახლა აღარავის არ გვქონდა ამის თავი და შესაძლებლობა, ყველა ვფიქრობდით, როგორ გადავრჩენილიყავით“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

„აგენტების კანონის“ ინიცირებამ და მიღებამ ჟურნალისტების მიმართ აგრესია გაზარდა და მედიის პირდაპირი სტიგმატიზაცია მოახდინა. წინასაარჩევნო პერიოდში, რეგიონებში მმართველი გუნდი მართავდა მედიისგან გასაიდუმლოებულ შეხვედრებს და ხვდებოდა მხოლოდ საკუთარ მომხრეებს. რეგიონული მედია ამგვარი შეხვედრების შესახებ შემთხვევით იგებდა და ესწრებოდა. სწორედ ასეთ შემთხვევას იხსენებს „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი:

- “ასეთ შეხვედრაზე ქალაქის მერი მეჩხუბა იმის გამო, რომ არ დავრეგისტრირდით ‘აგენტების რეესტრში’, მეძახა ‘აგენტი, მტერი’. ეს ძალიან საშიშია“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

- „ამ კანონის მიღებით მათ მიაღწიეს მთავარს: სტიგმატიზაცია, დადანაშაულება და აგენტის იარლიყის მიწებება. უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა რა თემაზე მუშაობ. თუ დოკუმენტს ითხოვ, ან კითხვას სვამ პასუხად იღებ: ‘ვინ დაგავალათ ეს’, ‘ვისი აგენტები ხართ’? („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი).

„რუსული/აგენტების კანონის“ მიღებამ საკანონმდებლო მედიაგარემო დრამატულად გააუარესა. გასულ წლებში, მიუხედავად მედიაგარემოში არსებული პრობლემებისა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები თავის ანგარიშებში დადებითად აფასებდნენ მედიისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი რეპრესიული მედიაგარემო არცერთი ხელისუფლების პირობებში არ იყო: „აგენტების კანონი არა მხოლოდ იარლიყს გაწებებს, არამედ კანონით კრძალავს დამოუკიდებელი მედიის არსებობას. კანონი ოჯახური ღირებულებების შესახებ კი პირდაპირ აწესებს ცენზურას“ (ონლაინ-გამოცემა „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი).

რეგიონული მედიის წარმომადგენელმა განმარტა, თუ რატომ არ დარეგისტრირდნენ „აგენტების რეესტრში“ იმისდა მიუხედავად, რომ ორგანიზაციის ბალანსზე არსებული ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე იყვნენ:

- „ჩვენ მხოლოდ ხალხის ინტერესებს ვატარებთ და დონორებისგან დაფინანსებას ვიღებთ მაშინ, როცა მათი და ხალხის ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა. არაერთხელ გვითქვამს უარი ჩვენს ვებგვერდზე რეკლამის რუსულ ენაზე განთავსებაზე. იგივე ვრცელდება რუსული ინტერესების გამტარ ყველა შემოთავაზებაზე. ჩვენ დონორისგან ვიღებთ თანხას იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა შევინარჩუნოთ. თანხაზე უარს ვამბობთ, თუ ის დამოუკიდებლობას ზღუდავს და ეწინააღმდეგება ჩვენი მოსახლეობისა და ქვეყნის ინტერესებს. დაფინანსებაც ჩვენი ქვეყნის მეგობრებისგან - ევროკავშირისგან და ამერიკისგან გვაქვს მიღებული“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

- „ამ კანონმა, სტიგმატიზაციამ, გართულებულმა ბიუროკრატიამ შეუძლებელი გახადა მუშაობა. განსაკუთრებით რთული ვითარებაა რეგიონებში, სადაც დამოუკიდებელი მედია, მთლიანად, დონორებზეა დამოკიდებული“ (ონლაინ-პლატფორმა „მრავალკუთხედი“).

დისკუსიის მონაწილეები წინასაარჩევნო პერიოდში, უპრეცედენტო ზეწოლაზე საუბრობენ და ამას საკანონმდებლო გარემოს გაუარესებას უკავშირებენ: **„**ჩვენი გამოცემა 22 წელია, არსებობს და არჩევნებს მუდმივად ვაშუქებთ. წელს მედიაზე წნეხი იყო უპრეცედენტო და ეს განაპირობა საკანონმდებლო გარემომ და ე.წ. რუსული/აგენტების კანონის ინიცირებამ“ - ამბობს „კახეთის ხმის“ წარმომადგენელი.

კანონის მიღების შემდეგ პრობლემები შეექმნათ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მედიაკომპანიებს აქვთ დაარსებული და სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ. ამგვარ შემთხვევას იხსენებს „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი: „ზაფხულში გვინდოდა ჩაგვეტარებინა ფილმების ჩვენება, რომლებიც ანტი-რუსულ თემებზეა და თემა რომ გაიგეს დარბაზის მეპატრონეებმა, წინა დღით გაგვიუქმეს ხელშეკრულება. ეს ფილმები ჩავატარეთ რედაქციის ოთახებში. საზოგადოების შეკრების შესაძლებლობა დაგვიკარგეს. ყველა აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც სათემო საკითხებზე მუშაობენ ადგილობრივი ხელისუფლება ებრძვის“.

3 აპრილს რეინიცირებული „აგენტების/რუსული კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვადა 4 სექტემბერს ამოიწურა, რომელშიცმედიასაშუალებებიდან დარეგისტრირდა მხოლოდ ორი ორგანიზაცია. სიღრმისეული ინტერვიუ ჩაიწერა დარეგისტრირებული ორგანიზაციის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, რომელმაც განმარტა, რომ დარეგისტრირების გადაწყვეტილება იმ რისკების ანალიზის შედეგად მიიღეს, რომელიც უკავშირდებოდა ფინანსურ ჯარიმებსა და ორგანიზაციის ბალანსზე არსებულ ქონებას: „ვიფიქრეთ, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემდა, წინასაარჩევნოდ დაუბრკოლებლად გვემუშავა და ვიმედოვნებდით, რომ არჩევნების მერე, კანონიც გაუქმდებოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ჯარიმებს ვერ გადავიხდიდით და დონორებიც ამაში ვერ დაგვეხმარებოდნენ. მაუწყებლის შემთხვევაში, ორგანიზაციის სხვა ქვეყანაში დარეგისტრირება არ იყო გამოსავალი. ამ გადაწყვეტილებამ, ორგანიზაციის ყველა წევრი ემოციურად გაგვანადგურა. რეგიონში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომელშიც ვერც „ქოცები“ გვიტანენ და ვერც „ნაცები“. კვლევაში ჩართული მონაწილე ამ პერიოდს, სტრესულად იხსენებს და აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია გეგმავს ახალი წლიდან მუშაობის შეჩერებას და არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებას. 2024 წლის 31 დეკემბერს მედიაორგანიზაციამ მართლაც შეაჩერა თავისი 27-წლიანი საქმიანობა და ამის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა.

დავინტერესდით, რას ფიქრობდნენ ჟურნალისტები, რომლებიც ე.წ. პროსახელისუფლებო ტელევიზიებში მუშაობდნენ. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი, რომელმაც ტელევიზია წლის ბოლოს დატოვა, აღნიშნავს, რომ ფაქტების პირდაპირი დამახინჯება პარტიული დღის წესრიგიდან გამომდინარე დაიწყო 2024 წლის გაზაფხულიდან, როცა „აგენტების/რუსული კანონის“ რეინიციირება და აქციები დაიწყო: „ბოლო წლებში უკვე აშკარა იყო, რომ არხი იყო პროსახელისუფლებო, მაგრამ არ ხდებოდა დარეკვები და პირდაპირი დირექტივების გაცემა. კანონის შემობრუნების შემდეგ ეს მიდგომა შეიცვალა და გაჩნდა აღქმა, რომ ეს ყველაფერი არის არა ჟურნალისტიკა, არამედ პარტიის პიარი“.

„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ პროსამთავრობო მედიაში პოლარიზაციის „საცეცები“ სწორედ ე.წ. რუსული/აგენტების კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების შემდეგ გამოიკვეთა. პოლარიზაციამ კიდევ უფრო ნეგატიურად იმოქმედა მედიაპროდუქტის შინაარსსა და შიდა-სარედაქციო მენეჯმენტზე. კერძოდ, ის საუბრობს იმ ზეწოლაზე, რომელიც ტელევიზიაში აისახა გაშუქების სპეციფიკაზე, თემების გადანაწილებაზე, კონტენტის შექმნაზე. ამ პროცესში მნიშვნელოვანი გახდა ის, თუ ვის ანდობდნენ აქციების გაშუქებას: „ხელმძღვანელობას პრიორიტეტები შეეცვალა. მიუხედავად გამოცდილებისა, მე აქციების გასაშუქებლად აღარ მიშვებდნენ. ვფიქრობ, მათზე გაიზარდა წნეხი და სჭირდებოდათ მორჩილი ხალხი. აი, ამ პერიოდში, ვატყობდი, რომ ძალიან აშკარად ხდებოდა ამბის სხვანაირად მიწოდება. მაგალითად, აქციებზე ზემოდან შორი კადრების აღება, ან ცუდი რაკურსის შერჩევა. მაგალითად, ზოგიერთი რეპორტიორი პირდაპირ ეთერში ჰყვება, რომ აქცია იშლება, რაც ტყუილია და ეს ემსახურება საპროტესტო მუხტის დაგდებას”, - ამბობს ჟურნალისტი.

პროსამთავრობო ტელევიზიის, „იმედის“ ჟურნალისტის აზრით კი, ამ კანონის მიღებამდე საზოგადოება, მედია და პოლიტიკური გარემო საკმაოდ პოლარიზებული იყო, თუმცა კანონის მიღებამ და მის გარშემო არსებულმა ნარატივებმა კიდევ უფრო დიდი ნაპრალი გააჩინა ე.წ. სამთავრობო და კრიტიკულ მედიას შორის. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ კრიტიკული მედია ამ კანონის პირდაპირ სამიზნედ აღიქვამდა თავს: „თავისთავად, პრობლემაა ის, როცა კოლეგაზე ამბობ, რომ ის ‘მხარეა’. პოლარიზაციის პროცესი დაიწყო მანამდე და ის შეუქცევადი იყო, მაგრამ წელს მედია ‘მუტანტს’ დაემსგავსა. კრიტიკული მედია პანიკაში იყო, ის თითქოს გამოეყო სხვა მედიას და ცალკე ორგანიზმად დაიწყო პოზიციონირება. ოპოზიციურ და სამთავრობო მედიას შორის გაჩნდა ნაპრალი, უფრო სწორედ - ჭრილობა“. პროსამთავრობო ტელევიზიის ჟურნალისტი ფიქრობს, რომ პრობლემა იყო კანონის “რუსულ კანონად” მოხსენიება, რადგან ამის გამო, სამთავრობო ტელევიზიებში მომუშავე ჟურნალისტები „რუსეთთან“ ასოცირდებოდნენ და „ეს იარლიყი ყველა ქართველისთვის შეურაცხყოფაა“ (ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი).

გამოიკვეთა ისიც, რომ კანონის ამოქმედების გარეშეც კი ჟურნალისტების სტიგმატიზება მოხდა და მათ უკვე მოიხსენიებენ, როგორც აგენტებს, მოგზავნილებს. ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა მოლოდინი, რომ „რუსული კანონის“ გარეშეც ხელისუფლება თავისუფლად შეძლებს მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას. დისკუსიისას რეპრესიულ კანონებთან და შექმნილ ვითარებასთან მიმართებით, მონაწილეებმა რამდენჯერმე ახსენეს „დიდი რუსული სპეცოპერაცია“: „ძალიან მძიმე პერსპექტივას ვხედავ. ეს არის ძალიან კარგად დაგეგმილი ცუდი ამბავი, რომელიც ვფიქრობ, რომ რუსულ სცენარს მიჰყვება“, - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი.

მედიის წარმომადგენლები კანონის ინსტრუმენტალიზაციის პროცესს და ნებისმიერ სცენარს პესიმისტურად უყურებენ, რადგან არ გამართლდა მოლოდინი კანონის არჩევნების შედეგად გაუქმების შესახებ:

- „მნიშვნელოვანია ის, თუ რას ვაპირებთ მომავალში, რადგან შესაძლოა ის სივრცეებიც ამოავსონ კანონში, რაც ფუნქციონირების საშუალებას ჯერ კიდევ გვიტოვებს“ („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი)

- „ამ მთავრობის პირობებში, არ არსებობს სცენარი, სადაც რაიმე პოზიტიური გამოსავალი შეიძლება იყოს. ვუშვებ, რომ შესაძლოა ‘ივაქრონ’ კანონებით, საბოლოოდ კი, უარეს სურათს მივიღებთ“ (“OC Media-ს“ წარმომადგენელი)

„აგენტების კანონის“ პირობებში საქმიანობის გაგრძელებისთვის არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების ნაწილი სომხეთსა და ესტონეთში დარეგისტრირდნენ, ნაწილმა შპს ან ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია დააარსა. ამ კუთხით მათ რუსეთსა და ბელორუსში მოქმედი სამოქალაქო სექტორისა და კრიტიკული მედიის გზა გაიმეორეს. 2024 წელი ისე დამთავრდა, რომ „აგენტების კანონის“ ინსტრუმენტალიზაცია არ დაწყებულა, თუმცა ჟურნალისტები ამბობენ, რომ ამ კანონმა უკვე მოიტანა თავისი უარყოფითი შედეგები.

კანონის „მსუსხავი ეფექტი“ განსაკუთრებით პატარა მედიაორგანიზაციებს შეეხო: „ამ კანონის სამიზნე სწორედ ის ორგანიზაციები არიან, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით რომ ახერხებენ მაღალი ხარისხის მასალების მომზადებას. ეს მასალები კომერციული თვალსაზრისით არ არის მიმზიდველი და შეუძლებელია სპონსორი იპოვო რომელიმე სოციალურად მგრძნობიარე თემის გასაშუქებლად“ (ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი). შედეგად, იზრდება საფრთხე, რომ მედიის დღის წესრიგიდან კიდევ უფრო განიდევნება ისეთი თემები, რომლებიც საზოგადოებას აღელვებს და ეს ნეგატიურად იმოქმედებს აუდიტორიის ჩართულობასა და ინფორმირებულობაზე.

რუსულმა კანონმა თავის აქტუალობა დაკარგა არჩევნების შემდეგ. ეს განაპირობა იმანაც, რომ ჟურნალისტებმა დაინახეს, რეალურად კანონის იმპლემენტაციის გარეშეც მმართველმა გუნდმა შეძლო რეპრესიების დაწყება და სამართლებრივი მომზადების და თავდაცვის რეჟიმი უსარგებლო აღმოჩნდა. მთავარი შიშები, რაც ამ კანონის ამოქმედებას უკავშირდებოდა (რეპრესიები, ოფისების და ტექნიკის დაყადაღება, ჯარიმები და სხვ.), ხელისუფლებამ ამ

კანონის ინსტრუმენტალიზაციის გარეშე მაინც განახორციელა: „ჩვენ ვიცოდით, რომ შეიძლება ნებისმიერ დროს დაგვიკაკუნონ კარზე დაიწყონ საგამოძიებო პროცესი. ამისთვის იურისტებთან ერთად ვემზადებოდით. რეალობაში დავინახეთ, რომ მათ შეუძლიათ ‘რუსული კანონის’, სხვა კანონებისა და ბიუროკრატიის გვერდის ავლა და უბრალოდ, ჩვენს სახლებში შემოვარდნენ, წაიღონ მობილურები და ლეპტოპები, როგორც ეს უკვე მოხდა სხვების შემთხვევაში [იგულისხმება ‘Atlantic Council’-ის თანამშრომლების სახლების ჩხრეკა და ბრალის წაყენება]. ‘რუსულ კანონზე’ დიდი საფრთხეა წინ და ვინც დონორებიდან დაფინანსებას იღებს შეიძლება დააბრალონ ფულის გათეთრება, რევოლუციისა და გადატრიალების მზადება და სხვ.“ - ამბობს ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ წარმომადგენელი.

რეპრესიების გაშუქებას თან სდევს დილემა, რაც შიშის დათესვას უკავშირდება. ერთი მხრივ, ამბები საშიშია და საჭიროებს აკურატულად გაშუქებას. მეორე მხრივ, შესაძლოა მისი გვერდითი ეფექტი იყოს ის, რომ აუდიტორიაში დათესოს შიში, რაც ავტორიტარული რეჟიმების ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს. ამ დილემის წინაშე ქართველი ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ: „როცა ‘Atlantic Council’-ის თანამშრომლების სახლში შევარდნენ, ეს ჩემთვის გახდა იმის მიმანიშნებელი, რომ არავითარი კანონი არაა საჭირო, შეუძლიათ უბრალოდ გაგაქრონ. სწორედ მაშინ გაჩნდა დილემა იმაზე, თუ როგორ ტონში გაგვეშუქებინა ამბავი ისე, რომ შიში არ გაგვეძლიერებინა“ (ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ წარმომადგენელი).

დისკუსიაზე ნახსენები იყო წინა წლებში მიღებული კანონების მსუსხავი ეფექტი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა პოლარიზაცია და ეს, კრიზისებისა და წინასაარჩევნო პერიოდში უფრო თვალნათლივ გამოჩნდა. მონაწილეები ახსენებენ 2022 მაუწყებლის შესახებ კანონში ცვლილებას (თავი VIII, მუხლი 63), რომლის მიხედვითაც აიკრძალა აზარტული თამაშების, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და მათი ორგანიზატორების შესახებ რეკლამა, სასპონსორო განცხადება და პროგრამაში პროდუქტის განთავსება. კანონში ცვლილება, ფინანსურად განსაკუთრებით რეგიონული მაუწყებლები დააზიანა. რეგიონული ტელევიზიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ეს წინასწარ იცოდა ხელისუფლებამ და ზიანი გამიზნულად მიაყენა მედიას: „ადგილობრივ ბიზნესს იმის რესურსი არ აქვს, რომ სატელევიზიო რეკლამაში საკმარისი ფული ჩადოს. იქ, სადაც ფინანსური კრიზისია, ჩნდება ე.წ. პოლიტიკური ფული და ეს აძლიერებს პოლარიზაციას" (ტელეკომპანია „ბორჯომის" წარმომადგენელი).

პოლიტიკურმა კრიზისმა იმოქმედა სოლიდარობის ჟურნალისტიკასა და მოწყვლადი ჯგუფების პრობლემების გაშუქებაზე. მაგალითად, მეინსტრიმულ მედიაში ე.წ. ცენზურის კანონის გაშუქება თვითცენზურის მსხვერპლი აღმოჩნდა: „სამწუხაროდ, ე.წ. ცენზურის კანონზე არც ტელევიზიებმა ისაუბრეს საკმარისად და არც ოპოზიციამ. ვფიქრობ, რომ ამ საკითხის იგნორირება არასწორი იყო", - აღნიშნა ონლაინ-პლატფორმა „მრავალკუთხედის" წარმომადგენელმა. ამ თემის გარშემო დისკუსიის ნაკლებობა გამოწვეული იყო სტიგმატიზაციის შიშით, რომელმაც ფილტრის როლი შეასრულა მედიის დღის წესრიგის შექმნაში, ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტი კი თვითცენზურას დაუქვემდებარა.

## ■ 4.2. ქართული მედია „სუპერ არჩევნების" პირისპირ

„სუპერ არჩევნების წელს" კრიტიკული და დამოუკიდებელი მედია დახვდა დასუსტებული და რესურსებისგან დაცლილი (როგორც შინაარსობრივად, ასევე ფინანსურად), რაც გასულ წლებში გაუარესებულმა მედიაგარემომ, საკანონმდებლო ცვლილებებმა, ეტაპობრივად, განაპირობა. მთელ ამ პროცესს და მათ შორის, „რუსული კანონის" მიღებას დისკუსიის მონაწილეები მმართველი გუნდის ანტი-დასავლური კურსის ლოგიკურ გაგრძელებად აღიქვამენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ კანონის ზემოქმედება ჟურნალისტურ საქმიანობაზე, აქამდე მიღებულ კანონებთან შედარებით, გაცილებით საზიანო აღმოჩნდა.

კვლევაში ჩართული მონაწილეების აზრით, „აგენტების/რუსული კანონი" კარგად ინსტრუმენტალიზებული, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო, რომელმაც კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის რესურსები მთლიანად ამ საკითხზე გადაიტანა, რამაც ხელოვნურად განდევნა საარჩევნო თემატიკა ყოველდღიური რუტინიდან და მედიის წინასაარჩევნო დღის წესრიგზე ნეგატიურად იმოქმედა. შედეგად, წინასაარჩევნო პერიოდში, მედიამ სრულყოფილად ვეღარ შეასრულა „მოდარაჯე ძაღლის" ფუნქცია და ვერ შეძლო ფოკუსირება არჩევნებთან დაკავშირებულ კრიტიკულ თემებსა და კითხვებზე.

ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილე თანხმდება, რომ გაზაფხულზე, „აგენტების/რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების შემდეგ და მოგვიანებით უკვე წინასაარჩევნო პერიოდში მედია გადავიდა მათთვის აქამდე სრულიად უჩვეულო მუშაობის რუტინაზე. მედია თავდაცვით და გადარჩენის რეჟიმში მუშაობდა, რომელიც მოიცავდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი რესურსების მოძიებას. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები განმარტავენ, რომ სწორედ ამიტომ საარჩევნო თემებზე კონცენტრირება ნაკლებად ხდებოდა. წინასაარჩევნოდ ჟურნალისტების მუშაობის რეჟიმი და ყოველდღიური რუტინა ნაკლებად ორიენტირებული იყო მრავალფეროვანი ჟურნალისტური მასალების მომზადებაზე. ამის

მიზეზი იყო ის, რომ მედიის დღის წესრიგი ხელოვნურად ამოავსო ისეთმა თემებმა და აქცენტებმა, რომლებმაც კიდევ უფრო გააძლიერა პოლარიზაცია და გადაფარა ის თემები, რომლებიც საარჩევნოდ მეტ ყურადღებას იმსახურებდა. ეს მიანიშნებს, რომ წინასაარჩევნოდ, ხელისუფლებას კარგად ჰქონდა შესწავლილი კრიტიკული მედიის მუშაობის რუტინა, რესურსები და იმოქმედა ამ წესრიგის ჩამოშლაზე. ჟურნალისტების აზრით, ეს მმართველი პარტიის მხრიდან მედიის მუშაობის გართულებისთვის დაგეგმილი წინასაარჩევნო სტრატეგია იყო. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე აღნიშნავს: „გადარჩენის რეჟიმში, ფოკუსი იცვლება და საქმეს ჩვეული ძველებურად ვეღარ აკეთებ. ეს მოქმედებს სარედაქციო პოლიტიკაზეც, რადგან არა მხოლოდ აშუქებ მოვლენებს, არამედ თავადაც მონაწილე ხდები. წინასაარჩევნოდ, ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყო ისიც, რომ გაძლიერდა ჟურნალისტების დისკრედიტაციის კამპანია და გაიზარდა მათზე ფსიქოლოგიური წნეხი“ (ონლაინ-გამოცემა “Civil.ge”-ს წარმომადგენელი).

წინასაარჩევნო პერიოდში მედია აქტიურად მონაწილეობდა ელექტრონული არჩევნების პროცედურების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში და მოუწოდებდა მოსახლეობას აქტიურობისკენ. უფრო მეტიც, მის საარჩევნო დღის წესრიგში სწორედ ამომრჩევლის აქტიურობის გაზრდა იყო პრიორიტეტული. მედიის დღის წესრიგი ემთხვეოდა პოლიტიკური პარტიების სტრატეგიასაც. მედია ნაკლებად ამახვილებდა ყურადღებას შესაძლო გაყალბებებზე, არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებაზე, რასაც მათივე განმარტებით, შესაძლოა მოსახლეობის ნიჰილიზმი და არჩევნებისადმი უნდობლობა გამოეწვია. შედეგად, მედიამ ნაკლები ყურადღება მიმართა პარტიების ანგარიშვალდებულების გაზრდაზე, სამთავრობო მედიის პროპაგანდის მეტად გაქარწყლებასა და მოსახლეობის რეალური პრობლემების გაშუქებაზე. ეს სტრატეგია ნეგატიურად შეფასდა.

„კოორდინირებული დუმილი“ - ასე დაარქვა ერთ-ერთმა მონაწილემ წინასაარჩევნო მესიჯ-ბოქსს, რომელიც გულისხმობდა საარჩევნო პროცესის უნდობლობაზე საუბარს და კითხვების დასმას. ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ ამ ტაქტიკამ გაზარდა ხალხის ნდობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ, რაც მომგებიანი აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის: „წინასაარჩევნოდ ბნელ ოთახში ვეძებდით ამბებს. ამ დუმილმა ნეგატიური შედეგი მოიტანა. არ ვსაუბრობდით გაყალბების შესაძლებლობებზე, რომელიც შეიძლებოდა დამდგარიყო დღის წესრიგში და დადგა კიდეც“ („სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი).

დისკუსია გაიმართა იმ თემის ირგვლივ, თუ რა როლი შეეძლო შეესრულებინა მედიას წინასაარჩევნოდ იმისთვის, რომ მოეხდინა არჩევნებზე დარღვევების პრევენცია: „როცა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კრიტიკული კითხვები დავუსვით, გვიპასუხეს: ‘ნუ გაქვთ ყველაფრის მიმართ ნიჰილიზმი და ნუ გეშინიათ’. ჩვენც გავჩუმდით. არადა მედიას ბევრი უნდა ელაპარაკა ყველაფერზე, რაც ეჭვს იწვევდა: იქნებოდა ეს ქაღალდი, მარკერი თუ დამკვირვებლები“ („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი).

დისკუსიის მონაწილეების აზრით, მედიამ ვერ შექმნა აქტიური წინასაარჩევნო დღის წესრიგი, არამედ თავადაც მიჰყვა დინებას. მათი განმარტებით, არჩევნების შესაძლო გაყალბებაზე კითხვების დასმა „ცუდ ტონად აღიქმებოდა“ - როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს: „წინასაარჩევნო პერიოდში მედია უფრო კრიტიკული უნდა ყოფილიყო ოპოზიციის, ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის მიმართ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ რამდენჯერაც მედიამ საკუთარი დღის წესრიგი არ დააყენა პირველ ადგილზე, წაგებული აღმოჩნდა. მედიამ რეალობა უნდა ასახოს ისე, როგორც არის და არა - შერბილებული და შელამაზებული ფორმით“ („ტოკ-ტვ“-ის წარმომადგენელი).

დისკუსიის მონაწილეებმა ოპოზიციური პარტიები გააკრიტიკეს იმის გამო, რომ არ ჰყავდათ დამკვირვებლების საკმარისი რაოდენობა საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებლების ნაკლებობა მედიას უქმნიდა პრობლემას, რომ დარღვევების შესახებ კომენტარები ჩაეწერათ: „ადამიანური რესურსი განსაკუთრებით არ იყო რეგიონებში. ყველა უბანზე არ იყო დამკვირვებელი და შესაბამისად, არც დარღვევებზე ხმის ამომღები“ („მთავარი არხის“ წარმომადგენელი). რეგიონული მედიის წარმომადგენლები ეთანხმებიან თბილისში დასაქმებული მედიის წარმომადგენლების აზრს, რომ კრიტიკული მედია, არასამთავრობო სექტორი და ოპოზიციური პარტიები სათანადო რესურსებით მომზადებულნი ვერ შეხვდნენ არჩევნებს მაშინ, როცა მმართველი გუნდის რესურსი იყო ძალიან დიდი: „საარჩევნო უბანზე არ იყო საკმარისი რესურსი. ბიულეტენის გაჟონვის ფაქტი ჩვენც სრულიად შემთხვევით გადავიღეთ“ („სტუდია მონიტორის“ წარმომადგენელი).

დისკუსიისას კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები არ ერიდებიან ოპოზიციის კრიტიკას მაშინ, როცა ე.წ. სამთავრობო არხების ჟურნალისტები მმართველი გუნდის კრიტიკისგან თავს იკავებენ, თუმცა საუბრობენ თემებზე, რომლის ადრესატები თავადაც არიან. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტის აზრით, კრიტიკულმა მედიამ ვერ შეძლო ხელისუფლებისგან შემოთავაზებული ალტერნატიული დღის წესრიგის შექმნა. ის აკრიტიკებს ე.წ. ოპოზიციურ მედიას, თუმცა ირიბად, „რუსთავი 2“-ის სარედაქციო ფილტრზე მიანიშნებს: „რა დაუპირისპირა ხელისუფლების მხრიდან ომის საშიშროების გზავნილებს ოპოზიციამ და ოპოზიციურმა მედიამ?! რატომ არ დაუთმო საეთერო დრო იმას, რომ გაეანალიზებინა, შედის თუ არა დასავლეთის ინტერესებში საქართველოში ე.წ. მეორე ფრონტის გახსნა?! საბოლოოდ, შედეგები რომ დადგა, მერე დაიწყეს შეცდომებზე საუბარი. თუ ფიქრობ, რომ მოსახლეობა პროპაგანდის მსხვერპლია, მაშინ, ისე უნდა დასვა კითხვები და წარმართო დისკუსია, რომ მაყურებელს სხვანაირად დაანახო პროცესი. პარტიულ დღის წესრიგზე ორიენტირების გამო, საბოლოოდ, მივიღეთ ის რომ, ამომრჩეველი დარჩა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გარეშე“. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი პროსახელისუფლებო ტელევიზიისა და მისი მაყურებლის პერსპექტივიდან საუბრობს, შეგვიძლია ჟურნალისტის პრეტენზიის ადრესატად სამთავრობო ტელევიზიაც ვიგულისხმოთ და დავინახავთ, რომ ჟურნალისტი აუდიტორიამდე განსხვავებული პოზიციის მიტანის აუცილებლობას ხედავს, რომელიც არ/ვერ ხერხდება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ჟურნალისტმა (ჩვენი რესპონდენტის ჩათვლით) „რუსთავი 2“ წლის ბოლოს დატოვა, რაც მიანიშნებს, რომ სარედაქციო პოლიტიკასთან შეუთავსებლობა არსებობდა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თანხმდებიან, რომ ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია, გეგმის მიხედვით „თითქოს იატაკქვეშეთში“ მიმდინარეობდა და დიდი „რუსული სპეცოპერაციის ნაწილი იყო“:

- „ხელისუფლებას კარგად გაწერილი გეგმა და დღის წესრიგი ჰქონდა, ის ხალხს ომის დაწყების საფრთხით აშინებდა. ამის საპირისპიროდ ოპოზიციამ, სამოქალაქო სექტორმა და მედიამ, დუმილი დაახვედრა.“ (ტელეკომპანია „ტოკ-ტვ“-ის წარმომადგენელი).
- რეგიონული მედიის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ხელისუფლების რუსული პროპაგანდა წინასაარჩევნოდ, აგებული იყო მესიჯზე „აბა, ომი გინდათ?“, იყო სტრუქტურირებული, ხოლო საპასუხო ქმედებები - არაკოორდინირებული.
- „მეორე მხარეს არ იყო ერთიანი პოზიცია და სამოქმედო გეგმა იმიტომ, რომ ამაზეც რუსეთს აქვს ნამუშევარი. საპასუხო რესურსებიც და მომზადებაც ნაკლებია“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი).

დისკუსიამ გამოკვეთა, რომ სამთავრობო პროპაგანდაზე კრიტიკული მედიის საპასუხო რეაგირების დამკვიდრებული პრაქტიკა ფრაგმენული და მოუმზადებელია, რაც ვლინდება ე.წ. სთეიკჰოლდერებთან (პროდასავლურ ჯგუფებთან) კოორდინირებაშიც. ამის საპისწონედ, კიდევ უფრო გამოკვეთილად ჩანს რუსული ჰიბრიდული საინფორმაციო ომის სტრუქტურა და მიზნები, რომელიც, როგორც იკვეთება, ქართული მედიის გავლითაც მუშაობს სწორედ მეორე მხარეს არარსებული შემაკავებელი დღის წესრიგის გამო.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტმა დაადასტურა, რომ „სუპერ არჩევნების წელს“ ჰიბრიდული რუსული გავლენები და ჩარევები იყო ყველგან, სადაც რუსეთს ამის ინტერესი აქვს. ის არ/ვერ ადასტურებს უშუალოდ ტელეკომპანია „იმედში“ არსებულ რუსულ გავლენებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ე.წ. სამთავრობო არხზე მუშაობა უკვე ნიშნავს პრორუსულობას და ეს იარლიყები იქ მომუშავე ჟურნალისტებისთვის მიუღებელია: „ამ მხრივ ‘იმედის’ სტიგმატიზება მოხდა, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რას აკეთებ“. რუსეთის პროპაგანდის გამტარად აღქმა პრობლემაა „იმედის“ ნიუსრუმში მომუშავე სხვა ჟურნალისტებისთვისაც, ამიტომ ამ თემაზე მსჯელობა შესაძლოა პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ პოლარიზაციის შემცირებისთვის იყოს რესურსული.

ე.წ. სამთავრობო ტელევიზიებისგან განსხვავებით, დისკუსიის მონაწილეები უფრო თვითკრიტიკულები არიან და მართლაც ღიად საუბრობენ დაშვებულ შეცდომებზე. მაგალითად, მათ მიაჩნიათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში უფრო კრიტიკულები უნდა ყოფილიყვნენ არჩევნების ადმინისტრირებისა და პოლიტიკური პარტიების სტრატეგიის მიმართ:

- „ოპოზიციას გულწრფელად სჯეროდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არჩევნების დღეს ამომრჩევლის აქტიურობა. მათ იგნორირება მოახდინეს მედიის იმ კრიტიკული კითხვების, რომლებიც არჩევნების ჩატარების ხარისხსა და შესაძლო გაყალბებებს უკავშირდებოდა. ჩვენი შეცდომაც იყო, რომ დავიჯერეთ - ჩვენთან დემოკრატიული არჩევნები ჩატარდებოდა“ (ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი).

- „არჩევნები იყო ერთი დიდი რუსული სპეცოპერაცია, რომელზეც მედიას წარმოდგენაც არ გვქონდა. ეს საფრთხეები ოპოზიციას უნდა დაენახა. მათ ეს რესურსი არ აღმოაჩნდათ და ამიტომ, სჯობდა ისევ ჩვენ მოგვემზადებინა ჟურნალისტური გამოძიებები არსებულ საფრთხეებზე“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი)

თბილისში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში აზრები გაიყო ოპოზიციის როლისა და რესურსების შეფასებაზე. ზოგადი კრიტიკული განწყობის მიუხედავად, ჟურნალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ვერ გააკეთებდა უფრო მეტს და მისი მთავარი ამოცანა იყო ამომრჩევლის მობილიზება: „გაყალბების სპეცოპერაცია ძალიან კარგად იყო მომზადებული და ოპოზიციას ვერ ექნებოდა ამაზე ინფორმაცია“ („ტვ პირველის“ წარმომადგენელი).

დისკუსიისას დავინტერესდით, რამდენად მომზადებული იყო მედია ელექტრონული წესით ჩატარებული არჩევნების გასაშუქებლად. კვლევაში ჩართული ჟურნალისტების ნაწილი აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გაიარეს გადამზადება, დაესწრნენ ელექტრონული არჩევნების სიმულაციის პროცესს. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ საარჩევნო თემატიკაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩაატარა ე.წ. გასვლითი ტრენინგები. მაშინ ჟურნალისტების ნაწილი ფიქრობდა, რომ სათანადოდ იყვნენ მომზადებულები არჩევნების გასაშუქებლად. ნაწილი კი ამბობს, რომ ასეთი გადამზადების კურსებთან ხელმისაწვდომობაც არ ჰქონდათ და „არჩევნებს მედია მოუმზადებელი შეხვდა“ („სტუდია მონიტორის“ წარმომადგენელი).

ქვეყნის მასშტაბით 2024 წელს საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული წესით პირველად ჩატარდა. თუმცა ამ მეთოდით არჩევნები ცალკეულ რეგიონებში მანამდეც ჩატარებულა და რეგიონულ ჟურნალისტებს გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდათ. „გორში ჩატარდა ელექტრონული არჩევნები ერთი წლის წინ, კანდიდატი უკონკურენტო იყო და არჩევნები მშვიდად ჩატარდა. არც ის ხარვეზები იყო (გაჟონილ ბიულეტენს ვგულისხმობ), რაც ამ არჩევნებზე მასობრივად იყო. ერთი წლის წინ ვნახეთ, რომ ელექტრონულ არჩევნებზე მოქალაქეებს მეტი დაცულობა ჰქონდათ და პროცესიც გამჭვირვალე იყო. აბსოლუტურად განსხვავებული სურათი ვნახეთ 2024 წლის 26 ოქტომბერს. ჩვენ შეგვაგუეს, რომ ელექტრონულ არჩევნებზე ყველაფერი კარგად იქნებოდა. ამას ოპოზიციაც უწყობდა ხელს. ამბობდნენ,რომ არ გაყალბდებოდა არჩევნები და ინფრასტრუქტურაც კარგად მუშაობდა, მთავარი იყო ამომრჩევლის აქტიურობა, ამას აკეთებდნენ საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებისთვის. გაყალბებისგან დამცავი მექანიზმები არ ჰქონდათ. ჩვენც მოუმზადებლები ვიყავით, რადგან კანონის თემამ მეტი დრო წაიღო“ („რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი).

რეგიონული მედია აქტიურად იყო ჩართული ელექტრონული არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მიწოდება. ამ კუთხით მედია თანამშრომლობდა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან. რეგიონული მედიის წარმომადგენლები სინანულით აღნიშნავენ, რომ მათი და არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი აქცენტი იყო ელექტრონული არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და არა ის, თუ რა ტიპის დარღვევებსა და მანიპულაციებზე უნდა გამახვილებულიყო ყურადღება:

- „ჩვენ სწორედ ცნობიერების ამაღლება გვეგონა მთავარი გამოწვევა. მე ვარწმუნებდი მოსახლეობას, რომ ელექტრონული არჩევნები არის ძალიან უსაფრთხო, არავინ გაიგებდა, ვის მისცემდნენ ხმას, მოვუწოდებდი აქტიურობისკენ და სამწუხაროდ, შევცდით. ასეთი კამპანიის გამო ვფიქრობ, ადამიანების ნდობა ჩვენ მიმართ შევარყიეთ“ („კახეთის ხმის“ წარმომადგენელი).

- „ოპოზიციას შეიძლება ყველაფერი ვერ გაეგო, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ შეამოწმეს ტექნიკური მხარის გაუმართაობა არჩევნებზე და რატომ ენდვნენ ხელისუფლებას“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი)

- „დავეჭვდით, როცა მმართველი გუნდი ასე მარტივად დათანხმდა ელექტრონულ არჩევნებს, მაგრამ ვერ ვიპოვეთ  კომპეტენტური პირი, ვინც ელექტროონულ არჩევნებთან დაკავშირებულ რისკებზე ისაუბრებდა. ეს ინფორმაცია რომ გვქონოდა, შეიძლება უფრო მეტი დეტალისთვის მიგვექცია ყურადღება“ (OC Media-ს წარმომადგენელი).

- „აქტიურად ვაჯერებდით ადამიანებს, რომ არჩევნები ვერ გაყალბდებოდა, სანდო იყო ის მოწყობილობები, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია გამოიყენებდა. რეალურად დავინახეთ სულ სხვა სურათი: ადამიანებზე ზემოქმედების, მოსყიდვის, დაშინების და სხვა მძიმე ხერხების გამოყენების შედეგი“ („სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი).

წინასაარჩევნო პერიოდში იყო როგორც ინფორმაციის სიმწირე, ასევე ფინანსური გამოწვევები, რამაც იმოქმედა მუშაობის ხარისხზე. საზოგადოებაში არსებული შიში და მედიის სტიგმატიზაცია მოქმედებს რეგიონებში გაზეთის გამოწერაზეც.

„წინასაარჩევნოდ გაზეთში ყოველთვის გვერდებს ვამატებდით, ფორმატს ვზრდიდით. აქამდე, სექტემბერში ყოველთვის 4 ნომერი იბეჭდებოდა და ასე იყო ბოლო 27 წლის განმავლობაში. წელს პირველად მხოლოდ ორი ნომერი გამოვუშვით და ფორმატიც ვერ გავზარდეთ. რეკლამის მოზიდვაზეც ვერ ვიმუშავეთ. დაბალი ანაზღაურების გამო ოპერატორები აღარ გვყავს“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდისა და მისი მხარდამჭერების მხრიდან გაიზარდა აგრესია ჟურნალისტების მიმართ და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო რეგიონებში. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევა, როცა ოპოზიციის მიერ ორგანიზებული შეხვედრების გასაშუქებლად მისულ კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს მმართველი გუნდის მხარდამჭერები ფიზიკურად გაუსწორდნენ, საგამოძიებო სამსახურების რეაგირება კი არ იყო სათანადო.

დისკუსიისას გამოითქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა საარჩევნო უბნების გარეთ ჩხუბები და ძალადობა სისტემურად ყოფილიყო დაგეგმილი იმისთვის, რომ ჟურნალისტებს ნაკლებად ემუშავათ უშუალოდ უბნებზე და ყურადღება გადატანილიყო უბნებს გარეთ:

- „დღის ბოლოს ვნახეთ, რომ ძალიან ცოტა კადრია უბნებზე გადაღებული. ვიყენებდით დამკვირვებლებისა და მოქალაქეების გადაღებულ მასალას. ჩვენ, სადაც იძაბებოდა სიტუაცია, იქ მივრბოდით. გარეთ იყო ჩოჩქოლი, დარღვევები, ეს აღმოჩნდა ყურადღების გადამტანი მანევრი“ („რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი).
- „წელს იყო განსაკუთრებული აგრესია მედიის მიმართ, ამიტომ ძალიან ძნელი იყო მუშაობა. ზოგან საარჩევნო უბანზეც კი არ შეგვიშვეს“ (“OC Media”-ს წარმომადგენელი).
- „როცა უბანზე ჟურნალისტი ჩნდება, ყველა წესიერად იქცევა და არეულობა იწყება იქ და მაშინ, როცა ჟურნალისტი არ არის. სამაგიეროდ, იქ არის მოქალაქე, რომელიც ტელეფონით იღებს დარღვევას. არჩევნების დროს მოქალაქეების გადაღებული მასალები ჩვენი სიუჟეტებისთვის რამდენჯერმე გამოვიყენეთ” („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

დისკუსიისას რეგიონის წარმომადგენლებმა გაიხსენეს წინა წლებში ჩატარებული არჩევნები და აღნიშნეს, რომ წელს საარჩევნო გარემო რეგიონული მედიისთვის იყო „ტოქსიკური“. კერძოდ, გააქტიურდნენ სოციალურ ქსელში ტროლები და ბოტები, რომლებიც აწარმოებდნენ აგრესიულ კამპანიას მედიის წინააღმდეგ:

- „ადმინისტრაციული რესურსი, საჯარო სამსახურები გადაკეთდა ტროლ-ბოტების ქარხნად“ („სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი).
- „ხშირია შემთხვევები, როცა რესპონდენტები უარს გვეუბნებიან კომენტარებზე იმის გამო, რომ ჩვენს პლატფორმაზე ტროლ-ბოტების თავდასხმისა და გაშავების წარმოუდგენელი კამპანიებია. ეს შოკისმომგვრელია, რადგან შეუძლებელია ყველაფრის მოდერაცია“ (ონლაინ-მედია „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი).

ამ თემის ირგვლივ დისკუსიის საერთო ხაზიც იყო ის, რომ მედია ზრუნავდა ფიზიკურ გადარჩენაზე და უსაფრთხოებაზე და რესურსის მობილიზება არჩევნებზე ვეღარ მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების კარგად ინსტრუმენტალიზებული გეგმა მედიის ყურადღების გადასატანადაც ამუშავდა.

პოსტ-საარჩევნო პერიოდში, კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს ჰქონდათ გაურკვევლობის განცდა და ფიქრობდნენ, რომ გამოწვევების პირისპირ ისინი მარტო დარჩნენ. ამ კუთხით, ისინი თავის მოკავშირეებად არ მიიჩნევენ პოლიტიკურ პარტიებს. მათი აზრით, პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს საფრთხეებისგან (იგულისხმება „რუსული კანონის" მიღება) მედიის დაცვა. პოსტ-საარჩევნო პერიოდში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე წამყვანი ემოცია იყო ბრაზი და იმედგაცრუება: „ხელისუფლებამ დისკომფორტი შეგვიქმნა, გამოგვფიტა და ოპოზიციამ ვერაფერი გააკეთა ამ დისკომფორტის შესამსუბუქებლად" (ტელეკომპანია „მთავარი არხის" ჟურნალისტი).

ჟურნალისტებს აქვთ მოლოდინი, რომ შესაძლოა საქართველოში რუსეთსა და ბელორუსში განვითარებული სცენარი ვიხილოთ. ამ საფრთხის მოლოდინი 2025 წლის იანვარში ჩატარებულ ინტერვიუებში გადამოწმდა. ნაწილი ისევ ნიჰილისტურად უყურებს მომავალს (განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის ფონზე), ნაწილი კი ფიქრობს, რომ ნიჰილიზმი ნაწილობრივ დაიძლია, რაზეც უწყვეტმა დემონსტრაციებმა, მიზნობრივი სანქციების დაწესებამ და საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებმა  (იგულისხმება საეთერო დროის დათმობა პროტესტის მონაწილეებისთვის) იმოქმედა.

2025 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება და მედიას ისევ არ აქვს რესურსი, დაიწყოს არჩევნების გაშუქების დაგეგმვა და გამოწვევების წინაშე თავს მარტოდ და დაუცველად გრძნობს.

## ■ 4.3. რეპრესიები მედიის წინააღმდეგ: ჟურნალისტების უსაფრთხოება

წინა წლების მსგავსად, დისკუსიის მონაწილეების მთავარი ემოცია არის შიში, რომელიც უკავშირდება მედიაში დასაქმებულებისა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას. ეს შიში „აგენტების/რუსული კანონის" მიღების შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა, რაც აისახა კიდეც, წინასაარჩევნოდ, ჟურნალისტური საქმიანობის ხარისხზე. ზოგადად, 2024 წელს მედიაგარემოს მთავარ გამოწვევად ჟურნალისტების უსაფრთხოება (ფიზიკური, ციფრული და ფსიქოლოგიური) გამოიკვეთა.

წელსაც, დისკუსიის მონაწილეებმა მედიაგარემოს დრამატულად გაუარესების ათვლის წერტილად 2021 წლის 5-6 ივლისის დემონსტრაციის დარბევა ახსენეს.  ჟურნალისტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გაიზარდა 2023 წელს, „რუსული/აგენტების კანონის" პირველად ინიცირების შემდეგ: „თუ აქამდე რეჟიმი გვებრძოდა, მაგრამ გვიცავდა კანონი, ახლა გვებრძვის ორივე. ეს პროფესია დაუცველი და საშიში გახდა 5 ივლისის შემდეგ" (ტელეკომპანია „ფორმულას" წარმომადგენელი).

წინა წლებისგან განსხვავებით, 2024 წელს, ჟურნალისტების მიმართ აგრესია გამოვლინდა კიდევ უფრო უხეშად (უხამსი ფორმებით, ჩხუბით, ყვირილით, ბულინგით). ამ კანონის ინიცირებისა და დისკრედიტაციის კამპანიების წარმოების შედეგად, მოხდა ჟურნალისტების გარიყვა და გაუცხოება. მედიისთვის გაჩნდა ახალი იარლიყი  - „აგენტი", რომელსაც საქართველოში ნეგატიური კონოტაცია აქვს: „ჟურნალისტებისადმი აგრესია ვლინდება მაშინაც, როცა ვაშუქებთ არაპოლიტიკურ, ყოფით თემებს. რაზეც ადრე მადლობას გვეუბნებოდნენ, ახლა გვეჩხუბებოდნენ. დამოკიდებულების ეს ცვლილება ჩვენს გაკვირვებას იწვევდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე აგრესიით დაგვხვდნენ და გვითხრეს 'თქვენ აქ იმისთვის ხართ, რომ გინდათ, სიტუაცია არიოთ, თქვენ აგენტები ხართ",  - იხსენებს ტელეკომპანია „ბორჯომის" წარმომადგენელი.

„რუსული/აგენტების კანონის“ განხილვის პერიოდს იხსენებს გაზეთ „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი, როცა საჯარო მოხელეების მიერ თბილისში 29 აპრილს მმართველი პარტიის მხარდასაჭერად გამართული აქციის გასაშუქებლად მისულს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არნახული აგრესია დახვდა: „ჩვენს დანახვაზე დაიწყო ყვირილი, გაგვლანძღა, დაგვაბრალა, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ვართ და ქვეყნის დანგრევა გვინდა“.

იმავე დღეს მომხდარ ვერბალურ ძალადობას იხსენებს „სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი: „ჟურნალისტად მუშაობის განმავლობაში არ მახსენდება ისეთი ვერბალური ბულინგი, შეურაცხყოფები, როგორიც 29 აპრილის აქციის გაშუქებისას იყო. ‘რუსული კანონის’ ინიცირების შემდეგ, ძალიან გაიზარდა აგრესია. თუ აქამდე ნეგატიურ დამოკიდებულებას კომენტარზე უარით ან მზერით გამოხატავდნენ, ახლა თავს უფლებას აძლევენ, აგრესია გამოხატონ, შეურაცხყოფას გაყენებენ და ხელს გიშლიან. ჩვენ აბსურდულ ბრალდებებს გვიყენებენ, გვიწოდებენ მხარეს, ოპოზიციას, ცდილობენ ჩვენ დისკრედიტაციას“.

მსგავს შემთხვევებს იხსენებენ თბილისში მომუშავე მედიის წარმომადგენლები: „ბრიფინგებზე კითხვის დასმის შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლები კრიტიკულ მედიას შეურაცხყოფას აყენებენ, დასცინიან, აგენტს ეძახიან“ („OC მედიას“ წარმომადგენელი).

წინასაარჩევნო პერიოდში გამოწვევა იყო ჟურნალისტების ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. ჟურნალისტებს წნეხის ქვეშ უწევდათ მუშაობა, რამაც გამოიწვია ჟურნალისტების რესურსების გამოფიტვა და მათ ფსიქოლოგების კონსულტაციებიც დასჭირდათ. ისინი იხსენებენ, რომ მათი შფოთვა დაკავშირებული იყო შიშთან, რომელიც „რუსული/აგენტების კანონის“ მიღების შემდეგ გაჩნდა: „ჩვეულ რეჟიმში ვეღარ ვმუშაობდით. სულ კარებისკენ ვიხედებოდი, ვფიქრობდი, შემოვიდოდნენ, დაგვაჯარიმებდნენ, ტექნიკას წაგვართმევდნენ.“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი); „ფსიქოლოგს ვუთხარი, რომ აღარ შემიძლია ჩვეულ რეჟიმში მუშაობა, რადგან სულ მეშინია“, - ამბობს ფოკუს-ჯგუფის მონაწილე.

შიშის განცდა გამოიხატა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მიერ დამცავი საშუალებების (მაგ: “წიწაკის სპრეის”) თან ქონით, ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენით, პირადი ცხოვრების ინფორმაციის ხელყოფის, სახლში უკანონოდ შემოსვლის შესაძლებლობისა და ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის ყოველდღიურ ფაქტად ქცევის მოლოდინით.

ჟურნალისტები არ ენდობიან პოლიციას, სასამართლოს ან პროფესიულ ორგანიზაციებს. იკვეთება, რომ მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვთ. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების ერთ ნაწილში საფრთხეებზე საუბარი იწვევდა მწვავე ემოციურ რეაქციას (საუბრის ტონის აწევა, თავის ხელებში ჩარგვა). ზოგჯერ კი მონაწილეები ცდილობენ მძაფრი ემოციების დესენსიტიზაციას და საკმაოდ მძიმე ცხოვრებისეული მაგალითების ანეკდოტურ ამბებად გადმოცემას (მაგ., როგორ ამოწმებენ, მათ სიახლოვეს ხომ არ არის სათვალთვალო კამერა შეტრიალებული, რაც მიანიშნებთ, რომ შეიძლება სცემონ ან მოკლან, და სხვ.): „ვხვდები, რომ თუ მოინდომეს, ფიზიკურად მაინც გამისწორდებიან, მაგრამ უფრო ყურადღებით ვარ კარის გაღებისას. ზოგჯერ მეზობელი მირეკავს და მაფრთხილებს, რომ ეზოში საეჭვო ადამიანები არიან“, - ამბობს ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი. დაუცველი გარემო მონაწილეებში იწვევს უიმედობის, აწმყოსა და მომავალზე კონტროლის დაკარგვის შეგრძნებას. ერთ-ერთი მონაწილე ყოველდღიურობას „გადარჩენისთვის ბრძოლად“ მოიხსენიებს, მეორე კი სვამს კითხვას: „მომავალი გვაქვს?“.

დისკუსიების თითქმის ყველა მონაწილე ადასტურებს, რომ კანონის განხილვის პროცესში მუქარებისა და გინების შემცველ ანონიმურ სატელეფონო ზარებს იღებდნენ როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ნომრებიდან. მუქარის შემცველი ზარებით ურეკავდნენ მათი ოჯახის წევრებსაც (მათ შორის არასრულწლოვან შვილებს):

- „ძალიან რთულია მუშაობა, როცა გეშინია, რომ 20 წლის ორგანიზაცია შეიძლება დაიხუროს ან ფიზიკურად გაგვისწორდნენ. ჩვენც გვირეკავდნენ და გვაგინებდნენ. საქმე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურშია, მაგრამ დღემდე ვერ იპოვეს ორგანიზატორი და პასუხისმგებელი პირი. ფსიქოლოგიურად რთულია, როცა უყურებ, რომ კოლეგებს, ყოველდღიურად, ემუქრებიან. შიშის გამო, სახლში ფეხით აღარ მივდიოდით, დავდიოდით ტაქსებით, ზოგმა 'წიწაკის სპრეი' შეიძინა. ამ შიშებით რთული იყო მუშაობა და რთული იყო ბრალდებების მოსმენა ადამიანებისგან, რომლებსაც დააჯერეს მესიჯ-ბოქსი, რომ მედია არის 'აგენტი და არ ემსახურება ქართულ საქმეს"(„სამხრეთის კარიბჭის" წარმომადგენელი).
- „მუშაობას ართულებს ის ფსიქოლოგიური წნეხი არა მხოლოდ ჟურნალისტების, არამედ მათი ოჯახის წევრების მიმართ" (ონლაინ-პლატფორმა „მრავალკუთხედი").
- მედიის დისკრედიტაციაში მთავარ დამნაშავედ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მმართველ გუნდს ასახელებენ და აღნიშნავენ, რომ პროცესი მათ წაახალისეს: „მედია მტრად შერაცხეს, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები არ გამოიძიეს. ეს პირდაპირი სიგნალია საზოგადოებისთვის, რომ თუ არ მოგეწონება ჟურნალისტი, შეგიძლია ჩაარტყა. ანუ ნორმალიზებულია ჟურნალისტებზე ძალადობა. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ უსაფრთხოებისთვის გვირჩევნია, დავფაროთ, რომ ჟურნალისტები ვართ (ჟურნალ „ინდიგოს" წარმომადგენელი).
- დაუსჯელობის სინდრომი ზრდის ზიზღს და აგრესიას მედიის მიმართ და „ჟურნალისტების ცხვირ-პირის დამტვრევა ღირს 3000 ლარი" - ამბობს ტელეკომპანია „ფორმულას" წარმომადგენელი.

28 ნოემბრამდე ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში დომინირებდა დაუცველობის განცდა. „თუ მოინდომეს, თავისუფლად დაგვესხმებიან თავს, დაგვიჭერენ, იძალადებენ და ამ პროცესში სასამართლოს იმედი ნამდვილად არ გვაქვს" („ტოკ-ტვ"-ის წარმომადგენელი). დაუცველობა მოქმედებს ურთიერთნდობის ჩამოყალიბებაზე და საბოლოოდ მედიის პროდუქტსაც აზიანებს: „უსაფრთხოება, ნდობა, ხარისხი ერთმანეთთან არის დაკავშირებული" (ჟურნალ „ინდიგოს" წარმომადგენელი)

ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევები და დაუსჯელობა აღრმავებს პოლარიზაციას და ჟურნალისტებს მხარეებად წამოაჩენს. „ეს აგრესია თავიდან გვაკვირვებდა და შემდეგ მოხდა მისი ნორმალიზება. ძალადობა უფრო ინტენსიური გახდა აპრილის ბოლოს და იმატა წინასაარჩევნო პერიოდში. თუ აქამდე ეს იყო უბრალოდ ნეგატიური დამოკიდებულება, 'აგენტების კანონის' მიღების მერე, შეხვედრაზე მერის მოადგილემ მითხრა 'შენ ხარ მტერი'. ამან შემაშინა. აგრესია გამოიწვია იმან, რომ ჩვენი ორგანიზაცია არ დარეგისტრირდა უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში", - ამბობს "ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელი.

აგრესია გაიზარდა ციფრულ მედიაგარემოშიც: „სოციალური ქსელები გახდა კიბერ ბულინგის პლატფორმა, ნებისმიერს შეუძლია პირად შეტყობინებებში მოგწეროს, დაგემუქროს, ტროლები კი ამ კიბერ ბულინგისთვის საჭირო ნიადაგს ამზადებენ", - ამბობს ჟურნალ „ინდიგოს" წარმომადგენელი. სოციალურ მედიაში ჟურნალისტების ბულინგს აქვს ორგანიზებული ხასიათი. დისკუსიისას გამოითქვა ვარაუდი, რომ მმართველი გუნდი ავალებს სხვადასხვა

მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოებში დასაქმებულებს ნეგატიური კომენტარების წერას. ეს ხდება მაშინ, როცა გამოქვეყნდება კრიტიკული მასალა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილის დაკვირვებით „კრიტიკული მასალების გამოქვეყნების შემდეგ ჩვენს ფეისბუქ-გვერდზე ორგანიზებულად შემოდიან და თავს გვესხმიან. შეუძლებელია რეგიონის ექვსი მუნიციპალიტეტიდან ერთდროულად ერთსა და იმავე კრიტიკულ მასალაზე ადამიანებს გაუჩნდეთ ერთნაირი პოზიცია და ერთი და იმავე მესიჯ-ბოქსით წერდნენ კომენტარებს“, - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის“ ჟურნალისტი და იხსენებს შემთხვევას, როცა მედიის თანამშრომელს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილემ  უცენზურო ჟესტიკულაცია აჩვენა და ეს მედიამ გააშუქა.

„იმედის“ ჟურნალისტი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ სოციალურ ქსელებში პერსონალური თავდასხმები დაიწყო კონკრეტული ადამიანების სახელებისა და გვარების მოხსენიებით: „დღეს, მთელი მედია ტრავმირებულია. ჟურნალისტების მიმართ აგრესია კიდევ უფრო გაიზარდა ველზე მუშაობისას, ქუჩაში, სოციალურ ქსელებში. გახშირდა ვერბალური თავდასხმები თავად ჟურნალისტებს შორის. ეს ფსიქიკურად ანადგურებს ჟურნალისტებს. რა თქმა უნდა, ფიზიკური ძალადობა უფრო მძიმე დანაშაულია, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობაც არის ტრავმა“. ასეთ ზეწოლას ჟურნალისტი უწოდებს მოწოდებებს, რომ პროპაგანდისტული ტელევიზიებში მომუშავე ჟურნალისტებმა პროტესტის ნიშნად დატოვონ სამსახური. „იმედის“ ჟურნალისტი წუხილს გამოთქვამს იმ ბულინგზე, რომელიც სახელისუფლებო ტელევიზიებში მომუშავე მედიის წარმომადგენლების მიმართ არის. რეგიონული მედიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ „იმედის“ ჟურნალისტები რეგიონშიც სწუხან იმაზე, რომ მათ მიმართ არის ბულინგი და ამაში ვერ ხედავენ მმართველი გუნდის ბრალეულობას: „დიდი განსხვავებაა, როცა სახელმწიფო ძალადობს მედიაზე და როცა საზოგადოება გაბულინგებს. ეს არ ესმით სამთავრობო არხების წარმომადგენლებს“ („რადიო თავისუფლების“ წარმომადგენელი). ამ თემასთან დაკავშირებით, „პუბლიკას“ წარმომადგენელმა, რომლის თანამშრომელსაც აქციების გაშუქებისას ფიზიკურად გაუსწორდნენ, აღნიშნა: „პროსახელისუფლებო არხებმა რომ ჩემს ერთ-ერთ თანამშრომელზე საშინელ სიუჟეტს გააკეთებს, მეორე დღეს მე როგორ ვუთხრა გამარჯობა ამ სახელისუფლებო ჟურნალისტებს?!“ („პუბლიკას“ წარმომადგენელი).

პროფესიული სოლიდარობა და კოლეგიალობა მოშლილია ველზე მუშაობისას, რაც ვლინდება კითხვების დასმის რუტინულ პროცესშიც. დისკუსიის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ, სავარაუდოდ, პროსახელისუფლებო მედია კოორდინირებულად მოქმედებს ბრიფინგებზეც (მაგალითად, კითხვების დასმაში ხელის შეშლით) და ველზე მუშაობისას:

- „ბრიფინგებზე,  გარდა იმისა რომ პოლიტიკოსს შეუძლია შეურაცხყოფა მოგაყენოს, დაგცინოს გარეგნობაზე, საკუთარი ტელევიზიებიდანაც ჰყავთ დამხმარე ‘რგოლები’ რომლებსაც ინსტრუქცია აქვს, რომ როდესაც კითხვას დასვამ, ზუსტად მაშინ ჩაგეჭრება ალტერნატიული კითხვით.  შედეგად, პოლიტიკოსი მარტივად გიშორებს და უპასუხებს მეორე კითხვას“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი).

- „როცა ბიძინა ივანიშვილის შესახებ გამოვაქვეყნეთ საგამოძიებო მასალა, მოგვივარდნენ სახელისუფლებო არხები და მოგვიძღვნეს გადაცემა“ („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი).

- „არსებობს, სპეციალური ჯგუფი სამთავრობო ტელევიზიებში, რომელიც ჩვენს დასაზიანებლად და ჩვენი დისკრედიტაციისთვის მუშაობს. ისინი ჩვენი სტუმრების საუბრიდან, აბსოლუტურად უკონტექსტოდ ჭრიან და ავრცელებენ მასალას“ (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი).

აქამდე მედიაზე ძალადობის ყველაზე მძიმე გამოცდილებად ჟურნალისტები 2021 წლის 5-6 ივლისის დარბევას მიიჩნევდნენ. 2024 წლის ბოლოს (28 ნოემბრიდან) საპროტესტო დემონსტრაციების გაშუქების დროს მედიის წარმომადგენლებზე ძალადობამ ახალი, უმძიმესი პრაქტიკა შექმნა. როგორც აღვნიშნეთ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მონაცემებითაც, წლის განმავლობაში მედიის მიმართ სხვადასხვა ძალადობის შემთხვევების 80% ოქტომბრის ბოლოდან წლის ბოლომდე პერიოდზე მოდის. სწორედ ამ პერიოდში სამართალდამცავებისა და მმართველი გუნდის დაქვემდებარებაში მყოფი ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ადგილი ჰქონდა კრიტიკული მედიის ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ მიზანმიმართულ, ფიზიკურ ანგარიშსწორებას. დანაშაულები დღემდე გამოუძიებელია, დამნაშავეები კი დასჯილნი არ არიან. ამ დანაშაულებრივი ჯგუფების მხრიდან ე.წ. სამთავრობო ჟურნალისტებზე ფიზიკური ანგარიშსწორების თავდასხმები არ ყოფილა. ანუ მათი სამიზნე კრიტიკული მედია იყო. საფრთხეები, რომლებსაც აღწერენ ჟურნალისტები, რეალობაში კიდევ უფრო დრამატული ფორმებით ჩნდება. ჟურნალისტებზე ძალადობის დროს ფოკუსი გადადის იმაზეც, თუ როგორ გამოხატავენ სხვადასხვა პოლუსზე მყოფი ჟურნალისტები ურთიერთსოლიდარობას.

რეგიონებში სამთავრობო და ოპოზიციურ სატელევიზიო მედიას შორის მეტი სოლიდარობაა, რაც გამოიხატა კრიტიკული მედიის ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შემდეგ მათ მიმართ გამართულ სოლიდარობის აქციაზე დასწრებითა და მხარდაჭერით. პროფესიული სოლიდარობის ინდიკატორად კვლევაში ჩართული მონაწილეები მიიჩნევენ იმასაც, რომ ოპერატორები ერთმანეთს გადაღებულ მასალებს უზიარებენ. მედიის წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ ერთმანეთის სოლიდარულები უნდა იყვნენ: „ჩვენ ფიზიკურად უნდა გადავარჩინოთ ერთმანეთი, ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები ვიყოთ და ერთმანეთი ფიზიკურად დავიცვათ", - ამბობს ონლაინ-გამოცემა „ნეტგაზეთის" წარმომადგენელი.

28 ნოემბრიდან საპროტესტო აქციებზე განვითარებულმა მოვლენებმა იმოქმედა რეგიონული მედიის დღის წესრიგზეც და მათი ყურადღება თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა მიიპყრო. რეგიონული მედია ავრცელებდა აქციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საპასუხო ბულინგი ახლდა თან. დემონსტრაციები იმართებოდა რეგიონულ ცენტრებშიც.

ძალადობის ის ფორმები, რაც არჩევნების შემდგომ პერიოდში საპროტესტო დემონსტრაციების დროს მასობრივად გამოჩნდა, ჟურნალისტების მიმართ უკვე მოსინჯული და აპრობირებული პრაქტიკა იყო:

- „ქუჩაშიც რომ ვინმე დაგესხას თავს, იწყება ფორმალური გამოძიება და შემდეგ, საქმე თაროზე ხვდება. ძალიან ჩვეულებრივი ამბავი გახდა ჟურნალისტების დაკავება პროტესტის დროს, რაც ადრე იშვიათობა იყო. წინასწარ ვიცით, რას იტყვის მოსამართლე" („OC მედიას" წარმომადგენელი).

- „დიდი ხანია, დემონსტრაციებზე ჩანს, რომ პოლიცია პირდაპირ ეთერში ძალადობს ჟურნალისტებზე" („ტვ პირველის" წარმომადგენელი).

- „ამ რეჟიმმა მთავარ მტრად გამოგვაცხადა. ჩვენზე ნადირობა დაიწყო გავრილოვის ღამეს, როდესაც მიზანმიმართულად გვესროდნენ. მოლოდინი კიდევ უფრო ცუდის მაქვს, რადგან იმედი არავისი მაქვს. 112-ში რომ დავრეკო და ვთქვა, რომ მე, ჟურნალისტს თავს დამესხნენ, ვნახავთ, რომ პოლიციის რეაგირება ან არ იქნება, ან მოვლენ ერთი კვირის შემდეგ, როცა ცემის მერე გაჩენილი სილურჯეები ქრება" (ტელეკომპანია „ფორმულას" წარმომადგენელი).

დამატებით, 2025 წლის იანვრის დასაწყისში 2024 წლის ბოლოს უწყვეტი დემონსტრაციებისა და პოლიტიკური პროცესების ცვლილებების გამო სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებთან, რომელშიც აღინიშნა: „წლებია, დემონსტრაციებს ვაშუქებ და წელს განსხვავება იყო დრამატული. მოქალაქეებისა და ჟურნალისტების დარბევას შეიძლება ვუწოდო 'ღვარცოფი, სტიქიური უბედურება', რომელიც არ ჩერდება მანამ, სანამ ბოლომდე არ გააფუჭებს და დაანგრევს. ეს გრძელდებოდა რამდენიმე დღე, სადაც ვხედავდით უპრეცედენტო ძალადობას" (ტელეკომპანია "ფორმულას" წარმომადგენელი).

არჩევნების შემდეგ მედიამ დაიწყო „ქართული ოცნების" დე-ფაქტო და არალეგიტიმურ ხელისუფლებად მოხსენიება. ამ ტენდენციას რეგიონული მედიის წარმომადგენლები არაერთგვაროვნად აფასებენ. ამგვარი იარლიყების მიწებებას ზოგი ნეგატიურად აფასებს და მიაჩნია, რომ მედიამ ოქროს შუალედი უნდა მოძებნოს და ეთიკური სტანდარტები დაიცვას. თუმცა ამ ოქროს შუალედის დაცვა რთულდება, როცა კოლეგებზე ფიზიკურად ძალადობენ და ამგვარი იარლიყებიც ერთგვარი საპასუხო რეაქციაა ძალადობაზე. კრიტიკული მედიისთვის რთულია, დაიცვას ნეიტრალიტეტი მაშინ, როცა მას მმართველი გუნდი გამიზნულად ადანაშაულებს და თავს ესხმის. აი, რას ამბობს „რადიო თავისუფლების" წარმომადგენელი:

„შედარებით ობიექტური მედია ცდილობს დე-ფაქტო არ დაუძახოს 'ქართულ ოცნებას', არამედ უწოდოს ოპოზიციის მიერ არაღიარებული ხელისუფლება. შეფასება ჟურნალისტის მხრიდან არ უნდა ჩანდეს, რადგან ესეც პროპაგანდის ნაწილია და აღრმავებს პოლარიზაციას. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ მხარესაა დეზინფორმაცია და პროპაგანდა, მეორე მხარეს კი ჟურნალისტები აქტორებად ჩანან. ამ პოლარიზაციასა და საინფორმაციო ომში ნამდვილი ჟურნალისტიკის ადგილი აღარ არის" („რადიო თავისუფლების" წარმომადგენელი).

ბოლო წლებში ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ნორმალიზება მოხდა, თუმცა კვლევის მონაწილეები ვარაუდობენ, რომ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართულ აქციების შემდეგ ეს დამოკიდებულება შეიძლება შეიცვალოს და უფრო მეტმა ადამიანმა დაინახოს, რომ მედია მათი მოკავშირეა და არა - მტერი. უწყვეტ საპროტესტო აქციებზე დაზარალებული ჟურნალისტების მიმართ საზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა სოლიდარობა გამოხატეს: „განსაკუთრებით მოულოდნელი და ემოციური იყო, როცა აქციაზე ტაშით შემხვდნენ", - ჩვენ მიერ მოგვიანებით ჩაწერილ ინტერვიუში იხსენებს ერთ-ერთი დაზარალებული ჟურნალისტი, რომელსაც ძალადობრივი ჯგუფები პირდაპირ ეთერში გაუსწორდნენ.

ამასთან, მიზნობრივი სანქციების შესახებ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და მედიაში დასაქმებულების მიმართ ძალადობის ხსენებას, გრძელვადიან პერსპექტივაში, ექნება სტიგმატიზაციის ეფექტი და დაუსჯელობის სინდრომის დასრულებაში თავის როლს შეასრულებს. იმავე ეფექტის მქონეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

## 4.4. კონტენტის ხარისხი და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა

მედიაში თემების ერთფეროვნება კვლავ რჩება ჟურნალისტების წუხილად. კრიტიკული მედიისთვის ველზე მუშაობა, რაც ხარისხიანი, სიღრმისეული საგამოძიებო და ანალიტიკური მასალების მომზადებას გულისხმობს, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ეს განაპირობა კომენტრებსა და საჯარო ინფორმაციის წვდომაზე შეზღუდვებმა. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (მუხლი 154), ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ვლინდება, ერთი მხრივ, მის იძულებაში, გაავრცელოს ინფორმაცია, მეორე მხრივ, მისი გავრცელებისგან თავის შეკავებაში. ხელის შეშლა გამოიხატება როგორც თვითონ ჟურნალისტზე, ისე სხვა პირებზე ზეგავლენაში, რათა ჟურნალისტს მოუსპონ შესაძლებლობა, განახორციელოს თავისი კანონიერი პროფესიული საქმიანობა; ხელის შეშლაა ჟურნალისტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის განადგურება, ჟურნალისტური საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა, მის ნებაზე სხვადასხვა ხერხით ზემოქმედება, შანტაჟი და სხვ. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით დამძიმებულია პასუხისმგებლობა, თუ იგივე ქმედება ჩადენილია ძალადობის მუქარით ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით.

ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევის შემთხვევებზე, საგამოძიებო ორგანოები თავს არიდებენ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით კვალიფიკაციას და მსგავსი ქმედებები კვალიფიცირდება, როგორც წვრილმანი ხულიგნობა, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლითაა გათვალისწინებული. ეს კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი მძიმე მემკვიდრეობაა და სახელმწიფო მის შესაცვლელად ქმედით ნაბიჯებს არ დგამს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, წვრილმანი ხულიგნობა იწვევს დაჯარიმებას (ოდენობა მერყეობს 500 ლარიდან 2000 ლარამდე) ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

საქართველოში ჟურნალისტის საქმიანობაში ამგვარი ხელის შეშლა არის მედიაში დასაქმებულების ყოველდღიური რუტინის ნაწილი, რაც, ცხადია, იწვევს ჟურნალისტის მიერ მისი პროფესიული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, შესაბამისად, არასრულყოფილ ჟურნალისტურ პროდუქტს, რაც, თავის მხრივ, ჟურნალისტებისადმი მხარეების მხრიდან ნდობის დაკარგვისა და საზოგადოების პოლარიზების მიზეზი ხდება.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები იხსენებენ შემთხვევებს, როცა ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ფიზიკურად გაუსწორდნენ, თუმცა დანაშაულზე საქმე აღიძრა ხულიგნობის და არა - ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობის მუხლით: „ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა. ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულზე საგამოძიებო სამსახურები ყოველთვის ცდილობენ დანაშაულს ხულიგნობის კვალიფიკაცია მისცენ და არ დააკვალიფიცირონ ის, როგორც ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის მცდელობა“, - ამბობს „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

ფაქტობრივი გარემოებების სწორ დადგენაზეა დამოკიდებული ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა. წვრილმანი ხულიგნობის მუხლით ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად პირის ცნობა არ ასახავს იმ დანაშაულის არსს, რომელიც ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ჩარევას მოიცავს. ის უნდა შეფასდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად. არასწორი კვალიფიკაცია და დამნაშავეთა გამოვლენის შეფერხება ხელს უწყობს დაუსჯელობის სინდრომის გავრცელებას და ამგვარი დანაშაულის ნორმალიზების პრაქტიკასაც ამკვიდრებს.

სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ის ჟურნალისტური კონტენტის მომზადებისას სისტემურად შექმნილ ბარიერებზე მიგვანიშნებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაფარული და ვლინდებოდეს თვითცენზურაში. ამ უკანასკნელის კვლევა და აღრიცხვა კი ყოველთვის ძნელია, რადგან თვითცენზურა შიშის ფაქტორს ეფუძნება. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. Media Freedom Rapid Response-ის მონაცემებით, 2024 წლის განმავლობაში დაფიქსირდა ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული 138 ინციდენტი. ამათგან 21% (30) მოდის ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლაზე, რაც მოიცავს აკრედიტაციაზე უარს ან გაუქმებას, ინფორმაციასა და შეხვედრებზე დასწრების წვდომის დაბლოკვას, კონტენტის გავრცელების დაბლოკვას და სხვ. კვლევაში ჩართული მონაწილეებიდან ყველას შეეხო ამათგან ერთი ან რამდენიმე ინციდენტი. ისინი აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციის წვდომაზე შეზღუდვა მათი ყოველდღიური რუტინის ნაწილია და ოფიციალურ სტატისტიკაში არც აღირიცხება. შესაბამისად, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის მონაცემები უფრო მაღალია:

- „სამწუხაროდ, ნორმალიზება მოხდა იმის, რომ კომენტარებს არ გვაძლევენ, შეხვედრებზე არ გვასწრებენ“, - აღნიშნავს „სამხრეთის კარიბჭის“ ჟურნალისტი;

- „ადრე, ფორმალურად მაინც ვრეკავდი ხელისუფლების წარმომადგენელთან, კომენტარისთვის. ახლა, ამასაც აღარ ვაკეთებ და ხან არქივში ვეძებ მათ ძველ განცხადებებს, ხან საინფორმაციო გადაცემის ჟურნალისტს ვთხოვ კომენტარს“, - ამბობს ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტი.

ფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ეს განსაკუთრებით ხელის შემშლელია პატარა მედიისთვის და საგამოძიებო ჟურნალისტებისთვის.

- „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გამო, კონტენტის შექმნაც კი შეუძლებელი გახდა“, - ამბობს ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი.

- „ონლაინ მედიისთვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა პრობლემები განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის დროიდან“, - ამბობს „OC მედიას“ წარმომადგენელი.

საჯარო ინფორმაციაზე წვდომა გართულდა პროსახელისუფლებო ტელევიზიების ჟურნალისტებისთვისაც. ეს პრობლემა წინა წლების კვლევებში სახელისუფლებო ტელევიზიებს არ ჰქონდათ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინა წლებთან შედარებით, ჟურნალისტებისადმი ნდობა მმართველ პარტიას ნაკლებად აქვს და მათდამი ლოიალურად განწყობილ მედიასთანაც ფრთხილობს. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ჟურნალისტური მასალა (მათ შორის შეიძლება იყოს ე.წ. შავი მასალა, რომელიც ეთერში არ მოხვდა) ინახება არქივში, ფაქტებზე დაფუძნებული კონტენტი და დოკუმენტები კი ნებისმიერ დროს შესაძლოა თავიდან იყოს გამოყენებული სხვა კონტექსტში.; საჯარო ინფორმაცია და სპონტანური/ბუნებრივი კომენტარები ტექნიკურად შეიცავს მმართველი გუნდისგან არაკონტროლირებად დისკურსს, რომელიც შესაძლოა მათი პროპაგანდისტული ნარატივისგან განსხვავებულიც იყოს და დამაზიანებელიც. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, ფაქტების გადამოწმება თავისთავად ფსევდო-რეალობისგან განსხვავებულ ქარგას ქმნის, ამიტომ თუ დანაშაულისა და დეზინფორმაციის მასშტაბები ძალიან დიდია, ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევის პირობებში და ჟურნალისტი ამას დაინახავს.

მიუხედავად ამისა, კრიტიკული მედიისთვის პარლამენტი პოლიტიკოსებთან და მმართველ გუნდთან კომუნიკაციის ერთ-ერთ ადგილად რჩება. თუმცა დამატებითი ბარიერები აქაც გაჩნდა. „რუსული/აგენტების კანონის“ განხილვის პროცესში პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, უსაფრთხოების ყვითელი დონე ამოქმედდა („საქართველოს პარლამენტის

სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესით დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის N1/259/23 ბრძანება), რომელიც შეეხო ონლაინ მედიის წარმომადგენლებს. მედიის წარმომადგენლებმა რეაგირებისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს, რომელსაც ჟურნალისტები უყურადღებობაში ადანაშაულებენ: „დისკრიმინაციის მუხლით რამდენიმე მედიამ ვიჩივლეთ და დღემდე, სახალხო დამცველის აპარატიდან რეაგირება არ ყოფილა, არავინ შემოგვეხმიანა“ (ონლაინ-გამოცემა „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი). სხვა ჟურნალისტებიც აღნიშნავენ, რომ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სახალხო დამცველის ინსტიტუტის რეაგირების იმედი არ აქვთ.

ინფორმაციასთან წვდომის პრობლემაზე საუბრისას, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტიც ახსენებს პარლამენტში ამოქმედებულ აკრედიტაციის წესს, რომელმაც შექმნა ე.წ. შავი სიები და გაართულა საპარლამენტო მუშაობა: „პრობლემაა ის, რომ ჩაიკეტა სამთავრობო სტრუქტურები და პარლამენტიც კი. პარლამენტში არსებობს  კონკრეტული სიები, ვიზეც გაიცემა აკრედიტაცია. შეიცვალა ის, რომ პრესა ვეღარ მოძრაობს იმ დერეფნებში, სადაც მინისტრები არიან. მთავრობის ადმინისტრაციაში პრესისთვის ადგილია განკუთვნილი და იქაც, წინასწარ გეკითხებიან, რა კითხვები გაქვს. ეს პრაქტიკა უკვე ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვაა”.

ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდვის ერთ-ერთი ფორმაა პოლიტიკოსების მხრიდან გადაცემებში მონაწილეობის ბოიკოტი, ანგარიშვალდებულების არქონა, რაც პირდაპირ მოქმედებს მედიაკონტენტის ხარისხზე: „როცა პოლიტიკურ თოკ-შოუში ხელისუფლების წარმომადგენლები არ მოდიან და დებატები არ იმართება, მუშაობა ხდება არასრულფასოვანი. არ არსებობს სივრცე, სადაც სხვადასხვა მხარეს მყოფი პოლიტიკოსები დასხდებიან და ჟურნალისტი მათ კითხვებს დაუსვამს“ ( „ტვ პირველის“ წარმომადგენელი).

წყაროებთან ხელმისაწვდომობის პრობლემა აქვს „იმედსაც“, რადგან იმის გამო, რომ „ტელევიზია სტიგმატიზირებულია“, წყაროები (საქართველოშიც და უცხოეთშიც) უარს ამბობენ თანამშრომლობაზე. ჟურნალისტის თქმით, ეს პრაქტიკა აქამდე ეპიზოდური იყო, მაგრამ წელს ტენდენციად გამოიკვეთა.

წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციასთან წვდომა გართულდა რეგიონებშიც. კვლევაში ჩართულმა რეგიონული მედიის ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მმართველი პარტია მართავდა „გასაიდუმლოებულ შეხვედრებს“, რომლის შესახებაც კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არ იყვნენ. მმართველი გუნდის ამგვარ შეხვედრებში ანტიდასავლური რიტორიკა იკვეთებოდა, რასაც იშვიათად და/ან შემთხვევით აშუქებდა მედიაც და მოქალაქე ჟურნალისტებიც.

ამასთან, ჟურნალისტებს ტელეფონით უწევდათ მასალის გადაღება, რომ მეტ-ნაკლებად შეუმჩნევლები დარჩენილიყვნენ. თუმცა, ეს ტაქტიკა რეგიონებში ნაკლებად ეფექტური იყო, რადგან ადგილობრივ ჟურნალისტებს ყველა იცნობს. აი, რას იხსენებს „რადიო თავისუფლების“ წარმომადგენელი: „ერთ-ერთ სოფელში ცდილობდნენ, სოციალური პრობლემების ნაცვლად, გეი-ქორწინებებზე ელაპარაკათ და გაეღვივებინათ ანტიდასავლური განწყობები. რამდენიმე ასეთი შეხვედრის გაშუქება მედიამ სრულიად შემთხვევით მოახერხა. ოპოზიციური პარტიები პირიქით, ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად გაშუქებულიყო მათი ღონისძიებები“ („რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი).

მმართველი გუნდის მიერ ჩატარებულ წინასაარჩევნო შეხვედრებზე რეგიონული მედია არ იყო ინფორმირებული. დისკუსიისას არაერთხელ აღინიშნა, რომ ამის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ამ შეხვედრებზე დეზინფორმაცია ვრცელდებოდა.

- „ჩემივე საარჩევნო უბანში, მმართველი გუნდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე არ დამიძახეს. 300 კაციან დარბაზში შეიყვანეს საჯარო მოხელეები, სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამაში ჩართული ადამიანები და მხოლოდ თავისი მომხრე მოქალაქეები" („ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელი).

- „ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერი შეხვედრაზე საუბრობდა არა საარჩევნო პროგრამაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ცდილობს ევროკავშირი და დასავლეთი ლგბტ-პროპაგანდის გავრცელებას, ქვეყნის ომში ჩათრევას. თითქოს დასავლეთს და სამოქალაქო საზოგადოებას არ სურს, იყოს გამჭვირვალე და ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ 'რუსული კანონის' მიღებას. დარწმუნებული ვარ ყველა შეხვედრა, რომელიც რეგიონის 100-ზე მეტ სოფელში ჩაატარეს იყო პროპაგანდაზე და დეზინფორმაციაზე აგებული და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ამ შეხვედრებს გვიმალავდნენ. ამის გაშუქება, ბუნებრივია, არ აწყობდათ" („სამხრეთის კარიბჭის" წარმომადგენელი).

ამგვარი შეხვედრები არ იყო გამჭვირვალე არც მედიისთვის და არც მოსახლეობისთვის. ეს ადასტურებს, რომ მმართველი გუნდის მიერ ინფორმაციის დინების გასაკონტროლებლად რეგიონებში ამოქმედდა პარტიული დირექტივა. ეს იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთგვარი „ჩრდილოვანი აკრძალვა", როცა არ არსებობს ამკრძალავი ნორმა, მაგრამ ამომრჩეველთან შეხვედრაზე კრიტიკულ მედიას არ უშვებენ და, უფრო მეტიც, მას პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლიან.

რეგიონში მომუშავე ჟურნალისტების აღნიშნავენ, რომ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის ამ მასშტაბის პრობლემები არ იყო წინა არჩევნებზე და ამას იმითაც ხსნიან, რომ 2024 წელს პირველად ჩატარდა სრულიად პროპორციული წესით არჩევნები და, შესაბამისად, მაჟორიტარობის კანდიდატები ინდივიდუალურ დონეზე აღარ იყვნენ დაინტერესებულნი ინფორმაციის გავრცელებაში.

მედიისთვის გამოწვევა იყო არჩევნების დღეს დამკვირვებლების მიერ გადაღებულ მასალებზე წვდომა, რის გამოც ჟურნალისტები მასალას ოპერატიულად ვერ ავრცელებდნენ. დამკვირვებლების მიერ გადაღებული კადრები ჯერ პარტიებში ან სადამკვირვებლო ორგანიზაციებში იგზავნებოდა და მათი გავლით მედიაში დაგვიანებით ვრცელდებოდა. სწორედ ამიტომ დარღვევების მტკიცებულებები (მათ შორის გაჟონილი ბიულეტენების კადრები), მომდევნო დღეებში გახდა ხელმისაწვდომი მედიისთვის:

„პარტიებმა დაგვამატეს მედიის ჩატებში, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დაწერილა არც კენჭისყრამდე და არც კენჭისყრის დღეს. სადამკვირვებლო ორგანიზაციები ცდილობდნენ, ჩვენგან მიეღოთ ინფორმაცია და არა ჩვენთვის მოეწოდებინათ. მათ თავიანთი დღის წესრიგი ჰქონდათ, თუმცა გულდასაწყვეტი იყო, რომ ინტერვიუებზეც უარს გვეუბნებოდნენ, როცა უბნებზე მივდიოდით", - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის" წარმომადგენელი.

მმართველი გუნდი დამოუკიდებელ რეგიონულ მედიასთან ბოიკოტის რეჟიმშია. ინტერვიუს ფორმატი არჩევნებამდეც გამქრალი იყო. ზოგადად, სხვა პოლიტიკური პარტიებიც ვერ იყენებენ რეგიონული მედიის რესურსს და ხშირად მედიის წარმომადგენლებს უწევდათ ხვეწნა, რომ მიიღოთ კომენტარი: „დიდი ძალისხმევა იყო საჭირო იმისთვის, რომ მიგვეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროგრამებზე, გეგმებზე. არადა, მათ ინტერესებში შედიოდა რომ ინფორმაცია პროაქტიულად მოეწოდებინათ", - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის" წარმომადგენელი.

მმართველ გუნდის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, პრეს-სამსახურები თავად ავრცელებდნენ მათთვის სასურველ კადრებსა და კომენტარებს, რომელსაც კრიტიკული მედია ვერ იყენებდა. ინფორმაციის მიწოდების ეს პრაქტიკა ვრცელდებოდა მმართველი

გუნდისადმი ლოიალურად განწყობილი მედიის შემთხვევაშიც. ნაციონალური ტელევიზიების პოლარიზაციაზე და პოლიტიკურ პარტიებთან სიმბიოზური ურთიერთობების გავლენაზე საუბრობს პროსახელისუფლებო ტელევიზიის, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტიც და აღწერს სამთავრობო მედიაში მუშაობის რუტინას: „ყველა გადაცემა თუ სატელევიზიო შოუ გადაქცეული იყო პარტიის პრეს-სამსახურის დამატებად და საეთერო ბადე კონკრეტული პარტიების დღის წესრიგით დგებოდა“. რესპონდენტი წარსულ დროში საუბრობს, რადგან წლის ბოლოს დატოვა ტელეკომპანია. ხელისუფლების მანკიერი პრაქტიკა კიდევ უფრო გამყარდება, რადგან რამდენიმე მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა ტენდერი პრეს-სამსახურებისთვის ვიდეოკამერების შესყიდვაზე. ეს კრიტიკულ მედიას კიდევ უფრო შეუზღუდავს წვდომას ინფორმაციასთან. „ადგილობრივი მუნიციპალიტეტები შეხვედრებს თავად აშუქებენ - ხმა და ლაპარაკი საერთოდ არ ისმის. მხოლოდ მუსიკა ადევს კადრებს“, - ადასტურებს „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი.

მედია-კონტენტის შექმნის პრაქტიკა არის არასამთავრობო ორგანიზაციებშიც, რაზეც მედიის წარმომადგენლებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. ნაწილი ფიქრობს, რომ რაც მეტი ორგანიზაცია გაავრცელებს სწორ და საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციას - უკეთესია; ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს მედიის ფუნქციებში შემოჭრაა და უმჯობესია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნონ ანგარიშები, კვლევები, რომლებსაც მედიაორგანიზაციები შემდგომში მედია-კონტენტად გადააქცევენ.

რეგიონში პრობლემაა წყაროების დივერსიფიკაციაც. რეგიონული მედიის წარმომადგენლები იძულებულები არიან, რიგ თემებზე რესპონდენტი თბილისში მოიძიონ. არადა რეგიონის მოსახლეობისთვის რესპონდენტი არაა ნაცნობი და ის ნდობას არ იწვევს: „იმდენად ბევრი ადამიანი ტოვებს რეგიონს, შეუძლებელია კომენტარი ჩაწერო ადგილობრივი პროფესიონალისგან, რომელიც შეგიფასებს ამბებს“, - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი.

დისკუსიისას გაჩნდა მეორადი კითხვები და თემები. მათ შორისაა კრიტიკულ მედიაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა სასტუმროების ტელევიზორებში. კერძოდ, კრიტიკულ მედიას აქვს ბარიერები მოსახლეობასთან კომუნიკაციის დასამყარებლად. ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს შორისაა ტელე-პროვაიდერების მიერ მთავრობის მიმართ ლოიალურად განწყობილი ტელევიზიების პირველ, მეორე, მესამე არხებად ავტომატური დაყენება, როდესაც კრიტიკული მედია ადგილს არხების ჩამონათვალის ბოლოში იკავებს.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა განმარტეს, რომ ეს პრობლემა რეგიონში დამოკიდებულია ინფრასტრუქტურასა და გადამცემებზე, რომლის ფლობა რეგიონული მაუწყებლებისთვის ძვირი სიამოვნებაა. პრაქტიკა, როცა სატელევიზიო არხების ჩამონათვალში კრიტიკული არხები „ჩაკარგულია“ შეიძლება მივიჩნიოთ სატელევიზიო კონტენტის ე.წ. ჩრდილოვან აკრძალვად (shadow banning), როცა ოფიციალურად არაა აკრძალული კრიტიკული მედია, მაგრამ მომხმარებლამდე კონტენტი მაინც ვერ მიდის. ტრადიციული განსაზღვრებით, ჩრდილოვანი აკრძალვა ვრცელდება სოციალური ქსელების მომხმარებელზე, რომელსაც ეზღუდება წვდომა ინფორმაციაზე ან თავად მის მიერ შექმნილი კონტენტი არ ვრცელდება თავისუფლად ისე, რომ ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ აქვს: „ეს მარტო რეგიონის პრობლემა არაა, თბილისში ვიყავით ტრენინგზე და სასტუმროს ტელევიზორებში, ყველგან ‘პოსტ ტვ’-ით და ‘იმედით’ იწყებოდა არხების ჩამონათვალი. უნდა გეძებნა ოპოზიციური არხები“, - ამბობს „კახეთის ხმის“ წარმომადგენელი.

ბოლო წლებში (დისკუსიის მონაწილეები ათვლის წერტილად ასახელებენ 2021 წელს) ადგილობრივი თვითმმართველობები დაიხურა მედიის და სამოქალაქო ინიციატივებისთვის. ეს შეეხო არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ისეთ თემებსაც, რომლის ირგვლივ თანამშრომლობა ხელისუფლების ინტერესშიც შედიოდა:

- „ერთადერთი თანამშრომლობის რესურსი ხელისუფლებასთან არის მაშინ, თუ რეგიონული მედია მათ მიერ მოწოდებულ „ულიმიტო ნიუსებს“ გაავრცელებს. ჩვენი პირობა იყო და არის, რომ მასალებმა სარედაქციო ფილტრი უნდა გაიარონ, რომ შეესაბამებოდეს ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს და რედაქციის შინაგანაწესს. ამ პირობებზე ხელისუფლება არ თანხმდება და შემოთავაზებებიც აღარ არის“, - ამბობს „კახეთის ხმის“ წარმომადგენელი.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მოქმედებს პოლარიზაცია და შედეგად ზარალდება მაყურებელი, რომელიც გარკვეულ თემებზე ვერ იღებს სრულყოფილ ინფორმაციას: „რუსული კანონის შემოღების პერიოდში, ადგილობრივ მედიაში თითქმის ვეღარ ვლაპარაკობდით ადგილობრივ პრობლემებზე“, - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი.

წყაროებთან ურთიერთობისას შესამჩნევია თვითცენზურა და ინტერვიუს მიცემის დროს ნათქვამი განსხვავდება არაფორმალური საუბრებიდან და მოქმედებიდან. როგორც რეგიონული მედიის წარმომადგენელი იხსენებს, ეს შესამჩნევი იყო წინასაარჩევნო პერიოდში და უშუალოდ არჩევნების დღეს: „ჟურნალისტებს ხშირად ატყობინებენ ამა თუ იმ პრობლემის შესახებ, თუმცა პრობლემაზე საუბარს და კომენტარის მოცემას ერიდებიან. წყაროებს ურჩევნიათ, რომ ჟურნალისტმა ისაუბროს მათ პრობლემაზე და თავად არ გამოჩნდნენ. მაყურებლის თვალში წყაროების ასეთი ‘დამალვა’ სანდოობაზეც მოქმედებს. ყოფილა შემთხვევა, რომ ინტერვიუ შეწყვეტილა იმ მიზეზითაც, რომ რესპონდენტს გაუჩნდა შიში და ბრაზი, რომ რაიმე ნეგატიური წამოაცდებოდა მთავრობაზე“ (ტელეკომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენელი). ამგვარი თვითცენზურა და შიშის ატმოსფერო აზიანებს მედიისადმი ნდობას.

## 4.5. „მედიის გადატვირთვა“: ნდობის აღდგენა

საქართველოში ჟურნალისტიკის პროფესიისა და მედიის, როგორც ინსტიტუციის დისკრედიტაცია წლებია გრძელდება. ამან ნეგატიურად იმოქმედა მედიის მიმართ ნდობაზე და როგორც კვლევაში ჩართული ჟურნალისტები ამბობენ: „უკვე ყველა ერთ ქვაბში მოიხარშა“ იმისდა მიუხედავად, თუ რომელ მედიას წარმოადგენენ ან რა კონტენტს ქმნიან.

დისკუსიის მონაწილეები ამგვარ ეფექტს „ნდობის პოლარიზაციას“ უწოდებენ. მათი აღქმით, „მედიისადმი ნდობის სკალა“ მხოლოდ ორ უკიდურეს მაჩვენებელზეა, რომელშიცმედიას ან უპირობოდ ენდობიან, ან - საერთოდ არ.

აშკარაა, რომ 2024 წელს მედიისადმი ნდობა დააზიანა „აგენტების/რუსული კანონის“ მიღებისას წარმოებულმა კამპანიამ. ნდობის ეროზიაში თავისი წვლილი შეიტანა ცრუ/ილუზორულმა პოლარიზაციამ, სამთავრობო და რუსულმა პროპაგანდამ, მედიის დისკრედიტაციის კამპანიებმა, ინფორმაციასთან წვდომის პრობლემამ, მიკერძოებულმა კონტენტმა და სხვ.

დისკუსიამ გამოკვეთა, რომ შესაძლოა მედიისადმი ნდობა ყველაზე მეტად დააზიანა ჟურნალისტების პოლიტიკურ პარტიებთან სიმბიოზურმა კავშირებმა და აფილიაციებმა. წინა წლებისგან განსხვავებით, ჟურნალისტების მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაცია აზიანებს მათ პროფესიულ საქმიანობასა და მათდამი ნდობას. ამ შემთხვევაშიც კრიტიკული მედიის წარმომადგენლები საუბრობენ და აკრიტიკებენ როგორც მმართველ გუნდს, ისე - ოპოზიციას. სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლების მხრიდან მმართველი გუნდის კრიტიკა აქაც ნაკლებია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ნდობაზე იმოქმედა, არის ის, რომ „მედია გამოვიდა პროფესიული როლიდან, რადგან თავად გახდა სამიზნე“ („ტოკ-ტვ“-ის წარმომადგენელი), ამგვარი პოზიციონირება დამოუკიდებელი მედიისთვისაც იყო იძულებითი მდგომარეობა. ამასთან, პოლიტიკურ პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დასუსტების გამო მედიამ ნაწილობრივ შეითავსა სხვა ინსტიტუტების პასუხისმგებლობები.

- „სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით, ჩვენ დემონსტრაციებში მონაწილეობა გვეკრძალება (გამონაკლისია, როცა პროტესტი ჟურნალისტების უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას ეხება). შექმნილი სიტუაციის გამო, ხელისუფლებამ გვაიძულა, რომ გავმხდარიყავით პროცესის მხარე და არა - მხოლოდ მიუკერძოებელი გამშუქებელი“ (ონლაინ-გამოცემა „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი);

- „სამწუხაროდ, აქტივიზმსა და ჟურნალისტიკას შორის ზღვარი წაიშალა იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩა. იძულებულები ვართ, შევცვალოთ პროფესიული დღის წესრიგი და ვიყოთ მოპასუხის როლში“ („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი).

- „მომავალში მედიამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს და ამით დაიბრუნებს კიდეც მაყურებლის ნდობას“ („მთავარი არხის“ წარმომადგენელი).

რეგიონული მედიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ნდობის კრიზისი შექმნა პოლარიზაციამ და ეს ყველაზე კარგად ვლინდება იმაში, რომ ჟურნალისტებს შორის აღარაა ისეთი სოლიდარობა, როგორიც იყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში  მოსვლამდე. ანუ პოლიტიკურმა პოლარიზაციამ პირად ურთიერთობებში შეაღწია. ნდობაზე ირიბად მოქმედი ფაქტორია ტელევიზიების ფინანსური დამოუკიდებლობის არქონაც: „იქ, სადაც საერთაშორისო დონორების დაფინანსებაა, მედიის კონტენტში არავინ ერევა. სწორედ ამიტომ რეგიონული მედია უფრო ობიექტურია“ (ტელეკომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენელი).

კრიტიკული მედიის წარმომადგენლები საუბრობენ მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ჟურნალისტების მიზანმიმართულ კონფორმიზმზე, რაც, მათი აზრით, თვითგადარჩენისა და სოციალური სტატუსის დამკვიდრების გამო ხდება. საქართველოში, ინფორმაციულ და მედიის ეკოსისტემაზე მოქმედებს ბიუროკრატიული მართვის სისტემა, რომელიც „უხილავი ხელით“ აკორექტირებს ინფორმაციის თავისუფლად დინებას და ეს ძალაუფლების გადანაწილების ბალანსზეც აისახება.

პოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო კვლევაში ჩართული ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ დაპირისპირებულ ჟურნალისტებს ამ ეტაპზე გაუჭირდებათ კონსენსუსის მიღწევა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ორივე მხარე თავს მსხვერპლად აღიქვამს: ერთი მხარე ხელისუფლებისგან, მეორე კი საზოგადოებისგან მიღებულ ბულინგზე ამახვილებს ყურადღებას.

სანდოობაზე მოქმედებს წყაროების თვითცენზურა და ერთფეროვნება, რადგან მაყურებელი მიიჩნევს, რომ ეს მედიის სარედაქციო პოლიტიკის შედეგია და არა - პოლარიზაციისა და შიშის. მედიისადმი უნდობლობა გამოვლინდა იმაშიც, რომ წყაროები ჩანაწერის გარეშე (off-the-record) საუბრისგანაც კი თავს იკავებენ. ეს პრობლემა წინა წლებშიც იყო, როცა შიშის გამო წყაროებს, ძირითადად, ანონიმურად დარჩენა ერჩივნათ, რაც ანალიტიკური და საგამოძიებო მედიაპროდუქტისადმი ნდობას ამცირებდა. „რუსული კანონის“ მიღების შემდეგ ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა: „კანონი გვავალდებულებს გავთქვათ კონფიდენციალური წყაროების ვინაობა, რაც მოქმედებს ჩვენდამი ნდობაზეც.  შედეგად, შემცირდა წყაროების რაოდენობაც, რომლებიც ადრე გვესაუბრებოდნენ მაინც. ახლა, ისინი ჩვენთან საუბრისას თავს უსაფრთხოდ აღარ გრძნობენ“, - ამბობს „სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი.

ნდობაზე მოქმედებს მედიის წარმომადგენლების დადანაშაულება ტყუილების ტირაჟირებაში. კრიტიკული მედიის ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ჟურნალისტებზე გადაბრალების პრაქტიკა სამთავრობო დირექტივის ნაწილი იყო:

- „მათი მიზანი იყო, გაევრცელებინათ მესიჯი, რომ მედია იტყუება. ასე სურდათ მედიისადმი ნდობა შეემცირებინათ. უნდობლობის გაღვივებით ცდილობენ არასანდო გახადონ კრიტიკული მედიის მიერ მომზადებული რეპორტაჟები. წინასაარჩევნოდ, ეს მიდგომა წარმატებით მუშაობდა და ჩვენ გვიწევდა იმის მტკიცება, რომ რასაც ვაშუქებდით, არ იყო მონტაჟი და არსებობდა ე.წ. უწყვეტი კადრები" („რადიო თავისუფლების" ჟურნალისტი).
- „როდესაც სისტემა მუშაობს ამ პროფესიის დისკრედიტაციაზე, ცხადია, ეს მოქმედებს ჟურნალისტისა და მედიის მიმართ ნდობაზე" (ტელეკომპანია „ფორმულას" წარმომადგენელი).
- „სამწუხაროდ, მედია პოლიტიკურ მხარედ გადაიქცა, გვინდოდა ეს თუ არა. ამაში მთავარი დამნაშავე ოლიგარქი ივანიშვილია, რომელმაც მიზანმიმართულად 'შუა გაკრიფა' ჯერ პარტიები, შემდეგ კი მედია" („მთავარი არხის" წარმომადგენელი).

დისკუსიისას აღინიშნა, რომ „აუდიტორიასთან წვდომა (reach) არ ნიშნავს იმას, რომ მედიას ენდობიან და ნახვების რაოდენობაზე მნიშვნელოვანი სწორედ ნდობაა" („ტოკ-ტვ"-ის წარმომადგენელი). კვლევაში ჩართული მონაწილეების აზრით, მედიისადმი ნდობა დაკავშირებულია ჟურნალისტების კომპეტენციებთან და პროფესიული სტანდარტების დაცვასთან, რადგან ეს ყველაფერი მოქმედებს ჟურნალისტური პროდუქციის ხარისხზე.

ჟურნალისტებმა ყურადღება გაამახვილეს სტაჟიორების განათლებასა და მათი გადამზადების საჭიროებაზე: „ჟურნალისტების გაზრდის ნაცვლად, სტაჟიორებისგან ქმნიან მიკროფონის 'სადგამებს', რომლებმაც არაფერი იციან პროფესიის შესახებ.  ახალბედა ჟურნალისტებს პოლიტიკოსთან უშვებენ და მათ არ აქვთ იმის რესურსი, რომ კითხვა შეუტრიალონ, რამე ფაქტი შეახსენონ. ამ მახინჯი პრაქტიკის დანერგვაში პასუხიმგებლობის თავისი წილი - მედიამენეჯერებს მიუძღვით", - ამბობს „რუსთავი 2"-ის ყოფილი ჟურნალისტი. ჟურნალისტების ველზე მუშაობის პრაქტიკა აყალიბებს საზოგადოების შეხედულებას პროფესიაზე და შემდგომში - ნდობას. შესაბამისად, თავად ნდობის ხარისხზე სხვა კომპონენტებთან ერთად ჟურნალისტის პროფესიული განათლება და კომპეტენციებიც მოქმედებს.

მედიისადმი ნდობაზე მოქმედებს ის, თუ რა ტიპის კონტენტი ხვდება სოციალურ მედიაში. ეს კონტენტი შეიძლება იყოს განსხვავებული იმისგან, რაც ეთერში გადის. ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტის აზრით, ხშირად ნდობა (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) სწორედ სოც-ქსელებში გავრცელებული ე.წ. ქარდებიდან იქმნება და ამიტომაც ჩნდება პრეტენზიები „იმედის" მიკერძოებულობაზე. სინამდვილეში კი საეთერო დრო განსხვავებულ კონტენტს უთმობს ადგილს და პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

ტელეკომპანია „იმედის" ჟურნალისტის აზრით, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ 34 ჟურნალისტისა და მედიაში დასაქმებულის დაჯილდოებამ ნდობის ნაპრალი გააღრმავა, რადგან პრეზიდენტს აქვს ნდობა და მან მხოლოდ კრიტიკული მედიის წარმომადგენლები დააჯილდოვა: „ეს იყო არა ჟურნალისტების დაფასება, არამედ პოლიტიკური აქტი. სამთავრობო არხების ის ჟურნალისტები და ოპერატორები, რომლებიც აქციაზე იდგნენ და გაზით მოიწამლნენ, პრეზიდენტმა არ დააჯილდოვა. ყველაზე მეტად ეს ოპერატორებს ეწყინათ, რადგან ტელევიზიის ხერხემალი კადრი და ოპერატორია". „ "იმედის"" ჟურნალისტი დისკრიმინაციად აღიქვამს პრეზიდენტის ამ ჯილდოს და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდანაც მხოლოდ კრიტიკული მედიის წარმომადგენლების მუშაობასა და რისკებზე ხაზგასმას.ამ კონტექსტში იხსენებს მედიის სოლიდარობის აქციასაც.

მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა დააჯილდოვა აქციებზე დაზარალებული ჟურნალისტებიც. სწორედ ერთ-ერთ მათგანთან 2025 წლის იანვარში ჩავწერეთ დამატებითი ინტერვიუ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხშირად მმართველი გუნდი და მათი მხარდამჭერი ტელევიზიები სოლიდარობას ითხოვენ და ერთ სიბრტყეზე წარმოაჩენენ კრიტიკული მედიის ცემასა და „იმედის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ ბულინგს: „კითხვები მიჩნდება: რატომ ხდება, რომ აქციებზე დაზარალებულები და სპეცრაზმისგან ნაცემები მხოლოდ კრიტიკული მედიის წარმომადგენლები არიან? ერთი და იგივეა, როცა ‘იმედის’ ჟურნალისტს ჩართვის დროს წინ დროშას უფრიალებს დემონსტრანტი და როცა სასიკვდილოდ გვცემენ?“ (ტელეკომპანია “ტვ პირველის” ჟურნალისტი).

2024 წლის ბოლოს თბილისში აქციების მიმდინარეობისა და დარბევის გაშუქებამ შესაძლოა მედიის ნდობაზე პოზიტიურად იმოქმედოს:

- „შეიძლება ბევრი პრეტენზია გვქონდეს კოლეგების მიმართ, მაგრამ ახლა, თბილისში, რუსთაველზე სწორედ მედია იბრძვის და ჩემი აზრით, ნდობაც გაიზრდება“ („კახეთის ხმის“ წარმომადგენელი).

- „მედიისადმი ნდობას აძლიერებს ის, რომ საზოგადოება ხედავს, ხელისუფლება ანგარიშვალდებული აღარაა და მათ ახლა, მედიის იმედი უფრო აქვთ. ჩვენ ხალხის ხმის გაძლიერება შეგვიძლია“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

- “ჩვენ მიმართ ნდობა აქამდეც იყო, მაგრამ ის უფრო გაიზარდა, რადგან დემონსტრაციებმა მისცა ბიძგი ამ ემოციის გამოხატვას. ყველამ დაინახა, რომ ასეთი უბედურების დროს, მხოლოდ ჩვენ ვიყავით მათ გვერდით და ჩვენ გარეშე - მარტო დარჩებიან” (ტელეკომპანია “პირველის” წარმომადგენელი).

წლის ბოლოს, უწყვეტი დემონსტრაციების დროს მედიის და საზოგადოების დაახლოებაც მოხდა და კვლევაში ჩართული ჟურნალისტის აზრით, ხალხი უკვე დასაყრდენს ეძებს ჟურნალისტში. ამ აქციებმა ხალხი და მედია ერთ ორგანიზმად გადააქცია: „აქციაზე ხალხი ერთმანეთის იმედად არიან და ჩვენც ვეიმედებით. ჟურნალისტზე თავდასხმას აღიქვამენ, როგორც თავის თავზე თავდასხმას. ამ გულშემატკივრობას უკვე, ყველგან ვგრძნობთ“ (ტელეკომპანია “პირველის” წარმომადგენელი).

თუმცა მედიის მიმართ არასწორი მოლოდინები არ უნდა შეიქმნას, რადგან ამანაც შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ნდობაზე: „პრობლემაა, როდესაც მედია პრობლემების გადაჭრას ჰპირდება ხალხს. მედიამ არ უნდა გასცეს ის დაპირებები, რომლებსაც ვერ შეასრულებს, ეს მის რეპუტაციას აზიანებს” („აი, ფაქტის“ წარმომადგენელი).

საქართველოში მედიისადმი ნდობის აღდგენისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესის გამტარი მედიის (public interest media) განვითარება. ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენლის აზრით, „მედიისადმი ნდობა რომ გაიზარდოს, ის უნდა აშუქებდეს ხალხისთვის მნიშვნელოვან თემებს და აჟღერებდეს მათ ხმას. მედია და საზოგადოება ერთმანეთს დაშორდა და ამის ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს“. „OC Media“-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხარდაჭერას გრძნობენ მოწყვლადი ჯგუფების მხრიდან, რადგან მათი ინტერესებისთვის იბრძვიან.

ნოემბერის ბოლოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ვარაუდობდა, რომ პოლარიზაცია კიდევ უფრო გაიზრდებოდა და კოორდინირების აუცილებლობაზე საუბრობდა: „ჩვენი საზოგადოება რადიკალურად ორად არის გაყოფილი. საზოგადოებრივ მაუწყებელს

დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია, რომ იყოს მთავარი ინფორმატორი.  ეს ყველას აწუხებს, მაგრამ გამბედაობა, რომ გამოვიდნენ 'მზრუნველი ხელის' გავლენიდან, ყველას არ აქვს. საჭიროა მეტი კოორდინირება, შეხვედრები, საერთო ბრძოლის წესებზე შეთანხმება, ერთმანეთისთვის ინფორმაციის გაზიარება, ერთმანეთის გვერდში დგომა. ახლა არ არის პესიმიზმის დრო" (საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი).

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მდგომარეობა და განწყობები შეიცვალა წლის ბოლოს, ფოკუს-ჯგუფის ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ. ამაზე იმოქმედა უწყვეტმა საპროტესტო აქციებმა. კერძოდ, იანვრის დასაწყისში ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუში საზოგადოებრივი მაუწყებლის იმავე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების მხრიდან გაჩნდა ლეგიტიმური დაკვეთა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება, ასახავდეს ხალხის ინტერესებს და აშუქებდეს მათ პრობლემებს. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პრინციპებში გაწერილია, რომ ის არის ღია და ინკლუზიური საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის. საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს ორი სატელევიზიო და ორი რადიო არხი, რომელიც თანამშრომლების ნაწილის აზრით, სათანადოდ არ ასახავს საზოგადოების ინტერესებსა და პრობლემებს: „პროტესტების ფონზე საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებსაც გაუჩნდათ მოთხოვნა, რომელიც დაემთხვა  საზოგადოების სურვილსაც. ეს კარგი ტანდემია, რომელიც აძლიერებს ტელევიზიის ანგარიშვალდებულებას", - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი, რომელსაც მიაჩნია, რომ ნიჰილიზმი დაძლეულია და საზოგადოება და თანამშრომლების ნაწილი უკვე, ერთად იბრძვის დღის წესრიგის შეცვლისთვის: „ამის საპირისპიროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას სურს ტელევიზია და რადიო გასართობ არხებად აქციოს (რუსულ 'ო-ერ-ტეს' დაამსგავსოს), რაც მიუღებელია", - ამბობს ის.

დეკემბრის თვეში ხალხის პროტესტის ფონზე და მოთხოვნით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მცირე საეთერო დრო (ერთ საათამდე) დაუთმო პროტესტის მონაწილეებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს, რაც მნიშვნელოვან წარმატებად ჩაითვალა: „ახლა საზოგადოების მხარეს არის 40 წუთი და მეორე მხარეს 23 საათზე მეტი. ჩვენ რეალური დროის დათმობას ვითხოვთ. მნიშვნელოვანია ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა. რაც შეეხება ორგანიზაციის შიდა სოლიდარობას, ის მართლაც უპრეცედენტოა. გააქტიურდა პროფკავშირები, შეიქმნა პლატფორმა, ხოლო თანამშრომლების მოთხოვნებზე ხელმომწერთა რაოდენობამ 80-ს მიაღწია" („საზოგადოებრივი მაუწყებლის" წარმომადგენელი). ამასთან, აღინიშნა, რომ არის მცდელობები, რომ შიდა პროტესტის დისკრედიტაცია მოხდეს პარტიებთან აფილიაციის ბრალდებით და მარგინალიზაციით, თუმცა ინტერვიუს დროს განიმარტა, რომ „დაკვეთა მოდის საზოგადოებისგან, რომელსაც ლეგიტიმური უფლება აქვს, რომ მისი ხმა ისმოდეს".

ზოგადად, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიისას გამოიკვეთა სწორედ ხალხის ინტერესებზე მორგებული თემების გაშუქების სურვილი და მზაობა. საზოგადოებრივი ინტერესის მედიის განვითარებას კი მეტწილად სწორედ პარტიული და კომერციული ინტერესებისგან დისტანცირებასა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

## 4.6. „მედიის გადატვირთვა“: პოლიტიკოსებთან ურთიერთობა

დისკუსიისას გაჩნდა მეორეული კითხვები და თემები, რომლებიც გაიდლაინით გათვალისწინებული არ იყო. მათ შორისაა გამოწვევა, რომელიც ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების არაფორმალურ ურთიერთობებს ეხება და აზიანებს პროფესიას. წინა წლებისგან განსხვავებით, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ პროფესიულ საქმიანობაში ხელისშემშლელია პოლიტიკოსებთან ფამილიარული ურთიერთობები.

მათი აზრით, მოშლილია ფორმალური, პროფესიული დისტანცია მედიასა და პოლიტიკოსებს შორის და ეს ნეგატიურად მოქმედებს მედიის იმიჯზე და აზიანებს პროფესიას. ჟურნალისტები წუხან, რომ ეს ფამილიარობა (განსაკუთრებით საპარლამენტო ჟურნალისტების მხრიდან) ეთერიდანაც ჩანს. პოლიტიკოსების მხრიდან დამკვიდრებულია ჟურნალისტების მიმართ კნინობით-ალერსობითი მიმართვები, არსებობს ჩატები, მეგობრული სელფები, არაფორმალურ გარემოში შეკრებები და პრივატული წვეულებები, სადაც ჟურნალისტებთან ერთად იგეგმება და განიხილება მედიის დღის წესრიგი. ასეთ გარემოში იქმნება ნიადაგი იმისთვის, რომ ჟურნალისტი მოექცეს პოლიტიკოსის ზეგავლენის ქვეშ და გაუჩნდეს თვითცენზურა.

გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტები საზოგადოების მხრიდან უნდობლობის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევენ ამ ტიპის ფამილიარულ ურთიერთობასაც, რომელიც ჟურნალისტებს აქვთ პოლიტიკოსების მიმართ და რომელიც ჩანს სოციალურ ქსელებშიც: „პროფესიული დისტანცია საერთოდ მოშლილია მედიის წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს/დეპუტატებს შორის. მაგალითად, კრიტიკულმა ჟურნალისტი შეიძლება ჩაერთოს რომელიღაც დეპუტატის დაბადების დღის ტორტის ჩაქრობაში”, - ამბობს „ფორმულას“ წარმომადგენელი.

იმავეს ფიქრობს ე.წ. სამთავრობო ტელევიზიის წარმომადგენელი: „ჟურნალისტი პოლიტიკოსთან არ უნდა მეგობრობდეს. იმავეს ვურჩევ დამწყებ ჟურნალისტებსა და სტაჟიორებს. ეს ფამილიარული ურთიერთობები დაუშვებელია იმიტომ, რომ ყველა ცდილობს, სათავისოდ გამოგიყენოს. უნდა არსებობდეს რაღაც ზღვარი. ისე შეიძლება მოექცე გავლენის ქვეშ, ვერც მიხვდე და ეს ყველაფერი პოლიტიკოსებს ძალიან აწყობთ იმიტომ, რომ გააძლიერონ თვითცენზურა ჟურნალისტში და კრიტიკული კითხვები აღარ დაისვას. ამას ძალიან მიზანმიმართულად აკეთებს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც“. ამ კონტექსტში პოლიტიკოსებთან ფამილიარული და არაჯანსაღი ურთიერთობები ნეგატიურად მოქმედებს კოლეგების მიმართ სოლიდარობასა და საზოგადოების მხრიდან ნდობაზე.

მედიის სარედაქციო პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს პოლიტიკური იდეოლოგიისადმი მეტ ან ნაკლებ ლოიალობას. ეს მაყურებელს აძლევს საშუალებას, თავისი მრწამსის მიხედვით შეარჩიოს ინფორმაციის მიღების წყარო. თუმცა საქართველოში მედია უფრო პარტიული მხარეა, რომელსაც არ აქვს გამოკვეთილი თავისი იდეოლოგიური იდენტობა. შესაბამისად, მედია და ჟურნალისტები იცვლიან პოლიტიკურ ორიენტაციას იმის მიხედვით, ვინ იქნება მეპატრონე, ვინ - ხელისუფლებასა და ოპოზიციაში და მათ დღის წესრიგს მიჰყვება. ეს მედიისა და ჟურნალისტებისადმი ნდობაზე ნეგატიურად მოქმედებს.

მედიის დემოკრატიზაციასა და ნდობას განაპირობებს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება: „რაც უფრო გაიზრდება მედიის მხრიდან პასუხისმგებლობა, მით უფრო მოიმატებს ნდობა. მედიას უნდა ჰქონდეს საკუთარი ღირებულებითი ვექტორი, რომელიც იქნება გაცხადებული, მათ შორის პოლიტიკური იდეოლოგიის კუთხით“ („კახეთის ხმის“ წარმომადგენელი).

დისკუსიის დროს გამოიკვეთა სურვილი, რომ პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ მედიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ პროფესიული მუშაობის წესებზე. ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ მხარეებს შორის არსებულ საინფორმაციო ომში არ იყვნენ მხარეები, რადგან ეს პროფესიას აზიანებს. მათი შეფასებით, მედიაში თვითგამორკვევის და გადარჩენის ეტაპია და ამ პროცესში მნიშვნელოვანია ურთიერთსოლიდარობა. „იმედის" ჟურნალისტის აზრით კი, ეს პროცესი „შერიგებით უნდა დავიწყოთ". სხვადასხვა პოლუსზე მყოფ ჟურნალისტებს შორის ჯერ კიდევ არის კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები, რაც, ერთი მხრივ, პარადოქსულია, მეორე მხრივ, სამომავლოდ დიალოგის საფუძველი შეიძლება იყოს: „ამგვარი შეთანხმება და დიალოგი ჯერ ვერ მოხდება, რადგან თავად ჟურნალისტებში არაა ამის მზაობა. ძნელია ემოციების მოთოკვა, როცა დასისხლიანებულ კოლეგას ხედავ" ("რადიო თავისუფლების" წარმომადგენელი). ჟურნალისტები „მედიის გადატვირთვის" ამგვარ შესაძლებლობას გარდამავალ პერიოდში ხედავენ.

## ■ 4.7. სამოქალაქო ჟურნალისტები, მედია და ალტერნატიული მედია

სამოქალაქო ჟურნალისტები არიან მნიშვნელოვანი წყაროები მედიისთვის. ისინი არ არიან მედიაში დასაქმებულები, მაგრამ აქვთ სმარტფონები იმისთვის, რომ გადაიღონ მნიშვნელოვანი მასალა და გაავრცელონ სოციალური ქსელებით. მოქალაქე ჟურნალისტები შეიძლება არ იყვნენ „ინფლუენსერები", არამედ წარმოადგენდნენ რიგით მოქალაქეებს, რომელიც კონკრეტულ დროსა და ადგილზე, მათ შორის მონაწილის პერსპექტივიდანაც, ახდენენ აუდიტორიის ინფორმირებას. პროფესიონალ ჟურნალისტებთან მათ ისიც აერთიანებთ, რომ შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ მედიისა და საზოგადოების დღის წესრიგზე. მოქალაქე ჟურნალისტებისთვის არ არსებობს სარედაქციო ბიუროკრატია. ისინი თავად იღებენ გადაწვეტილებას, რა გააშუქონ და რა - არა. ამ მხრივ ისინი უფრო ოპერატიულებიც არიან.

არჩევნების პერიოდში მოქალაქე ჟურნალისტებთან თანამშრომლობის პრაქტიკა გამოიკვეთა ყველა რეგიონში. ეს რესურსი განსაკუთრებით ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც პატარა მედიაორგანიზაციებშია. იქ, სადაც პროფესიონალი მედიის წარმომადგენლები არ იყვნენ, სწორედ მოქალაქეები მოიპოვებდნენ მასალას და ავრცელებდნენ. ასეთ შემთხვევას იხსენებს „ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელი: „როცა უბანი დაიხურა და დაიწყო დათვლა, წავიდა ელექტროენერგია, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა ხარაგაულში. ეს ინფორმაცია და შესაბამისი მასალაც მოქალაქემ მოგვაწოდა".

მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ფორმატის შექმნა, რომელიც ორმხრივ მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის: „ზოგჯერ არ უნდოდათ, რომ მათი გადაღებული ვიდეოები ეთერში გასულიყო, ან არ უნდოდათ იდენტიფიცირებულნი ყოფილიყვნენ" („მთავარი არხის" წარმომადგენელი). დისკუსიაზე გამოითქვა სამოქალაქო ჟურნალისტებთან თანამშრომლობისა და საერთო ქსელის შექმნის სურვილი.

ამ დისკუსიამ მეორეული კითხვები გააჩინა და მონაწილეებმა თავისი აზრი გამოთქვეს ალტერნატიულ მედიასა და ე.წ. ინფლუენსერებზეც. „ალტერნატიული მედია" საქართველოში ე.წ. ინფლუენსერებს აქვთ ათვისებული. დისკუსიისას აღინიშნა, რომ მათ მიმართ მეტი ნდობა არსებობს, თუმცა ისინი ვერ ჩაანაცვლებენ ჟურნალისტებს, რადგან ველზე მუშაობისას ჟურნალისტები ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო უნარებს იძენენ, რომლებიც ინფლუენსერებს არ აქვთ.

ჟურნალისტები განიხილავენ სხვადასხვა ალტერნატიულ პლატფორმებზე დასაქმების შესაძლებლობასაც. ამ პლატფორმების ათვისება მედიისთვის გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ მედიის გადარჩენის მიზნით შექმნილი ალტერნატიული მედიის პლატფორმები არ არის იმის გარანტი, რომ მათაც არ დახურავენ. ამასთან, შიშობენ, რომ ონლაინ-პლატფორმები უფრო მოწყვლადია პროპაგანდის მიმართ, ვიდრე ტრადიციული მედია და ამიტომ მასთან გამკლავება იქნება რთული.

- „სხვა პლატფორმაზე დამოუკიდებლად გადასვლის შემთხვევაში, გჭირდება საწყისი კაპიტალი და დახმარება“ (საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი).

- „ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რა პირობებში მოგვიწევს მუშაობის გაგრძელება. ალტერნატიული პლატფორმების ათვისება არაა გამოსავალი, რადგან დიქტატორები მათაც კრძალავენ“ (ონლაინ-მედია „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელი).

მოსაზრებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით უნდა დაუკავშირდეს ჟურნალისტურ საქმიანობას სხვადასხვა სოციალური პლატფორმა (მაგ: ინსტაგრამი, ტიკ-ტოკი, იუთუბი). ჟურნალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ამ პლატფორმებზე ფოკუსირებით კონტენტს ღირებულება ეკარგება და შეუძლებელია მაღალი ხარისხის, ანალიტიკური მასალის კონკრეტული მედიუმის ინფრასტრუქტურაზე მორგება. სოციალური მედიის პოპულარობა მოქმედებს რედაქციებში ცალკეული ჟანრების მიმართ (მაგალითად, ანალიტიკური სტატიის) ინტერესის კლებაზე. ამაზე მოქმედებს ის, რომ აუდიტორიასთან წვდომის შეფასება უფრო თვალსაჩინოა სოცმედიაში: „ტიკ-ტოკზე პროფესიონალურ პროდუქტს ვერ დადებ. ესაა ველი, სადაც ე.წ. ინფლუენსერებს ვეჯიბრებით და ვცდილობთ, რომ ჩვენი რესურსი ამ მიმართულებით დავხარჯოთ, რასაც ხარისხი ეწირება“ („რადიო თავისუფლების“ წარმომადგენელი).

ამაზე განსხვავებული აზრი აქვთ მათ, ვინც ფიქრობს, რომ ეს პლატფორმები აუდიტორიის ანალიზისა და კონკრეტულ სეგმენტზე ტარგეტირების შესაძლებლობაა. ამასთან, დისკუსიის მონაწილეთა ნაწილი ფიქრობს, რომ პროპაგანდასა და დეზინფორმაციასთან ბრძოლისთვის ეს პლატფორმები ასათვისებელია: „ტიკ-ტოკი არის ინფორმაციის მიღების რესურსი, რომელიც ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, საინტერესოა და ინსპირაციის წყაროა. ვფიქრობ, ამ რესურსის გამოყენება პროფესიულადაც საჭიროა“ („სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი).

მთავარ გამოწვევად ტრადიციული და ონლაინ მედიის წარმომადგენლები წელსაც მიიჩნევენ იმას, რომ სოცქსელებისთვის კონტენტის შექმნა დამატებით რესურსებს მოითხოვს და ის ნაკლებადაა მორგებული ტრადიციული მედიის ჟანრების სპეციფიკას. მათთვის გამოწვევად რჩება ისეთი კონტენტის შექმნა, რომელიც შეძლებს რამდენიმე წამში აუდიტორიის ყურადღების მიპყრობასა და მიზიდვას. ალტერნატიულ პლატფორმებზე პოზიციონირება და კონკურენცია გამოწვევაა ჟურნალისტების განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხითაც.

## 4.8. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა

„აგენტების/რუსული კანონის“ მიღების შემდეგ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობდნენ მედიაორგანიზაციების გაძლიერებას და მორალურ მხარდაჭერას. ამასთან, ჟურნალისტებისთვის ცხადი იყო, რომ დონორები არ გადაიხდიდნენ იმ ჯარიმებს, რომელიც კანონის იმპლემენტაციის დროს დაეკისრებოდა ორგანიზაციას. ტარდებოდა საკონსულტაციო შეხვედრები, რომელიც მოიცავდა იურიდიულ კონსულტაციებს, კიბერუსაფრთხოების ტრენინგებს. რამდენიმე მედიამ დონორების დახმარებით შეძლო ინფრასტრუქტურის განახლება. რეგიონულ მედიასთან თანამშრომლობდნენ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებიც.

ჟურნალისტებისთვის გაურკვეველია, როგორი იქნება დონორების მუშაობის რეჟიმი საქართველოში. არსებობს შიში იმის, რომ დონორები საქართველოს დატოვებენ. ამასთან, რისკები რჩება „რუსული/აგენტების კანონის“ ინსტრუმენტალიზაციის შემთხვევაშიც. მედია ამ ეტაპზე გადარჩენაზეა ფოკუსირებული და არა - განვითარებაზე.

ჟურნალისტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დონორების მხრიდან გრძელვადიანი პროექტების მხარდაჭერასა და რესურსების გაზრდას, რადგან რეგიონულ მედიაში ხელფასები ძალიან დაბალია: „ჟურნალისტები ხშირად უხელფასოდ ან მინიმალურ ჰონორარზე, მხოლოდ ღირებულებების ერთგულების გამო მუშაობენ“ („ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი).

სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს შრომისუნარიანობის შემცირებაზე: დონორების მხრიდან არასაკმარისი დაფინანსება; დონორებთან კომუნიკაციისა და კონსენსუსის მიღწევის არაეფექტურობა; „აგენტების/რუსული კანონის“ ამოქმედების შემთხვევაში ხარჯების ზრდის მოლოდინი; მიტოვებულობის განცდა; ინტელექტუალური საქმიანობის გაუფასურება და სხვ. „კახეთის ხმის“ წარმომადგენელი ამბობს, რომ „მხარდაჭერა დააგვიანდათ დონორებს. ამ ზაფხულს გაჩნდა ფინანსური რესურსები, მაგრამ მუშაობის რესურსი აღარ გვქონდა“.

წინასაარჩევნო პერიოდში სამოქალაქო სექტორი ცდილობდა, არჩევნების ადმინისტრირების პროცესისადმი ნდობა ყოფილიყო და ნიჰილიზმი არ დამკვიდრებულიყო. ჟურნალისტები ამის გამო აკრიტიკებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და აღნიშნავენ, რომ მედიას წინასაარჩევნო თემების გაშუქებისას თვითცენზურა გაუჩნდა. ჟურნალისტებმა ახსენეს ჩართულ მხარეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და სტრატეგიული კომუნიკაციების არაეფექტური წარმართვა:

- „არასამთავრობო სექტორმა ავტორიტარული ხელისუფლების პირობებში არჩევნების ჩატარების ილუზია გაამყარა და მედიაც, პრობლემებზე საუბრის მაგივრად, არჩევნების მოლოდინის რეჟიმში გადავიდა“ (ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტი).
- „მედიაში, პარტიებსა და არასამთავრობო სექტორში ‘ეგოების დატოლებას’ ვხედავ” (ტელეკომპანია „ფორმულას“ წარმომადგენელი).

მნიშვნელოვანია, რომ მმართველი გუნდისა და დონორ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა გავლენას ახდენს მედიაზე. კვლევაში ჩართულმა მონაწილეებმა გაიხსენეს ჟურნალისტების წრეებში გახმაურებული შემთხვევები, როცა სავარაუდოდ, მმართველი გუნდის მოთხოვნით, დონორი ორგანიზაცია ჩაერია სარედაქციო პოლიტიკაში და მასალა „დაიბლოკა“ (დისკუსიის მონაწილეებმა ახსენეს „მთის ამბების“ რედაქტორის, გელა მთივლიშვილის მიერ შექმნილი ფილმები):

- „ჩემი აზრით, ესეც არის ცენზურა. ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ხელისუფლებასთან დონორის ურთიერთობა. ეს მორალური დარტყმაა” (ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი).

- „არიან დონორი ორგანიზაციები, რომლებიც არ აფინანსებენ მწვავე თემებს, ურჩევნიათ არ შეიქმნან პრობლემა ხელისუფლებასთან. ძალიან მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის გაძლიერება ‘რუსული კანონის’ შემოღებამდე, რაც დონორებმა არ გააკეთეს და, შესაბამისად, დადგა კრიზისი. ახლა დონორების დახმარება გაჩნდა, მაგრამ გვაქვს შიში, რომ ყოველი გადაცემა შეიძლება იყოს ბოლო“ („სტუდია მონიტორის“ წარმომადგენელი).

- „დონორებმა უკვე დაიწყეს ჩვენს კონტენტში ჩარევა, რომ ხელისუფლებასთან არ გაიფუჭონ საქმე. არის იმის საფრთხე, რომ დაფინანსება შეწყდება ან შეიცვლება პრიორიტეტები” („OC Media“-ს წარმომადგენელი).

ამის საპირწონედ, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ დონორების მხრიდან მათ მიმართ ინტერესი ნაკლებია და სოლიდარობასაც მხოლოდ კრიტიკული მედია იღებს.

ჟურნალისტებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმ პირველადი საპასუხო რეაქციის გამო, რაც დონორებისგან წამოვიდა კანონის მიღების შემდეგ. ძირითადად, იყო შემოთავაზებები სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლისა და რეგისტრაციის დახმარებების შესახებ. მოგვიანებით გაჩნდა მედიის ინტერესებზე მორგებული დახმარებები: „ხელისუფლების მიზანიც ისაა, რომ გავქრეთ ამ ქვეყნიდან. ამას დონორმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი არ უნდა შეუწყონ. თავიდან არასწორი ფინანსური სტრატეგიები იყო შერჩეული, რადგან, ძირითადად, იყო მოკლევადიანი გეგმები, რომ ‘გვეტივტივა ზედაპირზე’ და არა იმაზე, რომ განვითარებულიყო მედია“, - ამბობს ჟურნალ „ინდიგოს“ წარმომადგენელი.

ჟურნალისტების ნაწილი ნეგატიურად აფასებს იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მედიასთან კონკურენციაში შემოდიან, თავად ქმნიან მედიაპროდუქტს, აქვეყნებენ საკუთარ გვერდებზე და ამგვარი საქმიანობისთვის ხდება თანამშრომლების გადაბირება მედიიდან. ეს ორგანიზაციები მედიის დღის წესრიგის შექმნაშიც მონაწილეობენ.

- „მედია-მენეჯერებმაც დაიჯერეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ჟურნალისტებზე ჭკვიანები არიან. ისინი უცხოელი ნეიროფსიქოლოგების ციტატებით გველაპარაკებიან, რომლებიც პროცესებს შიგნიდან ვერ ხედავენ და არ აქვთ კონტექსტის აღქმა“ („მთავარი არხის“ წარმომადგენელი).

- „არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს ცალკე თარგმნა სჭირდება, რადგან ისეთი ენით წერენ, რომ გამოუსადეგარია“ (ჟურნალ “ინდიგოს” წარმომადგენელი)

ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ დასავლელ პარტნიორებს შეუძლიათ მედიის მხარდაჭერა და მნიშვნელოვან ბერკეტად მიიჩნევენ მიზნობრივ სანქცირებას. ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა სურვილი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოძებნოს მედიასთან თანამშრომლობის ახალი გზები, დაეხმარონ ჟურნალისტებს გაძლიერებასა და ორგანიზებაში.

## ■ 4.9. ჟურნალისტური განათლებისა და დასაქმების გამოწვევები

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ 2024 წელს პრობლემა იყო კადრების მოძიება. ამას ხსნიან იმით, რომ „აგენტების/რუსული კანონის“ მიღებით მოხდა პროფესიის დისკრედიტაცია და ჟურნალისტიკა აღარაა პოპულარული პროფესია. ბაზრის მოთხოვნის მიუხედავად, შემცირებულია ჟურნალისტის პოზიციაზე დაინტერესებულთა რაოდენობა. რეგიონებში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მედიის პოპოლარიზაციაზე მუშაობას და მოსახლეობასთან საუბარს მედიის როლის შესახებ:

- „წელიწად ნახევარია აქტიურად ვცდილობთ თანამშრომელი დავიმატოთ და არავინ ინტერესდება. იყო პერიოდი, როცა დიდი კონკურსი იყო ვაკანსიაზე. ამის მიზეზია ის, რომ მედიის დისკრედიტაცია მოახდინეს. ადამიანები ვერ ხვდებიან, რამდენად დიდია მედიის როლი იმაში, რომ მათაც უსაფრთხო გარემოში იცხოვრონ“ („სამხრეთის კარიბჭის“ წარმომადგენელი).
- „კადრების მოძიების პრობლემის მიზეზი ისაა, რომ ‘აგენტის’ იარლიყის მიწებების ეშინიათ“ (“ჩემი ხარაგაულის” წარმომადგენელი).

ჟურნალისტიკის სფეროში კადრების გადინება და როტაცია ყველაზე თვალსაჩინოა სატელევიზიო ბაზარზე. ამას განაპირობებს ტელევიზიაში სამუშაო მოთხოვნების სპეციფიკურობა. 2024 წელს იყო მოწოდებები, რომ პროპაგანდისტული ტელევიზიების ჟურნალისტებს პროტესტის ნიშნად დაეტოვებინათ სამსახური, რასაც „იმედის“ ჟურნალისტმა ასე უპასუხა: „ამის ფუფუნება არ გვაქვს. ორ პოლუსზე მყოფი ტელევიზიები ხშირად ვცვლით ჟურნალისტებს, ხელმძღვანელობას და მთავრობებსაც. შიდა-სამზარეულოც სპეციფიკურია და გასაკვირია, როცა კოლეგები სამსახურის დატოვებას გთხოვენ მაშინ, როცა ხვალ, შეიძლება მათგან წამოსული ჟურნალისტებით შეივსოს ‘იმედი’ ან - პირიქით“. მისთვის ტელევიზიიდან პროტესტის ნიშნად წამოსვლა ერთგვარი აღიარებაცაა იმ ბრალდებების, რაც წლების განმავლობაში იყო „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკის მიმართ და ჟურნალისტები ამ მორალურ წნეხსაც გაურბიან.

მედიას არ აქვს რესურსი, რომ დამწყები ჟურნალისტები მოამზადოს იმგვარი სტრესული გარემოსთვის, რაც ველზე დახვდებათ: „შედეგად, ვხედავთ ახალგაზრდებს, რომლებმაც არ იციან, როგორ უპასუხონ პოლიტიკოსს, რომელიც მათ ლანძღავს და შეურაცხყოფას აყენებს“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტი). სამუშაო ადგილზე კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საუბრობს „იმედის“ მოქმედი ჟურნალისტიც: „ტელევიზიის სპეციფიკა ისწავლება პრაქტიკაში და ასეთ არაჯანსაღ გარემოში, სტაჟიორებიც, შესაძლოა, არასწორად ხედავენ პროფესიულ საქმიანობას. დამახინჯებულად ხედავენ ჟურნალისტიკას. მაყურებელსაც ჰგონია, რომ მიკერძოებულობა, საკუთარი შეფასებების დაფიქსირება, პოლიტიკური მოწოდებები, ესაა კარგი ჟურნალისტიკა. დღეს პროფესიული ეთიკა გამქრალია“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პრიორიტეტულია ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე ზრუნვა და კრიზისის დროს, რა თქმა უნდა, ძნელია ტრენინგებზე დასწრება და კონცენტრირება: „კონკრეტული თემების გაშუქების კუთხით აღარ ხდება გადამზადება, რადგან ეს თემებიც აღარ შუქდება მედიაში. ჟურნალისტებსაც არ აქვთ მოტივაცია დაესწრონ ტრენინგებს“, - ამბობს „იმედის“ ჟურნალისტი.

საქართველოში ხელოვნური ინტელექტი მედია ორგანიზაციების მიერ სამუშაო პროცესში სათანადოდ არ არის ათვისებული. ამის მიზეზი რამდენიმე ფაქტორი შეიძლება იყოს, მათ შორის სტრესული და საფრთხის შემცველი მედიაგარემო, რაც ჟურნალისტების მთელ

რესურსს შთანთქავს და არ რჩება დრო ინოვაციების დასანერგად. საგულისხმოა ისიც, რომ ქართულად არსებული ტექსტური და აუდიო მასალა ინტერნეტში მოცულობითი არაა, რის გამოც ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული მასალა ჯერჯერობით არაზუსტია. სამომავლოდ ხელოვნური ინტელექტის განვითარების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქართველოში ტრენინგებისა და კვლევების ჩატარება.

კვლევაში ჩართული მონაწილეები კრიზისული პერიოდის გავლის შემდეგ, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შემდეგი მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას:

- ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება მედიაში
- ორგანიზაციის მართვა კრიზისულ სიტუაციაში
- კიბერუსაფრთხოება
- ფსიქოლოგიური მედეგობა და სტრესის მართვა
- ღია წყაროები და მონაცემთა ჟურნალისტიკა
- საგამოძიებო ჟურნალისტიკა
- ინფოგრაფიკა და მონაცემთა ვიზუალიზაცია
- მედიის თვითრეგულირების მექანიზმების გაძლიერება

ჟურნალისტების აზრით, ტრენინგები უნდა იყოს გაწერილი სტრატეგიულად მთელი წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანია მედიაორგანიზაციების თანამშრომლობა პროფილურ ორგანიზაციებთან. აქვე ახსენეს, რომ გახშირდა პრო-სახელისუფლებო ჟურნალისტების წაყვანა ჩინეთში ტრენინგებზე, რაც ხელისუფლების მიერ ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორად არჩევის ხედვას ესადაგება.

კრიტიკული და დამოუკიდებელი მედიიდან კადრების გადინება გრძელდება ფინანსური პრობლემების გამო. განსაკუთრებით კრიტიკულია ახალი ამბების ყოველდღიური წარმოების გამოწვევები. ოპერატორები და მემონტაჟეები დაგვიანებით იღებენ ხელფასებს, ზოგჯერ მუშაობენ კვირაში ერთი დღე, რათა სხვა სამსახურში შეთავსებით იმუშაონ. მოლოდინები პესიმისტურია, განსაკუთრებით 2025 წლიდან. გრძელვადიანი პროექტები გაჩერებულია. დონორების დახმარება მცირე ჰონორარებს მოიცავს. 2025 წლის დასაწყისში ჩაწერილი ინტერვიუს დროს, „ფორმულას“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კრიტიკულ მედიაში ფინანსური პრობლემები გაღრმავდა. მათგან განსხვავებით, სამთავრობო ტელევიზიებში არ არის ფინანსური პრობლემები და აქვთ სტაბილურობის განცდა.

- „ჟურნალისტების გარდა, ძალიან ჭირს ოპერატორებისთვის და მემონტაჟეებისთვის თანხის გადახდა, ხშირად ჟურნალისტებს და პროდიუსერებს თავად უწევთ მასალის დამონტაჟება“ („ფორმულას“ წარმომადგენელი).

- „კრიტიკულ მედიას ფინანსური პრობლემები აქვს, არ ხდება ტექნიკური ბაზის განახლება. პოსტ-საარჩევნო პერიოდში ისევ დადგება კრიტიკული მედიის ყოფნა-არყოფნის საკითხი“ („ტვ პირველის“ წარმომადგენელი).

კრიტიკულ და დამოუკიდებელ მედიას კვლავ სჭირდება მძლავრი და კომპლექსური მხარდაჭერა, რათა შეძლოს პროფესიული რესურსის აღდგენა, ფინანსური მდგრადობის მიღწევა და სანდოობის განმტკიცება. დამოუკიდებელი მედიის როლი გადამწყვეტი იქნება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, განსაკუთრებით 2025 წლის არჩევნების კონტექსტში.

# დასკვნა

საქართველოში პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობა ხელს უშლის დემოკრატიული, ჯანსაღი ინფორმაციული ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და მდგრად განვითარებას. ინფორმაციულ და მედიის ეკოსისტემას აჯანსაღებს: ნდობა და დამაჯერებლობა, კონტენტის ხარისხი, ადამიანის უფლებების კომპონენტი, ინფორმაციის თავისუფალი დინება და მასზე წვდომა, საზოგადოების ჩართულობა და სხვ.

ამ პროცესზე ტოქსიკური ეფექტი აქვს კლეპტოკრატიულ მმართველობასა და ბიუროკრატიული მართვის ისეთ სისტემას, რომელიც „უხილავი ხელით“ აკორექტირებს ინფორმაციის თავისუფლად დინებას და მოქმედებს ძალაუფლების გადანაწილების ბალანსზე, მედიის თავისუფლებასა და განვითარებაზე.

2024 წლის ბოლოს პროფესიულ წრეებში გაჩნდა მოლოდინი, რომ მედიის მიმართ ნდობა და სოლიდარობა გაძლიერდება. ამის წინაპირობად დასახელდა ის საერთო ტრანსფორმაციული გამოცდილება, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დემონსტრაციების გაშუქებისას, დაუგროვდა მედიასა და საზოგადოებას.

საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ოლიგარქიული და დიქტატორული რეჟიმები ერთსა და იმავე სახელმძღვანელო წესებს მიჰყვებიან. დამკვიდრებული კლეპტოკრატიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მედიის წინააღმდეგ ძალადობა არ არის ფრაგმენტული და 2025 წელსაც უნდა ველოდეთ თავდასხმებს, ძალადობასა და დაპატიმრებებს, რომლებიც უშუალოდ მედიაში დასაქმებულებსა და მოქალაქე ჟურნალისტებს შეეხებათ და შესაძლოა რამდენიმე ტალღად განხორციელდეს.

ტექნოლოგიური პროგრესისა და ავტორიტარული რეჟიმების ზეწოლის ეპოქაში არ არსებობს უნივერსალური რეცეპტი, რომელიც მედიას გადარჩენის გარანტიას მისცემს. სამაგიეროდ დამოუკიდებელი მედიის მომავალი პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში ევრო-ატლანტიკური კურსისა და დემოკრატიის  გამარჯვებას. ამ არჩევანის დაცვა კი, მედიასაც გააძლიერებს. ამ გზაზე ქართულ მედიას მოუწევს არა მხოლოდ გადარჩენის, არამედ განვითარების სხვადასხვა, ინოვაციური სტრატეგიების შემუშავება. ამ პროცესმა, პირველ რიგში, უნდა გააძლიეროს მედიის სანდოობა, ხოლო მისი როლი - საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და გაძლიერების საქმეში - შეუცვლელი და უნიკალური გახადოს.

# რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია 2025 წლის თვითმმართველობის არჩევნების მომზადებაზე დროული ფოკუსირება, სტეიკჰოლდერებს შორის კოორდინირება და სტრატეგიული კომუნიკაციების ეფექტური წარმართვა. ამ პროცესში მუდმივად უნდა ფიგურირებდეს თავისუფალი მედიისა და ჟურნალისტების დაცვის გარანტიების შექმნის მოთხოვნა. მედიისა და საზოგადოების ურთიერთმხარდაჭერა და სოლიდარობა არ უნდა იყოს ფრაგმენტული და ერთჯერადი, სიმბოლური ხასიათის, არამედ უნდა გადაიზარდოს პროცესისა და რუტინის ნაწილად.

**წინა წლებში მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის, მმართველი გუნდისადმი გაცემული რეკომენდაციები წლიდან წლამდე არ სრულდებოდა. ამ წლის კვლევაში ხელისუფლებისადმი რეკომენდაციები განკუთვნილია შემდეგი ლეგიტიმური ხელისუფლების მიმართ.**

## რა უნდა გაკეთდეს მედიისადმი ნდობის გასაძლიერებლად?

### ხელისუფლებამ:

- შეწყვიტოს მედიისა და ჟურნალისტების დისკრედიტაციის კამპანიები;
- შეწყვიტოს კრიტიკული და დამოუკიდებელი  მედიის ბოიკოტი, მონაწილეობა მიიღოს დებატებში;
- შეცვალოს მედიასთან პარტიული, ფამილიარული ურთიერთობის პრაქტიკა და დაამკვიდროს პროფესიული თანამშრომლობა;
- საჯარო განცხადებებში გამოხატონ თავისუფალი მედიის მხარდაჭერა;

### ოპოზიციურმა პარტიებმა:

- შეცვალოს მედიასთან პარტიული, ფამილიარული ურთიერთობის პრაქტიკა და დაამკვიდროს პროფესიული თანამშრომლობა;
- დროულად მიაწოდონ ინფორმაცია მედიას და გააკეთონ კომენტარები, მონაწილეობა მიიღონ გადაცემებში;
- გააფართოონ თემატური სპიკერების სია (განსაკუთრებით რეგიონებში);
- საჯარო განცხადებებში გამოხატონ თავისუფალი მედიის მხარდაჭერა;

### მედიამ:

- დაიცვას ჟურნალისტიკის ეთიკის სტანდარტები;
- შეცვალოს პარტიებთან სიმბიოზური ურთიერთობის მანკიერი პრაქტიკა, რაც არაპროფესიულ, არაჯანსაღ, ფამილიარულ ურთიერთობებში ვლინდება. საჭიროა ამ თემაზე დისკუსიების ინიცირება;

- კრიზისების დროს შეინარჩუნოს პროფესიული ნიშა, ნაკლებად შეითავსოს სხვა ინსტიტუტების პასუხისმგებლობები;

- გაზარდოს საზოგადოების/აუდიტორიის ჩართულობა მედიის დღის წესრიგის შექმნაში. ამ კუთხით ხელი შეუწყოს საზოგადოების ინტერესის გამტარი მედიის (public interest media) განვითარებას;

- აჩვენოს ის ტრანსფორმაციული გამოცდილება საჯარო სივრცეში, სადაც ხალხსა და მედიას საერთო პრობლემები აღელვებთ.

- გამოკვეთოს სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც მაყურებელს აძლევს საშუალებას, თავისი მრწამსის მიხედვით შეარჩიოს ინფორმაციის მიღების წყარო.

- გაიმართოს საზოგადოებრივ ჯგუფებთან არაფორმალური შეხვედრები, სადაც საუბარი იქნება მედიის როლზე;

- გააძლიეროს სოლიდარობის ჟურნალისტიკა და მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფებისა და კოლეგების მიმართ.

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- ხელი შეუწყონ „ქრაუდფანდინგის“ მოდელის პოპულარიზაციას;

- საჯარო განცხადებებში გააგრძელონ თავისუფალი მედიის მხარდაჭერა;

- გააძლიერონ თავისუფალი მედიის ფინანსური, სამართლებრივი მხარდაჭერა;

- გააფართოონ თემატური სპიკერების სია (განსაკუთრებით რეგიონებში);

- ხელი შეუწყონ ინკლუზიურ საინფორმაციო კამპანიებს, რომელიც მედიისადმი ნდობას გააძლიერებს.

**აკადემიამ და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:**

- მედიაწიგნიერების სწავლებისას არ გააღვივონ მედიისადმი უნდობლობა, არამედ წარმოაჩინონ მედიაკრიტიკის მრავალფეროვანი მიდგომები და რესურსები.

- პოპულარიზაცია გაუწიონ ჟურნალისტიკის პროფესიას;

- გააძლიერონ სოლიდარობის ჟურნალისტიკა და მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ

.

## რა უნდა გაკეთდეს სოლიდარობის გასაძლიერებლად?

**ხელისუფლებამ:**

- შეწყვიტონ მედიისა და ჟურნალისტების დისკრედიტაციის კამპანიები, ძალადობისა და დაუსჯელობის წახალისება;

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- საჯარო სივრცეში გამოხატონ მხარდაჭერა მედიისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ;

**მედიამ:**

- გამოკვეთოს, რომ ე.წ. სამთავრობო მედიაში ჟურნალისტები მმართველი გუნდის წნეხის ქვეშ არიან, განიმარტოს, როგორ გამოიხატება ეს ზეწოლა;
- პოლიტიკური კრიზისის დაძლევის შემდეგ მედიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ პროფესიული მუშაობის წესებზე;
- შეიქმნას სამოქალაქო ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც ორმხრივ მუშაობას უფრო ეფექტიანს გახდის;
- გაიმართოს საზოგადოებრივ ჯგუფებთან არაფორმალური შეხვედრები, სადაც საუბარი იქნება მედიის როლზე;
- გააძლიეროს სოლიდარობის ჟურნალისტიკა და მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფებისა და კოლეგების მიმართ.

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- არ დაუშვან კონტენტის ცენზურა;
- ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მედიაკონტენტის შესაქმნელად მეტად ითანამშრომლონ მედია ორგანიზაციებთან.
- დაეხმარონ ჟურნალისტებს პროფესიული გაერთიანების შექმნასა და გაძლიერებაში;
- გააძლიერონ სოლიდარობის ჟურნალისტიკა და მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

**აკადემიამ და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:**

- იმუშაონ ჟურნალისტიკის პროფესიის პოპულარიზაციის მიმართულებით ფართო აუდიტორიასთან;
- გააძლიერონ მედიაში სტაჟირების პროგრამები;
- გააძლიერონ სოლიდარობის ჟურნალისტიკა და მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

## რა უნდა გაკეთდეს პოლარიზაციის შესამცირებლად?

**ხელისუფლებამ:**

- შეწყვიტოს მედიასთან ბოიკოტის რეჟიმი, მონაწილეობა მიიღოს დებატებში;
- შეწყვიტოს მედიისა და ჟურნალისტების დისკრედიტაციის კამპანიები;

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- დროულად მიაწოდონ ინფორმაცია მედიას და გააკეთონ კომენტარები, მონაწილეობა მიიღონ გადაცემებში;
- გააფართოონ თემატური სპიკერების სია (განსაკუთრებით რეგიონებში);

**მედიამ:**

- მოახდინოს წყაროების დივერსიფიკაცია და ხალხის ინტერესების ამსახველი, რეალური პრობლემების მაქსიმალური გაშუქება და მრავალფეროვნება (განსაკუთრებით რეგიონებში).

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების პროცესში;
- გააძლიერონ საზოგადოებრივი ინტერესების ამსახველი მედიის წარმატებული ფუნქციონირება, რომელიც პარტიული და კომერციული ინტერესებისგან დისტანცირებული იქნება;
- გააფართოონ თემატური სპიკერების სია (განსაკუთრებით რეგიონებში);

## რა უნდა გაკეთდეს ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის?

**ხელისუფლებამ:**

- გამოიძიოს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ყველა დანაშაული და დაასრულოს დაუსჯელობა;
- გააუქმოს რეპრესიული კანონები და აღმოფხვრას დამკვიდრებული პრაქტიკა;
- შეწყვიტოს დისკრედიტაციის კამპანიები;
- შეწყვიტოს ე.წ.  SLAPP პრაქტიკის დამკვიდრება;
- უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლების დაცვა.

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- მიზნობრივი სანქციების მოთხოვნისას გამოკვეთონ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულები და დამკვიდრებული დაუსჯელობა;
- გამოხატონ სოლიდარობა მედიისა და ჟურნალისტების მიმართ;

**მედიამ:**

- შეახსენოს საზოგადოებას და პოლიტიკოსებს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, მოითხოვოს გამოძიება და დაუსჯელობის დასრულება;
- გამოხატოს სოლიდარობა კოლეგების მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებისას და დაგმოს ძალადობა (იმისდა მიუხედავად, რომელ მედიასა თუ „მხარეს" წარმოადგენს ჟურნალისტი).

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- ჟურნალისტების დაშინებისა და სტიგმატიზაციის პრაქტიკის ეფექტის შესამცირებლად საჭიროა ურთიერთსოლიდარობის გაძლიერება;
- ჟურნალისტებს შეუქმნან შესაძლებლობა, სწრაფად და მარტივად მიმართონ დახმარებას დისკრიმინაციის ან მუქარის შემთხვევებში;
- მიზნობრივი სანქციების მოთხოვნისას გამოკვეთონ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულები და დამკვიდრებული დაუსჯელობა;
- ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოებისთვის გაზარდოს რესურსების მობილიზება.

**აკადემიამ და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:**

- შექმნან ან გააფართოონ ჟურნალისტიკის სწავლების პროგრამები, რომლებიც ფოკუსირდება უსაფრთხოებაზე, ეთიკასა და კრიტიკულ აზროვნებაზე;
- აწარმოონ კვლევები ჟურნალისტების მიმართ მუქარისა და სტიგმატიზაციის ეფექტებზე, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის უკეთ გაცნობიერებას.

## რა უნდა გაკეთდეს კანონების მედიის წინააღმდეგ ინსტრუმენტალიზაციის შეჩერებისთვის?

**ხელისუფლებამ:**

- გააუქმოს რეპრესიული კანონები და აღმოფხვრას დამკვიდრებული პრაქტიკა;
- შექმნას ინკლუზიური გარემო კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის;
- უარი თქვას ე.წ. SLAPP პრაქტიკაზე;
- შექმნას ძალაუფლების გადანაწილების დაბალანსებული მმართველობა.

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- მოითხოვოს მედიის თავისუფლების გარანტიების დაცვა ხელისუფლების ყველა დონეზე.

**მედიამ:**

- გააძლიეროს თვითრეგულაციის მექანიზმები და ამით დაუპირისპირდეს რეგულაციების გამკაცრების შესაძლო აუცილებლობას;

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- ხელი შეუწყოს მედიის თვითრეგულაციის მექანიზმების გაძლიერებას;
- რისკებზე პრევენციულად იმსჯელოს და საპასუხო მექანიზმები დროულად აამოქმედოს;
- მოამზადოს პოლიტიკური დოკუმენტები, კვლევები, ანგარიშები;
- კვლევებისა და ანგარიშების მომზადებისას, გაითვალიწინოს მედიის ინტერესები და ჩართულობა;

**აკადემიამ და უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა:**

- რეპრესიული გარემოს შესამცირებლად უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიური თავისუფლების დაცვაზე, ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე წარმართოს საჯარო დისკუსიები და გააუმჯობესოს კოორდინაცია;
- იმუშაოს მედისამართლისა და მედიაეთიკის სწავლების მოდერნიზების მიმართულებით;

**ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:**

- აქტიურად გააგრძელოს რესურსების მობილიზება მედიაში დასაქმებულების სამართლებრივი მხარდაჭერისთვის;
- „აგენტების/რუსულმა კანონმა“ თავის აქტუალობა დაკარგა არჩევნების შემდეგ, თუმცა ის კვლავ შეიძლება იყოს გამოყენებული რეპრესიებისთვის. ამასთან შესაძლოა გაიზარდოს ე.წ. SLAPP-ების პრაქტიკა და საჭიროა, ამ რისკებზე საუბარი და ანტი-SLAPP მექანიზმების პრევენციული დანერგვა (მათ შორის საქართველოში არსებული „ანტი- SLAPP“ კოალიციასთან კოორდინირებულად);
- მედიასთან თანამშრომლობის ფორმატში უფრო ცხადად განმარტონ, როგორი იქნება მათი მუშაობის რეჟიმი რეპრესიული კანონების ინსტრუმენტალიზაციის შემთხვევაში.

## როგორ გავზარდოთ ინფორმაციაზე წვდომა?

**ხელისუფლებამ:**

- მედიისთვის გახადოს ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაცია და კომენტარები, დაბრუნდეს ინტერვიუებისა და დებატების ფორმატი მედიაში და მოიხსნას ბიუროკრატიული თუ ე.წ. ჩრდილოვანი შეზღუდვები;
- პარლამენტში გააუქმოს რეგულაციები და ე.წ. შავი სიები, რომელმაც გაართულა ჟურნალისტების მუშაობა;
- შეწყვიტოს მედიის სტიგმატიზაცია მათი პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაციის მიხედვით;
- რეგიონებში მმართველი გუნდის პრეს-სამსახურების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დაადოს ამგვარი კონტენტის მაიდენტიფიცირებელი აღნიშვნა;
- დაიწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების ინკლუზიური პროცესი.

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- მედიისთვის გახადოს ხელმისაწვდომი კომენტარები, ინტერვიუების, დებატები;
- შეწყდეს მედიის სტიგმატიზაცია მათი პოლიტიკურ პარტიებთან აფილიაციის მიხედვით;
- მოითხოვოს და ჩაერთოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების ინკლუზიურ პროცესში.
- გაზარდოს ინფორმაციასა და სპიკერებზე ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით რეგიონებში).

**მედიამ:**

- წყაროებში თვითცენზურის შესამცირებლად და წყაროების დასაცავად, შეიმუშაოს ე.წ. Whistleblower-ების დაცვის მექანიზმი. მედიის წარმომადგენლებმა აუხსნან წყაროებს, რა ფორმით იქნება დაცული და გამოყენებული მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია. ამ კონტექსტში დაიცვან „არ ავნო“ (Do Not Harm) პრინციპი.
- წყაროებში თვითცენზურის შესამცირებლად მედიასა და სხვა პლატფორმებზე ხელი შეუწყოს კრიტიკულ თემებზე საუბრის ნორმალიზებას;
- ინფორმაციის თავისუფლად დინებისა და სისტემური, ბიუროკრატიული შეზღუდვების დასაძლევად, აითვისოს ინფორმაციის გავრცელების ალტერნატიული გზები/პლატფორმებიც და მათი პოპულარიზაცია მოახდინოს აუდიტორიაში. მნიშვნელოვანია, რომ ალტერნატიულ პლატფორმებს ჰქონდეთ ნდობა და ამაში ჩაიდოს რესურსები.
- მოითხოვოს და ჩაერთოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირების ინკლუზიურ პროცესში.

**უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- ჩაატარონ ტრენინგები შემდეგი მიმართულებით: ღია წყაროები და მონაცემთა ჟურნალისტიკა, საგამოძიებო ჟურნალისტიკა, ინფოგრაფიკა და მონაცემთა ვიზუალიზაცია.

## 🚩 როგორ მოვემზადოთ 2025 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის?

**ხელისუფლებამ:**

- 2025 წლის არჩევნებისთვის გადაამზადოს დამკვირვებლები მედიასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ჟურნალისტიკის კუთხით;
- აჩვენოს მედიისადმი მხარდაჭერა;

**ოპოზიციურმა პარტიებმა:**

- 2025 წლის არჩევნებისთვის გადაამზადოს დამკვირვებლები მედიასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ჟურნალისტიკის კუთხითაც;
- აჩვენოს მედიისადმი მხარდაჭერა.
- 2025 წლის არჩევნების კონტექსტში, გააგრძელონ მიზნობრივი სანქციების თემის აქტუალიზაცია და ამ კუთხით, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და დაუსჯელობაზე აქცენტირება;

**მედიამ:**

- მოამზადოს არჩევნების კრიტიკულ თემებზე საგამოძიებო მასალები;
- უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული საკუთარ დღის წესრიგზე;
- შეინარჩუნოს კრიტიკულობა ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ და მიჰყვეს და დასვას მნიშვნელოვანი კითხვები;
- არჩევნების, კრიზისებისა და დემონსტრაციების გაშუქებისას, გააუმჯობესოს მოქალაქე ჟურნალისტებთან კოორდინირება.

**საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა:**

- გააგრძელონ მიზნობრივი სანქციების თემის აქტუალიზაცია და ამ კუთხით, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და დაუსჯელობაზე აქცენტირება;
- შეთანხმდნენ მედიასთან არჩევნების დროს თანამშრომლობის ფორმებზე. კერძოდ, როგორ შეიძლება, რომ დამკვირვებლების მიერ გადაღებულ მასალებზე მედიას გაუმარტივდეს წვდომა და მასალა ოპერატიულად  გაავრცელონ.
- უზრუნველყონ მედიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური და ფინანსური რესურსების გაძლიერების მხარდაჭერა, გრძელვადიან პროექტებზე ფოკუსირება და კონტენტში ჩაურევლობა;

## როგორ ვუპასუხოთ ტექნოლოგიურ გამოწვევებს?

- ტექნოლოგიების რესურსის გამოყენებაში მნიშვნელოვანია, აუდიტორიას გაცნობიერებული ჰქონდეს მედიის როლი და მედიაწიგნიერების მნიშვნელობა და გაიზარდოს ნდობა, რომლის მთავარი კონტრიბუტორები თავად მოქალაქეები იქნებიან.

### ხელისუფლებამ და ოპოზიციურმა პარტიებმა:

- მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ დეზინფორმაციასთან გამოწვევის საპასუხოდ საქართველოში დღის წესრიგში არ დგას საკანონმდებლო რეგულაციები, მნიშვნელოვანია ამ რისკებზე პრევენციულად მსჯელობა.
- შეწყვიტოს ე.წ. ადმინისტრაციული ტროლ-ბოტების რესურსის გამოყენება მედიის წინააღმდეგ.

### მედიამ:

- შეიმუშაოს მოდერაციის სტრატეგია ტროლებსა და ბოტებთან მიმართებით, რომ შეიზღუდოს მათი ჩართულობა საინფორმაციო ეკოსისტემის დაბინძურებაში და მომავალში, დაიზოგოს თავად მედიის და მისი მომხმარებლის რესურსი.
- საგამოძიებო მასალებით გამოააშკარაოს „ტროლების ადმინისტრაციულ რესურსი“;
- დანერგონ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინფორმაციის მოძიებასა და მონიტორინგისთვის (მაგ., აუდიტორიისა და ტენდენციების ანალიზისთვის, ახალი იდეების გენერირებისთვის), შერჩევისა და გაფილტვრისთვის (მაგ., ფაქტების გადამოწმების, მონაცემების შეგროვებისა და კლასიფიკაციისთვის, აუდიო და ვიდეო ტრანსკრიფციისთვის, გახმოვანებისთვის), დამუშავებასა და რედაქტირებისთვის (მაგ., სხვადასხვა პლატფორმებისთვის მასალის ფორმატირებისთვის, „გონებრივი იერიშისთვის“, ინფორმაციის შეჯამებისა და თარგმანისთვის), და გამოქვეყნებისა და გავრცელებისთვის (მაგ., კონტენტის პერსონალიზაციის, მოდერაციისა და აუდიტორიის ანალიზისთვის).
- იმუშაონ AI-ის მიერ გამოწვეული რისკების შემცირებაზე, განსაკუთრებით დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით.

### ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა:

- ხელოვნური ინტელექტის განვითარების კვალდაკვალ, ჩაატარონ ტრენინგები და კვლევები;
- მეტი რესურსი მიმართონ კვლევებზე. კერძოდ, მომდევნო წლებში, ციფრულ ჟურნალ-გაზეთებზე მომხმარებლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამ კუთხით, საკვლევია თუ როგორ ხედავენ თავის კონტენტის ცირკულაციას და აუდიტორიასთან კავშირს ქართული მედიის წარმომადგენლები, რა სტრატეგიებს ამუშავებენ და რა რისკებს ხედავენ.
